

241818  
3

მარგერიტ იუსენარ

კვერცხლის განაკვეთი  
6M31S13P

F 80262

3



Ծանոթագրութեա „ՀԱՅԱՍՏԱՆ“

*Editions GÖT*



MARGUERITE YOURCENAR

*Nouvelles  
orientales*

*nrf*

GALLIMARD

მარგერიტ იშლსენარ

აღმოსავლური  
ნოველები

*qəz*

„ჯისიაზ“



TRADUCTUION GEORGIENNE

ყველა უფლება დაცულია  
Tous droits réservés

© გამომცემლობა „ჯიბიათ“ - 1998  
© ქართული თარგმანი  
© Editions Gallimard - 1938,  
*édition revue et augmentée en 1963*

ISBN 99928-21-03-5

K 244818



წიგნი გამოიცა საფრანგეთის საგარეო საქმეთა  
სამინისტროსა და საქართველოში საფრანგეთის  
საელჩოს ხელშეწყობით „მერაბ მამარდაშვილის“  
პროგრამის ფარგლებში.

*Cet ouvrage est publié dans le cadre du programme  
"Merab Mamardashvili" avec le soutien du Ministère  
français des Affaires Etrangères et de l'Ambassade de  
France en Géorgie.*

8

ანდრე ლ. ამბირიკოს

# როგორ გადარჩა უან-ფო

მოხუცი მხატვარი უან-ფო და მისი შეგირდი ლინი არხეინად მიუყვებოდნენ პანის სამეფოს გზებს.

ნელა მიიწევდნენ წინ, რადგან უან-ფო ღამდა-მობით ჩერდებოდა და ვარსკვლავების ჭერეტით ტქბებოდა, დღისით კი ჭრიჭინებს აკვირდებოდა. ტვირთი მსუბუქი ჰქონდათ, რადგან უან-ფოს საგან-თა ხატება ერჩივნა თვით საგნებს და ამქვეყნად არავითარი ნიერი იმდენად ღირებულად არ მიაჩნდა, რომ შეეძინა. ყიდულობდა მხოლოდ ფენ-ჯებს, ლაქით სავსე ქოთნებს, ტუშს, აბრეშუმის თოფებსა და ბრინჯის ქაღალდებს. ღარიბები იყვნენ, რადგან უან-ფოს უული ეჯავრებოდა და თავის ტილოებს ფეტეის ფაფის ულუუაზე ცვლიდა. მისი შეგირდი ლინი ესკიზებით სავსე ჩანთის სიმძიმით წელში მოხრილიყო, მაგრამ ისეთი მოწინებით მოდრეკილიყო, თითქოს მხრებით ცის თაღს შეჰყუდებიათ. ლინის აზრით, ჩანთაში იყო დათოვ-

ლილი მთები, გამაფხულის მდინარეები და ზაფხულის საესე მთვარე.

ლინი გზებზე სახეტიალოდ არ იყო გაჩენილი, თანაც – იმ ბერიკაცის გვერდით, რომელიც რიფრაესაც ფლობდა და მწეხრსაც ისაკუთრებდა. ლინის მამა ზარაფი იყო, დედა კი ერთადერთი ასული ნეფრიტის ქვებით მოვაჭრისა, რომელმაც მთელი ქონება ქალიშვილს კი დაუტოვა, მაგრამ წყველა-კრულვაც თან მიატანა, ვაჟად რაგომ არ დაიბადეთ. ლინი ისეთ ოჯახში გაიზარდა, რომლის სიმდიდრე კარს უხშობდა ყოველგვარ ხიფათსა და განსაცდელს. ფეფუნებამ და გარიყელმა ყოფამ მორცხვი და მფრთხალი გახადა. ეშინოდა მწერების, ჭექა-ქუხილისა და მიცვალებულების. თხუთმეტი წლისა რომ შეიქნა, მამამ ლამაზი ცოლი შეურჩია. შვილის გაბეღნიერებამ სიმშვიდე მოპგვარა: იმ ასაქს მივაღწიე, როცა მთელი დამეძილისათვის არსებობსო. ლინის მეუღლე ლერწამივით ქალი იყო, ნერწყვივით თბილი, ურემლივით მარილიანი და რძესავით თეთრი. მშობლები იმდენად მოკრძალებულნი იყვნენ, რომ ქორწილის შემდეგ მიიცვალნენ და ვაჟი მარტო დარჩა ჭიათურით მოხატელ სახლში, მუდამ მომდიმარე ყმაწვილ ქალთან და ყოველ გამაფხულზე ვარდისფერი ყვავილებით შემოსილ ქლიავის ხესიან ერთად. ლინს უყვარდა ეს უმანკო ქალი, უყვარდა, როგორც უყვართ ხოლმე სარკე, რომელიც არასოდეს გამქრქალდება, როგორც უყვართ ხოლმე

განუშორებელი ავგარობი, მუდამ რომ დაგიფარავს. ადათისამებრ, ლინი ჩაის სახლებში დადიოდა და მუშაითებსა და მოსუევავე ქალებს მფარველობდა.

ერთ დამესაც დუქანში მაგიდასთან უან-ფოს გვერდით აღმოჩნდა. მოხუცი შებარხოშებულიყო, რათა სიმთვრალე თავად გამოეცადა და უკეთ დაეხატა ლოთი. თავი გვერდზე გადაეხარა, თითქოს ცდილობდა თვალდათვალ შეეტყო მანძილი თავის ხელსა და ფინჯანს შორის. ბრინჯის არაყმა ენა გაუქსნა ამ სიტყვაძვირ თხტატს. იმ საღამოს ისე საუბრობდა, თითქოს სიჩუმე კედელი ყოფილიყო, სიტყვები კი კედლის მოსახატავი ფერები. მისი წყალობით ლინმა შეიგრძნო ცხელი სასმელების ანაორთქლით მობურულ ლოთთა სილამაზე, ცეცხლის ენებით ალაგ-ალაგ დაბრაწული ხორცის რუხი ელფერი, სუფრაზე ხმელი ფოთლებივით მიმოფანგელი ღვინის ლაქების საოცარი სივარდისფრე. ქარმა ფანჯარა შემოამგერია. კოკისპირული წვიმა შემოიჭრა ოთახში. უან-ფო დაიხარა და ლინს ელვის გამონაკრთომის სილამაზე აგრძნობინა. ლინი მოიხიბლა და ქარიშხლის შიში გაუქრა.

რაკი უან-ფოს არც ფული ჰქონდა და არც თავმესაფარი, ლინმა მოხუცი შხაგვრის მაგივრადაც გადაიხადა და კრძალვით შესთავაზა დამის გასა-თვით. ერთად წამოვიდნენ, ლინს ფარანი ეჭირა. მისი სინათლე აქა-იქ ცეცხლებად ირეულებოდა

გუბეებში. იმ დამეს ლინმა გაოცებულმა შეიტყო, რომ მისი სახლის კედლები, წითელი რომ ეგონა, გადამწიფებული უორთოხლისფერი ყოფილა თურმე. ებოში უან-ფომ დაინახა ლამაზი ბუჩქი, რომელიც აქამდე არავის შეენიშნა და შეადარა ყმა-წვილ ქალს, გასამრობად თმა რომ გაუშლია. მოხიბლელმა მოხუცმა დერეფანში თვალი გაადევნა ჭიანჭველას, რომელიც ცოცვით მიუყებოდა კედლის ბბარს, და ლინს ამ პაწაწა მწერების შიში გაუქრა. როცა ლინი მიხვდა, რომ უან-ფომ ახალი ხული აჩუქა და ახლებური ჭვრეტის უნარი შესძინა, მოხუცი დიდი პატივით მოასვენა იმ ოთახში, სადაც მისი დედ-მამა გარდაიცვალა.

კარგა ხანია უან-ფო თუნებობდა დაეხატა გარდასულ დროთა მეუის ასული, ტირიფის ქვეშ ბარბითს რომ უკრავს. მაგრამ არც ერთი ქალი არ იყო იმდენად არამიწიერი, რომ ხატად გამოსდგომოდა. ლინი კი ივარგებდა, რადგან ქალი არ იყო. შემდეგ უან-ფოს მოუნდა დაეხატა დიდ კედართან მდგარი მშეილდმობილელი უფლისწული. მაგრამ არც ერთი ჭაბუკი არ აღმოჩნდა იმდენად არამიწიერი, ხატად რომ გამოსდგომოდა. მაშინ ლინმა ოსტატს საკუთარი ცოლი დაუსვა ქლიავის ხის ქვეშ. უან-ფომ ყმაწვილი ქალი ფერიასავით შემოსა და ჩამავალი მზის სხივებით შეფერილი ღრუბლების ფონზე დახატა. ქალი ატირდა, რადგან ეს სიკვდილის მომასწავებელი იყო. მას აქეთ, რაც ლინს თავის ცოლზე მეტად მოხუცის დახატუ-

ლი ყმაწვილი ქალი მოსწონდა, ქალის სახემ  
 ჭკნობა იწყო, როგორც ემართება ხოლმე მთის  
 ყვავილს ხორმაკი ქარისა და გაფხულის წვიმების  
 დროს. ერთ დაღას იგი ქლიავის ტოტზე ნახეს  
 ჩამოკიდებული. რიდის ბოლოები, რომლითაც თავი  
 ჩამოეხრჩო, მის შევენიერ გრძელ თმებთან ერთად  
 ჰაერში ფრიალებდა. სინატიფით და სათხოებით  
 ის იმ ქალწულებს ჰგავდა, ძველი დროის პოეტები  
 ქებას რომ შეპკადრებდნენ ხოლმე. უან-ფომ იგი  
 უკანასკნელად დახატა, რადგან მოეწონა ის მომ-  
 წვანო ფერი, მიცვალებულის სახეს რომ გადა-  
 ჰკრავს ხოლმე. შეგირდი ისე გულდაგულ უბავებ-  
 და ფერებს, რომ ცრემლის ღვრა ავიწყდებოდა.

ლინმა ჯერ მონები გაყიდა, შემდეგ ძვირფასი  
 ქვები და აუზის თევზები, რათა ოსტატისათვის  
 დასაელეთიდან შემოტანილი მუქი წითელი საღება-  
 ვებით სავსე ქოთნები შეეძინა. მათ მიატოვეს  
 დაცარიელებული სახლი და ლინმა თავის წარ-  
 სულს კარი მოუხურა. უან-ფოც მოიქანცა ამ ქა-  
 ლაქში, საღაც ბლამიანთა სახეები სიმახინჯისა  
 და სილამაბის ვეღარაკითარ ახალ საიდუმლო-  
 ებას ვეღარ უმხედვნენ. ასე რომ ოსტატმა და  
 შეგირდმა ერთად განაგრძეს ხეტიალი ჰანის სა-  
 მეფოს გმებბე.

მათი სახელი შორს გავარდა და წინ ხვდებო-  
 დათ სოფლის მისაღვომებთან თუ ციხე-სიმაგრე-  
 ების მდურბლთან. წმინდა ადგილთა შეჭირვებულ  
 მომლოცველთას, მწერის ქამს ტაძრის კარიბჭე-

ებს რომ აფარებენ თავს, სმენოდათ მათი სახელი. ხმა დაირხა, უან-ფოს ძალა შესწევს თვალებზე ფუნჯის უკანასკნელი მოსმით თავის ნახატებს სული შთაბეროსთ. გლეხები ეხვეწებოდნენ მოდარაჯე ძაღლი დაგვიხატეთ. ბატონები კი მეომართა დახატვას სთხოვდნენ. მღვდლები უან-ფოს მოწიწებით ეპყრობოდნენ როგორც ბრძენს; ხალხს კი ეშინოდა მისი, ჯადოქარიათ, ამბობდნენ. უან-ფოს მოსწონდა აბრთა ეს სხვადასხვაობა, რადგან შეეძლო მაღლიერების, მიმისა თუ თაყვანისუემის ნაირ-ნაირი გამომეტყველება შეეცნო ირგვლივ.

ლინი საჭმელს თხოულობდა, ღამით უხიბლობდა, ოსტატს ძილი არავინ დაუფრთხოსთ, მისი გარინდების ქამს დროს იხელთებდა და ფეხებს უშელდა. გათენებისას, როცა მოხუცს ჯერ კიდევ ეძინა, ლინი დაეძებდა მშვენიერ ხედებს, რომელთაც ლერწმის ჭალა ფარავდა. საღამოობით, როცა გადიბიანებული ოსტატი ფუნჯებს მიწამე ყრიდა, ლინი მათ სათითაოდ აგროვებდა; როცა უან-ფონ ნაღვლიანად საუბრობდა თავის ხანდაგმულობაზე, მომღიმარე ლინი განმაგარ ბებერ მუხას დაანახებდა; როცა უანი ქილიკობდა, ლინს თავი ისე ეჭირა, თითქოს უსმენდა.

ერთ დღეს, მზის ჩასვლისას, იმპერატორის ქალაქის შემოგარენს მიუახლოფდნენ და ლინმა უან-ფოსთვის ღამის გასათევი ფუნდუკი გამოძებნა. უან-ფო მკელმანებში გაეხვია, ლინი კი გასათ-

ბობად გვერდზე მიუწვა. გამაფხული ის-ის იყო  
 დგებოდა და სოხანე ჯერ კიდევ მზრალი იყო.  
 გათენებისას უკნდუკის ღერეფნებში მძიმე ნაბი-  
 ჯების სმა გაისმა; სასტუმროს პატრონის შემინე-  
 ბული ჩურჩული, როყიო სმა და უხეში ბრძანებები  
 ჩაესმათ: ლინი აცახვახდა, გაახსენდა, წინა საღა-  
 მოს თხგაგის დასაპურებლად ბრინჯის კვერი  
 რომ მოჰპარა. უჭუი არ იყო, მის შესაპყრობად  
 მოსულიყვნენ. ურთი კი გაიფიქრა, უინდა დაეხმა-  
 რება უან-ფოს მდინარეზე გადასვლამით.

**K 241818**  
 ფარნიანი ჯარისკაცები შემოვიდნენ. ჭრელ ქა-  
 დალდებში მჭედირავი ფარნის სინათლე წითლად  
 და ცისფრად უელვარებდათ სპილენძის ჩაჩქნებს.  
 შევილდის ლარუბი მხრებზე ერხეოდათ. ყველაზე  
 ულმობელი ჯარისკაცი დროდადრო რატომლაც  
 იღრინებოდა. უხეშად სტაციეს ხელი უან-ფოს, რო-  
 მელმაც იმის შემჩნევა მაინც მოასწრო, რომ  
 მათი სახელოს ფერი მოსასხამის ფერს არ ესამე-  
 ბოდა.

ლინმა ხელი წააშეველა და უან-ფო ჯარისკა-  
 ცებს გაძყვდ თღრო-ზოლრო გმებბე. შემხვდურები  
 დასცინოდნენ ამ თრ დამნაშავეს, რომლებიც, რო-  
 გორც ჩანს, თავის მოსაკვეთად მიძყავდათ. უან-  
 ფოს ყოველ შეკითხვაზე ჯარისკაცები უხეშად  
 იმანჭებოდნენ. მოხუცს გაერული ხელები სტკიო-  
 და. სასოწარკვეთილი შეგირდი ღიმილით შეჟყუ-  
 რებდა თხგატს. ლინის ეს ღიმილი ტირილის  
 უნაბეჭი გამოსატულება იყო.

ისინი მიუახლოვდნენ იმპერატორის სასახლეს, რომლის იასამნისფერი კედლები შეადღისას ისე აღმართულიყო, როგორც მწუხარის ბინდი. ჯარის-კაცებმა უან-ფო დიდხანს ატარეს თთხკუთხა და მრგვალ დარბაზებში. დარბაზთა ფორმები სიმბოლურად გამოხატავდნენ წელიწადის დროებს, ქვეყნის მხარეებს, მამრსა და მდედრს, სიცოცხლის ხანგრძლივობას, ძალაუფლების სიამეს. ბჭეები დერძის გარშემო ტრიალებდნენ, თანაც მუსიკალურ ბგერებს გამოსცემდნენ და ბგერების მონაცვლეობა ისეთი იყო, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ სასახლის გავლისას მთელ მუსიკალურ გამას მოისმენდით. ყველაფერი ისე იყო მოწყობილი, რომ ძლევამოსილებისა და ბეადამიანური დახვეწილობის მთაბეჭდილება შექმნილიყო. ისიც იგრძნობოდა, რომ აქ წარმოთქმული უმცირესი ბრძანებაც კი წინაპართა სიბრძნესავით სასტიკი და შეუვალი იყო. ბოლოს პაერი მთლად დაიწმინდა. სიჩუმე ისეთი უძირო იყო, სიკვდილმისჯილიც კი ვერ გაბედავდა ხმის ამოღებას. საჭურისმა ფარდა გადასწია. ჯარისკაცები ქალებივით აცახცახდნენ და პატარა ჯგუფი შევიდა დარბაზში, სადაც ბეციური ძე დაბრძანებულიყო.

დარბაზს კედლები არ ჰქონდა და ჭერი ცისფერი ქვის სქელ სეეტებს ეყრდნობოდა. მარმარილოს სვეტებს იქით გაეშენებინათ წალეოგი, რომლის თითოეული ყვავილი იმვიათი ჯიშისა იყო და ოკეანის გადაღმიდან ჩამოეტანათ. მაგრამ არც

ერთი არ აფრქვევდა სურნელს იმის შიშით, რომ ფიქრებში წასული ზეციური დრაკონისათვის ხელი არ შეემალა. ამ სიჩუმეში იყო ჩაძირული მისი ფიქრები. გალავნის შიგნით ერთი ფრინველიც არ დაფრინავდა, ფეტკრებიც კი განედევნათ. უშველუბელზე კედელი მიჯნავდა წალეოტს გარესამყაროსაგან, რათა ბრძოლის ველზე მიმოფანტულ გვამებზე და ძაღლის მძორზე ჩამონაქროლი ქარიც კი არ გაკარებოდა იმპერატორის სახელოს.

ზეციური მეუფე ნეფრიტის ტახტზე იჯდა. ხელები მოხუცივით დანაოჭებოდა, თუმცა ოცი წლისა ძლივს იქნებოდა. მისი სამოსის მწვანე ფერი გაბაფხულს გამოხატავდა, ცისფერი კი ზამთარს მოვაგონებდათ. სახე მშვენიერი ჰქონდა, მაგრამ არაფრისმეტყველი, იმ სარკესავით, ძალიან მაღლა რომ კიდია და მხოლოდ ვარსკვლავებსა და უმოწყალო სას რომ ირეკლავს. მარჯვნივ უბენაეს სიამეთა გამრიგე ედგა, მარცხნივ კი წამებათა მართლმსაჯული. სვეტებთან ჩარიგებულ ხელქვეით ყურები დაეცქვიტათ, რათა მის ბავეთაგან დაცდენილი უმცირესი ბგერაც კი გაეგოთ. ისიც შეჩერდა ხმადაბლა ლაპარაკს.

— ზეციურო მეუფე, — მოახსენა მიწამე გართხმულმა უან-ფომ. — მე მოხუცი ვარ, დატაკი და სუსტი. შენ ზაფხულს პგავხარ, მე კი ზამთარს. შენ ათი ათასი სიცოცხლე გაქვს, მე კი მხოლოდ ერთი და ისიც იწურება. რა დაგიშავე? ხელები გამიკრეს; ამ ხელებს არასოდეს მიუყენებიათ

შენთვის გიანი.

— შენ მექითხები, რა დაგიშავეთ, ბებერო უანჭო? — ბრძანა იმპერატორმა. ისეთი მელოდიური ხმა ჰქონდა, გულს აუჩუყებდა კაცს. მან ასწია მარჯვენა ხელი, რომელსაც ნეფრიგის კრიალა ბედაპირიდან არეკლილმა არილმა წყალმცენარეთა მომწვანო-მოლურჯო ელფერი გადაპკრა. მისი თხელი და გრძელი თითებით მოხიბლული უანჭო ცდილობდა გაეხსენებინა, ოდესმე თუ დაეხატა იმპერატორის ან მისი წინაპრების ისეთი პორტრეტი, რომლის გამოც სიკვდილს იმსახურებდა. მაგრამ ეს ძალიან სათუო იყო: აქამდე იშვიათად თუ ყოფილა იმპერატორის კარზე. სასახლის დარბაზებს მას ერჩივნა გლეხთა ქოხმახები, სანაპიროზე ჩარიგებული ფუნდუკები, საღაც მცვირთავების გაუთავებელი აყალმაყალი იდგა.

— შენ მექითხები, რა დაგიშავეთ, ბებერო უანჭო? — განაგრძო იმპერატორმა და სმენად ქსეული მოხუცისაკენ ნატიფი კისერი დახარა. — კეთილი, გეტყვი, მაგრამ რადგან შხამი მხოლოდ ჩვენივე ცხრა ღრუთი შემოიჭრება ხოლმე ჩვენში, თვალი რომ აგიხილო შენს შეცდომებზე, ჩემი მეხსიერების ტალანები უნდა შემოგატარო და მთელი ჩემი ცხოვრება მოგითხრო. მამაჩემმა შენი გილოების კოლექციას სასახლის შეუღწეველ დარბაზში მოუყარა თავი. ფიქრობდა, რომ უმეცართ არ უნდა ემზირათ სერათებზე გამოხატული პერსონაჟებისათვის, რომლებიც თვალს ვერ აარი-

დებდნენ, ვერ აიცილებდნენ მათ მზერას. ასე, სრულ სიმარტოვეში გავიმარდე ამ დარბაზებში, ბებერო უახ-ფო. ჩემს უმანკოებას აღამიანთა ჭუჭყი რომ არ შეხებოდა, მომაცილეს ჩემს მომავალ ქვეშევრდომთა მშუოთვარე ბრძოს. არავის პქონ-და ნება ჩემი კარის ბლურბლთან გაევლო, რათა კაცისა თუ ქალის ჩრდილს ჩემამდე არ მოეღწია. რამდენიმე ბებერი მსახური მომიჩინეს, მაგრამ მათაც იმვიათად ვხედავდი. დრო წრიულად მოძრაობდა. შენი გილოების ფერები განთიადისას ცოცხლდებოდნენ და მწეხრის ეამს მკრთალდებოდნენ. როცა უძილობა მომებალებოდა, შენს ტილოებს ეუმზერდი და ათიოდე წლის მანძილზე, მთელი დამჟები მათ ვეყურებდი. დღისით ფეხმორთხმული ვიჯექი ხალიჩაბე, რომლის ნახაფი ბეპირად ვიცოდი. ხელისგულებით ვეყრდნობოდი ყვითელი აბრეშუმით შემოსილ მუხლებს და ვოცნებობდი იმ სიხარულზე, რომელსაც მომავალი მიქადდა. წარმოვიდგენდი სამყაროს, რომლის შეაგელში პანის ქვეყანა იყო. ის მიაგავდა ხელისგულივით ერთფეროვან და ჩაღრმავებულ ველს, დასერილს ხეთმდინარეთის საბედისწერო ხაზებით. გარმეოთ ბლვა ერტყა, ურჩხულების სამფლობელო; უფრო მორს კი აღმართულიყვნენ მაღალი მთები, რომლებსაც ცის თაღი ეჭირათ. ყოველივე ეს შენი გილოების წყალობით აისახა ჩემს წარმოდგენაში. შენ დამაჯერე, რომ ბლვა წყლის ფართო სუფრას პგავდა, შენს ნახატებზე გადაშლილს. წყა-

ლი ისეთი ცისფერი ჩანდა, შიგ ჩაგდებული ქვა საფირონად უნდა ქცეულიყო; მეგონა, რომ ქალები ყვავილებივით იმღებოდნენ და იხურებოდნენ. ეს არსებანი ქარიან დღეში ნარნარად მიმოდიოდნენ შენი წალკოტის ხეივნებში, ხოლო ტანადი ჭაბუკი მეომრები, ციხესიმაგრეების მცველნი, თავად ისრებს ჰგეანდენ, ერთი გასროლით გულის განგმირვა რომ შეუძლიათ. თექვსმეტი წლისა ვიყავი, როცა ჩემს წინ გადაიხსნა ის ბჟე, ამა სოფლისაგან რომ მთიმავდა; სასახლის ბანბე ავედი და ღრუბლებს ავხედე. მაგრამ ისინი სილამაზით მწეხრის შენეულ ღრუბლებს ვერ შეედრებოდნენ. ვბრძანე მოეტანათ ჩემი ტახტრევანი, ჯაყჯაყით შემოვიარე ტალახიანი და ქვალორდიანი გზები, რომელთა წარმოდგენაც არ შემეძლო. მიმოვიხილე იმპერიის პროვინციებიც, მაგრამ ვერსად ვიხილე ციცინათელების დარი ქალებით სავსე შენი წალკოტები, იმ ქალებით, რომელთა სხეულები ბაღნარებს მიაგვანან შენს ტილოებზე. რიყის ქვამ ოკეანე შემაძელა. შენი ტილოების ბროწეულმა გაახუნა წამებულთა სისხლის სიწითლე. სოფლებში მწერების ფეთფუთი მიშლიდა ბრინჯის ნათესის სილამაზის ხილვას. ცოცხალი ქალების ფერ-ხორცი ისევე შემძულდა, როგორც ყასბის კავშე ჩამოკიდებული ხორცი; ჩემი ჯარისკაცების ხორხოცი გულს მირევდა. შენ მომატყუე, უან-ფო, ცბიერო ბებერო! სამყარო გიჟი მხატვრის მიერ სიცარიელეში მიმობნეული ლაქების ნარევი ყო-

ფილა, რომელსაც ჩვენი ურემლი ნიაღაგ რეცხავს. პანის სამეფო ულამაზესი მხარე არ ყოფილა და არც მე ვარ იმპერატორი. ერთადერთი სამეფო, რომლის ხელმწიფობა დირს, ის სამეფოა, რომელ-შიც შენ შეაღწიე, ბებერო უან-ფო! შეაღწიე ათასი მონასმითა და ათი ათასი უერით. მხოლოდ შენ განავებ უმფოთველად მარადთოვლიან მთებს და მარადუჭკვნობ ნარგიბოვან ველებს. ამიტომ დიდ-ხანს ვუიქრობდი, უან-ფო, რა წამება მომესაჯა შენთვის, დიახ, შენთვის, რადგან შენმა ჯადო-ქრულმა გრძნებამ შემაძულა ყოველივე, რასაც ვფლობ, და აღმიძრა სურვილი, მქონოდა ის, რის ფლობასაც ვერასოდეს შევძლებ, და იმისათვის, რომ გამოგეხო ისეთ საკანში, საიდანაც ვერა-სოდეს გამოაღწევ, გადავწყვეიტე თვალები ამოვი-შანთო, რადგან შენი თვალები ის ორი ჯადოს-ნური კარია, საკუთარ სამყაროში რომ მიგიძლვე-ბიან; შენი ხელები კი ათად განმგოებული ის ორი გზაა, შენი სამეფოს გელამდე რომ მიჰყავ-ხარ, ამიტომ გადავწყვეიტე ხელებიც მოგკეთო. ახლა გამიგე, ბებერო უან-ფო?!

ეს განაჩენი რომ მოისმინა, შეგირდმა ლინმა სარტყელიდან დაებილული დანა იძრო და იმპე-რატორისაკენ წაიწია. ორმა მცველმა ხელი სტა-ცა. ზეციურმა ძემ გაიღიმა და ოხვრით დაუმატა:

– კიდევ იმიტომ მძელხარ, უან-ფო, რომ ასე შეაყვარე სხვებს თავი. მოკალით ეს ძაღლი!  
 ლინი წინ გახტა, რომ მის სისხლს მასწავლებ-

ლის სამოსი არ დაეწინწკლა. ერთ-ერთმა ჯარის-  
 კაცმა მახვილი აღმართა და ლინის თავი მოცელი-  
 ლი ყვავილივით მოსცილდა ჭანს. მსახურებმა  
 გაიგანეს უთავო გვამი, ხოლო სასოწარკვეთილი  
 უან-ფო მოხიბლული უმზერდა მეწამულს, შეგირ-  
 დის სისხლს, ლაქად რომ დაღვრილიყო მწვანე  
 ქვაფენილბე.

იმპერატორმა თვალით ანიშნა ორ საჭურისს,  
 რომ უან-ფოსთვის თვალები მოეწმინდათ.

— მისმინე, უან-ფო! — თქვა იმპერატორმა, —  
 მეიმრე ცრემლი, ახლა ტირილის დრო არ არის.  
 შენს თვალებს ნათელი უნდა შერჩეს და თვალის  
 ჩინი ცრემლით არ უნდა დაგებინდოს. იცოდე,  
 მხოლოდ შერისგებისათვის არ მსურს შენი სიკ-  
 ვდილი, მხოლოდ სისასტიკის გამო არ მინდა  
 კუყურო შენს განჯვას. სხვა მიბანი მაქვს, ბებერო  
 უან-ფო! შენი სურათების კოლექციაში მაქვს ერთი  
 საოცარი ტილო, რომელიც მთები, მდინარეების  
 შესართავი და მღება დახატული. ყოველივე საოც-  
 რად დაპატარავებულია, მაგრამ მთლიანობაში სი-  
 ნამდვილებე უფრო სინამდვილეა. ეს ტილო დაუმ-  
 თავრებელია, უან-ფო, და შენი მომავალი შედევ-  
 რი ჯერ ესკიბია. ეცყობა, როცა ხევში განმარტო-  
 ებული ხატავდი, ცაში გაფრენილი ჩიგი შეამჩნიე,  
 ან ბავშვი დაინახე, ამ ჩიგს რომ მისდევდა.  
 ჩიტის ნისკარტმა თუ ბავშვის ლოყებმა გადაგავი-  
 წყეს ტალღების ცისფერი ქუთუთოები. დაუმთავ-  
 რებელი დატოვე ბღვის მოსასხამის ფოჩები და

ელდებე მოდებული წყალმცენარეების თმებიც. მე მინდა, უან-ფო, რომ, სანამ ნათელი გიდგას თვალებში, ეს ტილო დაამთავრო. მასში ხომ ჩაიქსოვება შენი გრძელი ცხოვრების მანძილზე დაგროვილი საიდუმლოებანი. ეჭვი არ არის, რომ ხელები, რომელთაც სადაცაა წარგკეეთენ, არ აგიკანკალდება აბრეშუმის ტილოზე და ტანჯვა-ვაების განცდა უსასრულობით აღავსებს შენს ქმნილებას. შენი თვალები კი, რომლებიც სადაცაა უნდა დაგევსოს, იხილავენ ადამიანური აღქმის ზღვარზე არსებულ კავშირებს. ასეთია ჩემი სურვილი, ბებერო უან-ფო, და მე ძალმის შეგასრულებინო ჩემი ნება! თუ უარს მეტყვი, ვიდრე თვალებს დაგივსებდე, დაეაწვევინებ შენს ყველა ტილოს და შენ დაემსგავსები მამას, რომელსაც ვაჟებს უქლატენ და შთამომავლობის იმედს უსპობენ. ვირჩევ დაფიქრდე. ამ ბოლო ბრძანებას ჩემს სიკეთეს უმაღლოდე! ვიცი, რომ ტილო შენთვის ერთადერთი სატრუოა, რომლის ალერსითაც დამთვრალხარ. სიცოცხლის ბოლო წუთებში უქმად რომ არ იყო, გთავაზობ უუნჯებს, უერებსა და მელანს. ეს ხომ იგივეა, სიკვდილით დასჯის წინ ქალს რომ უწყალობებენ ხოლმე მამაკაცს.

იმპერატორმა ნეკით ანიშნა და ორმა საჭურისმა მოწიწებით შემოიგანა დაუმთავრებელი ტილო, რომელზეც უან-ფოს ზღვა და ცა დაეხატა. მხატვარმა ცრემლი მოიწმინდა და გაიღიმა, რადგან ამ პატარა ესკიზმა სიჭაბუკე გაახსენა. ტილოზე

იგრძნობოდა ჭაბუკური სიწრფელე, რომელიც ახლა უან-ფოს ვედარ ექნებოდა, მაგრამ ტილოს უდაოდ რაღაც აკლდა. ეტყობა, იმხანად უან-ფო ისე დაკვირვებით არ უჭვრეტდა მთებს, ბლვით განბანილ კბოდებს; ეტყობა სიჭაბუკეში ისე ღრმად არ გრძნობდა მწუხრის სევდას. მონამ უუნჯები გაუწოდა. მან ერთი აირჩია და დაუმთავრებელ ბლვაზე ფართოდ მოავლო ცისფერი. ფერხთით ჩაცეცქელი საჭურისი უერებს უზავებდა. ამ სამუშაოს ისე ცედად ართმევდა თავს, რომ უან-ფომ სინანულით გაიხსენა თავისი შეგირდი ლინი.

უან-ფომ ვარდისფერი დაბადო ღრუბლის ქულას, რომელიც მთას დაპუენოდა. შემდეგ ბლეის ბედაპირს რამდენიმე ნაოჭი დაუმატა, რამაც, უფრო ცხადად წარმოაჩინა მისი სიმშვიდე და სიწმინდე. ნეფრიტის ქვაფენილი უცნაურად ნესტიანდებოდა, მაგრამ ხატვით გართული უან-ფო ვერც კი ამჩნევდა, რომ ფეხები წყალში ჰქონდა. მხატვრის უუნჯმა პატარა, მსუბუქი ნავი მოაღონიერა და ახლა მას ტილოს მთელი წინა პლანი ეჭირა. უცრად შორიახლო ნიჩბების რიტმული ხმაური გაისმა, ფრთების ცემასავით ჩქარი და ლალი ხმა მოახლოვდა. ნელ-ნელა მოიცვა მთელი დარბაზი და შეწყდა. მენავის ნიჩბებზე წყლის წვეთები თრთოდნენ. ჯალათის ნაკვერჩხლებზე უან-ფოს თვალებისათვის გავარვარებული შანთი კარგა ხანია განელებულიყო. ყელამდე წყალში მდგომი, წესისამებრ გაშეშებული ჯარისკაცები თითის წვე-

რებზე იწეოდნენ. წყალმა იმპერატორის გულამდე მიაღწია. ისეთი სამარისებური სიჩუმე იდგა, მომწყდარი ცრემლის დაცემის ხმას გაიგონებდა კაცი.

დიახ, ეს ლინი იყო. ძველი, საყოველდღეო კაბა ეცვა. მარჯვენა სახელო გახეული პქონდა, ამოკემსვა ვერ მოესწრო დილით, ჯარისკაცების მოსვლამდე. ყელბე კი უცნაური წითელი შარფი ეხვია.

უან-ფომ ჩუმად მიმართა, ისე, რომ ხატვა არ შეუწყვეტია:

- მკედარი მეგონე.
- როგორ შემძლო მოუმკედარიყავი, რომა თქვენ ცოცხალი მეგულებოდით, - უპასუხა ლინმა მოწიწებით.

ლინი ოსტაგს დაეხმარა და ნავში ჩასვა. ნეფრიტის ჭერი წყალში ისე ირკელებოდა, თითქოს ლინის ნავი გამოქვაბულში მიცურავსო. ჯარისკაცების ნაწნავები გველებივით დასრიალებდნენ წყლის ბედაპირზე, ხოლო იმპერატორის გაფიორებული სახე ლოტოსივით ირწეოდა წყალბე.

- მეხედე, ჩემო მეგირდო, - სევდიანად წარმოთქვა უან-ფომ, - ეს საცოდავები ხომ დაიღუპებიან, თუ უკვე არ დაღუპულან. არ მეგონა, იმდენი წყალი თუ იქნებოდა ზღვაში, რომ იმპერატორი დაეხრჩო. რა ვქნათ?

- არ იდარდო ოსტაგო, - ჩაიჩურჩულა ლინმა, მალე მთლად გაშრებიან და აღარც კი მოაგონდებათ, ოდესმე სახელო თუ დასველებიათ. მხოლოდ

იმპერატორს ოდნავ შერჩება გულბე ზღვის სიმწარე. ეს ხალხი ფერწერის სიღრმეებში ჩასაძირად არ არის გაჩენილი.

შემდეგ კი დაუმატა:

— ზღვა მშვენიერია, ზურგქარია. ჩიტები ბუდეებს იკეთებენ. წავიდეთ, ჩემო მოძღვარო, ტალღების მიღმა მხარეში.

— წავიდეთ, — თქვა მოხუცმა მხატვარმა.

უან-ფომ საჭეს ჩაავლო ხელი, ლინი კი ნიჩბებზე დაიხარა. ნიჩბების რიტმული დგაფუნი კვლავ გახმიანდა დარბაზში. ახლა იგი გულის ძერასავით ძლიერი და თანაბარი იყო. წყლის დონე შეუმნევლად კლებულობდა ციცაბო კლდეების გარშემო, რომლებიც ნელ-ნელა ისევ სვეტებად იქცეოდნენ. მალე აქა-იქ, ნეფრიტის ფილების ღრმულებში, რამდენიმე გუბე გამოკრთა. კარისკაცთა კაბები შემშრალიყო, მხოლოდ იმპერატორის მოსასხამის ფოჩს შერჩენოდა ტალღის ქაფი.

უან-ფოს დამთავრებული სურათი იქვე იყო მიყენებული. სურათის მთელი წინა პლანი ნაჯე ეჭირა. ის ნელ-ნელა მორდებოდა ნაპირს და წვრილ ბოლად ტოვებდა კვალს, რომელიც მაშინვე უჩინარდებოდა უძრავ ზღვაზე. ნავში მჯდომი ორი მამაჯაცის სახე აღარ ჩანდა. მოჩანდა მხოლოდ ლინის წითელი შარფი და უან-ფოს გრძელი წვერი, რომელსაც ქარი აფრიალებდა.

ნიჩბების ჩქამი ძლივსდა ისმოდა. შემდეგ კი სულ მიწყდა. იმპერატორი წინ გადახრილიყო,

თვალი ხელით მოეჩრდილა და გაპყურებდა უან-ფოს ნავს, რომელიც სულ უფრო და უფრო შორ-დებოდა იქაურობას და ოდნავ შესამჩნევ ლაქად-ლა მოჩანდა გაცრეცილი მწერის ბინდში. ოქ-როსფერი ორთქლი აიბოლქვა და გაიშალა ზღვა-ზე. ნავმა შემოუარა კლდეს, რომელიც ზღვაში გასავალს ფარავდა. ციცაბო კლდის ჩრდილი დაეცა ნავს და უეაცრიელი ზედაპირიდან მისი კვალი გაქრა. მხატვარი უან-ფო და მისი შეგირდი ლინი სამუდამოდ გაუჩინარდნენ მოცისფრო ნეფრიტის ზღვაში, რომელიც უან-ფომ ეს-ესაა შექმნა.



# მარკოს ღიმილი



გემი მეღუზასავით ტივტივებდა უძრავი წყლის  
ბედაპირზე. თვითმფრინავი მწერივით გამაბეზრე-  
ბლად ბზუოდა მთებს შეა მომწყვდეულ ვიწრო  
სივრცეში. ნაშეადღევი იყო. მზე უკვე გადაიწერა  
მონტენეგროს ალპების ხრიოკი ქედის უკან. აქა-  
იქ თითო-ოროლა ხე მოჩანდა. ლურჯად გაშლი-  
ლი მოლივლივე ბლვა დილას აქეთ თანდათან  
ჩამუქდა ბალკანეთის ნაპირების უცნაურად გან-  
ლაგებულ ესწორმასწორო ფიორდებში. ერთმა-  
ნეთზე მიჯრილ ქოხმახებს, თვალწინ გაშლილ  
ცინცხალ გარემოს სლავური ელფერი დაპკრავდა;  
უერთა ყრუ სიმძაფრე და მოწმენდილი ცის სი-  
დიადე კი აღმოსავლეთსა და ისლამს მოგაგონებ-  
დათ. მგბავრების უმრავლესობა ნაპირზე გადმოვი-  
და. ისინი თეთრებში გამოწყობილ მებაჟეებს და  
სამშეირა სატევრებით აღჭურვილ, მთავარანგელო-  
ზებივით მშვენიერ ჯარისკაცებს ესაუბრებოდნენ.  
ბერძენი არქეოლოგი, ეგვიპტელი ფაშა და ურანგი

ინკინერი გემბანზე დარჩნენ. ინკინერი ლუდს სვამ-და, ფაშა – ვისკის, არქეოლოგი კი ლიმონათხ შეექცეოდა.

– ეს მხარე მაღელვებს და მიზიდავს, – თქვა ინკინერმა, ბალკანეთიდან ურალამდე გადაჭიმული ეს უბარმაზარი სლავური მიწა, ვგონებ, მხოლოდ კოტორისა და რაგუზის ნავმისადგომებით გადის ხმელთაშუა ბლვაში. მისთვის უცხოა ევროპის რეკის ნაირგვარი მოხაზულობა, ჯიუტად შეუქცევია ბურგი ბლვისათვის, რომელიც მხოლოდ კასპიის დაქბილული ღრმულით, ფინეთისა და პონტოს-ექსინოსის ყურით და დალმაგიის სანაპიროებით შეჭრილა მასში; და ამ უშეელებელ კონტინენტზე ერთა ურიცხვი სხვადასხვაობა ისევე არ არღვევს ამ იდუმალ მთლიანობას, როგორც ტალღების მრავალფეროვნება ბლვის დიდებულ მონოგონურობას. მაგრამ, ამჯერად, კოტორი მაინტერესებს და არა ისტორია და გეოგრაფია, სწორედ ეს კოტორი, ამ იტალიური გემიდან რომ ვხედავთ, – კოტორის პირი, როგორც თვითონ მკვიდრი უწოდებენ, – პირქუში, გორაკებში ჩამაღული, სეტინამდე დაკლაკნილი ბილიკი რომ გასდევს. ცოტა უფრო პირქუში კოტორიც მიზიდავს – სლავური რაინდული ლეგენდებისა და სიმღერების მხარე. მუსულმანური ალბანეთისაგან გადაბირებული, მოღალატე კოტორიც მხიბლავს. თქვენ კარგად უწყით, ფაშა, რომ სერბების ეპიკური პოემია სამართლიანი ვერ იქნება ალბანელთა მიმართ. თქვენ კი, ლუკიადის,

ისევე კარგად რომ იცნობთ წარსულს, როგორც ფერმერი – საკუთარი კარ-მიდამოს ყოველ კუნ-ჭელს, მითხარით ერთი, თუ გსმენიათ რაიმე მარკო კრალიევიჩზე?

– მე არქეოლოგი გახდავართ, – უპასუხა ბერძენმა და ჭიქა მაგიდაზე დადო. – ჩემი ცოდნა ქვის კოდვის იქით არ მიდის. თქვენი სერბი გმირები კი პირდაპირ ცოცხალ ხორცს ჩეხავდნენ. თუმცა უნდა ვაღიარო, რომ ამ მარკომ მეც დამაინტერესა და მის კვალს ლეგენდის წარმოშობის ადგილიდან საკმაოდ შორს მივაგენი – ნალდ ბერძნულ მიწაზე, სადაც თავის დროზე, ლეთისმოსავმა სერბებმა ბევრი ლამაზი მონასტერი აღმართეს.

– ათონის მთაზე, – გააწყვეტინა ინჯინერმა, – სადღაც სწორედ ამ მთაზე განისვენებს მარკო კრალიევიჩის გიგანტური ძვლები. შეა საუკუნეების მერე, იქ არაფერი შეცვლილა; მაგრამ გრძელ-წერა ექვსიათასი ბერი დღესაც ლოცულობს თავიანთი ლეთისმოსავი მფარველების, ტრაპიზონის პრინცების სულების გადასარჩენად. არადა, მათი გვარეულობა საუკუნეებია, რაც გადაშენდა. რა სასიამოვნოა, რომ დავიწყება არც ისე სწრაფად ხდება და არც ისე ყოვლისმომცველი ყოფილა, როგორც ფიქრობენ ხოლმე; და რა კარგია ისიც, რომ დედამიწაზე კიდევ მოიძებნება ადგილი, სადაც ჯვაროსნების ხანის დინასტია დღემდე ცოცხლობს მოგი მოხუცი მღვდლის ლოცვებში. თუ არ

ვცდები, მარკო ოფომანთა წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა ბოსნიაში თუ კროატიის მხარეს, მაგრამ მისი უკანასკნელი სურვილი ყოფილა წმინდა მიწაზე, სინას მთაზე, გასთხოთა სამარე. მართალია, აღმოსავლეთის ბლვების რიფები და თურქთა ჩასაფრებული გალერები სახიფათო იყო, მაგრამ მაინც მოახერხეს ნავით მისი ცხედრის გადასვენება. მშვენიერი ამბავია; არ ვიცი, რატომ მახსენებს იგი არტურის უკანასკნელ გადასვლას ზღვაზე...

გმირები დასავლეთშიაც არიან, მაგრამ გნეობის ჯავშნით თითქოს ისე შებოჭილან, როგორც მუა საუკუნეების რაინდები ჯაჭვის პერანგით. ეს ველური სერბი კი ნაღდი გმირია, სულით ხორცამდე გმირი. მარკო თავს რომ ესხმოდა, თურქებს ეჩვენებოდათ მთიდან მუხა გვეცემაო. აკი გითხარით, იმ ხანებში მონტენეგრო მაპმადიანებს ეკუთვნოდა მეთქი. სერბთა მცირერიცხოვან რაზმებს წინადაცვეთილ ებრაელებთან ხელჩართულ ბრძოლებში უჭირდათ ჩერნოვორას, იმ შავი მთის, წართმევა, საიდანაც ამ მხარის სახელწოდება მოდის. მარკო კრალიევიჩი საიდუმლო ურთიერთობებს ამყარებდა ურჯულოთა ქვეყანაში სახელდახელოდ მოქცეულ ქრისტიანებთან, უკმაყოფილო მოხელეებთან და ფაშებთან, რომელთაც შერისხვა ან სიკვდილი ემუქრებოდათ. მარკოს სხვა გზა არ ჰქონდა, იგი პირისპირ უნდა მეხვედროდა თანამზრახველებს; მაგრამ გოლიათური აღნაგობის

გამო, ვერ ახერხებდა ბრმა მუსიკოსად, მათხოვ-  
 რად ან ქალად გადაცმული მტერთან შეპარვას,  
 არადა, მარკო ისე ლამაზი იყო, გადაცმული  
 შეიძლება ქალადაც მიგეღოთ; მაგრამ მის წაგრძე-  
 ლებულ ჩრდილს შეეძლო მისი გაცემა. უკაცრიელ  
 ნაპირთანაც ვერ იუიქრებდა ნავის მიყენებას:  
 კლდეებში ჩასაფრებული უამრავი გუმაგი ფხიზ-  
 ლად უდარაჯებდა მარკოს, მაგრამ იგი არა და  
 არ ჩანდა. ნავს თუ თვალს აღვილად მოჰკრავდ-  
 ნენ, კარგი მოცურავე ისე გაუჩინარდებოდა წყლის  
 დინებაში, რომ თევზების გარდა კაციშვილი ვერ  
 მიაგნებდა მის კვალს. მარქოს ტალღების მო-  
 ნუსხვა შეეძლო. იგი თხვის ითაკელ მებობელ  
 ულისესავით მშვენივრად ცურავდა. მარკო ქალე-  
 ბსაც ხიბლავდა. ზღვის ზვირთებს ხშირად გაპყავ-  
 დათ იგი კოტორისაკენ, ხის სახლისაკენ, რომე-  
 ლიც ტალღებისაგან ირწეოდა. სკუტარის ფაშას  
 ქვრივი მარკოზე ფიქრით დამეებს თეთრად ათე-  
 ნებდა, დილდილაობით კი მის მოლოდინში სული  
 ელეოდა. ქვრივი ჭაბუკს ზეთით უზელდა ზღვის  
 ამბორით მემცივნებულ სხეულს. მსახურებისაგან  
 ფარულად თავის ლოგინში ჩაათბუნებდა ხოლმე.  
 მსგოვრებსა და თანამზრახველებთან დამეულ შეხ-  
 ვედრებს უადვილებდა. გათენებისას სამგარეულოს  
 მიაშერებდა ხოლმე და საყვარელ კერძებს უმზა-  
 დებდა. მარქო მიეჩვია მის ჩამოცვენილ ძებუებს,  
 სქელ უეხებს, გადაბმულ, ხშირ წარბებს, შეეგეა  
 ხანშიშესული ქალის ეჭვიან და ხარბ სიყვარულს.

ერთი რამ აცოფებდა მხოლოდ: როცა მარკო მუხლმოყრილი პიჯვარს იწერდა, ქალი იფერთხებოდა ხოლმე. ერთ დამეს ქვრივი, ჩვეულებისამებრ, სამზარეულოში ჩავიდა და მარკოსათვის საჭმლის მომზადებას შეედგა; მარკო მეორე დილას რაგუზში ცურვით აპირებდა დაბრუნებას. ქვრივს ცრემლები აღრჩობდა და ისე გემრიელად ვერ მოამზადა კერძი, როგორც სხვა დროს. ბატკნის ხორცი ცოტა მიეწვა. მარკო ნასვამი იყო. მოთმინების ფიალა ავსებოდა. ქონიანი ხელებით ქვრივს თმებში სწვდა და დაიღრიალა:

- ემმაჟის კერძო, ბებერი თხის ხორცი გინდა მაჭამო?
- თხა მშენიერი იყო, - უპასუხა ქვრივმა, - თანაც არვემი ყველაზე ჯეელი.

- შენი ჯადოიანი ხორცივით იყო გამომშრალი და შენსავით ყარდა, - თქვა მთვრალმა ჭაბუქმა, - თავად მოიხრაკებოდე მასავით!

და მარკომ კერძიანი თეფში ფეხით მოისროლა ღია ფანჯრიდან, რომელიც ბლვას გადაჰყურებდა.

ქვრივს კრინგი არ დაუძრავს. ქონით მოსეროლი იაგაკი მორეცხა, ტირილით დასიებული სახეს მოიბანა, ისევე ალერსიანად და ვნებიანად მიესყვარელა, როგორც წინა საღამოს. გათენებისას კი, როცა ჩრდილოეთის ქარმა ყურის გაღლები ააფორიაქა, დაუყვავა და ურჩია, მგზავრობა გადასდეო. მარკო დასთანხმდა და პაპანაქება სიცხეში დასასვენებლად წამოწვა დარაბებიან ფანჯარას-

თან. როცა გაიღვიძა, ერთი ბანგად გაიზმორა და  
 უცებ ფანჯარაში მოელვარე ხმლები დაინახა:  
 თურქი ჯარისკაცები ალყას არტყამდნენ სახლს  
 და ყველა გასასვლელს კეტავდნენ. მარკო გაექანა  
 აივნისაკენ, რომელიც ბლვას გადაჰყურებდა. აქა-  
 ფებული ტალღები გამაყრუებელი გათქით ასკე-  
 ბოდა კლდეებს. მარკომ პერანგი შემოიხია და  
 თავით გადაეშვა ამ ქარიშხალში. ასეთ ამინდში  
 ნავითაც კი ვერ გაბედავდა კაცი ბლვაში გასვლას.  
 მარკომ მთებს გადაუფრინა და ტალღებში გაუჩი-  
 ნარდა. ქვრივი წარუძღვა ჯარისკაცებს და ისინი  
 სახლში შეცვიდნენ, მაგრამ ჭაბუკი გოლიათი  
 ვერსად ნახეს. იგი გამქრალიყო. ბოლოს პერანგის  
 ნაფლეთებით და დამტვრუელი რიკველებით, რო-  
 გორც იქნა სწორ კვალს დაადგნენ. შეშინებულნი  
 და იმედგაცრუებულნი ღრიალით მიაწყდნენ პლაქს,  
 თან უკან იხევდნენ, რადგან ტალღები უფრო და  
 უურო მეტი გამმაგებით ეხეთქებოდა ნაპირს. ქა-  
 რის ბუზუნი მარკოს სიცილად ეჩვენებოდათ. აქა-  
 ფებული ტალღები რომ მოზღვავდებოდა, ეგონათ,  
 მარკო სახეში გვაფურთხებსო. ორ საათს ცურავ-  
 და მარკო, მაგრამ ერთი მტკაველითაც კი ვერ  
 წაიწია წინ. ჯარისკაცები თავში უმიზნებდნენ,  
 მაგრამ ქარი შებებს მიმართულებას უცვლიდა.  
 მარკოს ხან ტალღა მთანთქამდა, ხან კი ბედ  
 მოექცეოდა. ბოლოს ქვრივმა ვიღაც ალბანელის  
 ქამარს თავისი მოსასხამი მაგრად გამოანასკვა  
 და ერთმა მარჯვე მებაღერმა აბრეშუმის ამ

ლასოთი მარკოს დატყვევება მოახერხა. თითქმის გაგუდული მოცურავე ნაპირზე გამოათრიას. მშობლიურ მთებში ნადირობისას მარკოს შემჩნეული პქონდა, როგორ მოიმკვდარუნებდა ხოლმე თავს ნადირი, მონადირეს იქვე რომ არ მოეკლა. ინსტინქტმა უკარნახა, ამ ეშმაკობისთვის მიემართა. გაფითრებული ჭაბუკი თურქებმა ნაპირზე რომ გამოათრიას, სამი დღის მკვდარს პგავდა: ციფი იყო და გაშემებული. ქაფით შესვრილი თმები საფეთქლებს მიკვროდა. მის უძრავ თვალებში ცისა და ბინდის უკიდეგანობა აღარ ირეკლებოდა. მარილიანი ტუჩები ჩაცვენილ ყბებს შეჰყინვოდა. ხელები ჩამოშვებოდა, განიერი მკერდი კი მის გულისცემას ფარავდა. სოფლის თავკაცები მარკოსაკენ დაიხარნენ, გრძელი წვერებით სახეს შეეხნენ, მერე კი ყველამ თავი ასწია და ერთხმად წამოიძახა:

— ალაპ, დამპალ თხუნელასავით არ გასძრობია სული; ჩაძალებულა და ეგ არი. ზღვაში ვისროლოთ, ჩვენი მიწა მისი სხეულით რომ არ წაიბილწოს.

ამ სიტყვებზე ქვრივს ჯერ ტირილი აუკარდა, მერე კი სიცილი დაიწყო:

— ქარიშხალი არ კმარა მარკოს დასახრჩობად და ყულფიც ვერ გაგუდავს. მკვდარი ხომ არ გვთნიათ? ზღვაში თუ გადააგდეთ, იგი ტალღებს ისევე მონუსხავს, როგორც მე, საცოდავი ქალი, მომნუსხა. ტბლდები სამშობლოსაკენ გაიყვანს. ჩა-

ქუჩი მოიტათ და ლურსმნები: მისი ღმერთივით ჯეარს აცვით ეგ ძაღლი; მოვა და დაეხმარება, თუ რა? გამიგონეთ და ნახავთ მუხლები ტკივილისაგან თუ არ მოეკეცოს და წყეულ პირს ყვირილი თუ არ დასცდეს.

ჯალათებმა ნავების შემკეთებლის დაბგიდან ჩაქუჩს და ლურსმნებს დაავლეს ხელი. სერბ ჭაბუქს ხელები გაუხვრიტეს და ფეხებშიც აქა-იქ ლურსმნები გაუყარეს. მაგრამ წამებულის სხეული არ შეტოკებულა. მისი უმეტყველო სახე არ შეთრთოლებულა. სისხლიც კი წვეთ-წვეთად და ნელა სდიოდა ჭრილობიდან, რადგან მარკო ისევე მბრძანებლობდა თავის ძარღვებს, როგორც თავის გულს. მაშინ უხუცესმა თავკაცმა შორს მოისროლა ჩაქუჩი და საწყალობლად წამოიყვირა:

— ალაპმა შეგვინდოს მისვალებულის ჯვარუმა! მოდით, გვამს კისერზე დიდი ქვა გამოვაბათ. დაე, სამუდამოდ დამარხოს მდის ფსკერმა ჩვენი ცოდვა და უკან აღარ ამოგვიტივტივოს იგი.

— ათასზე მეტი ლურსმანი და ასზე მეტი ჩაქუჩია საჭირო მარკო კრალიევიჩის ჯვარუმისათვის, — თქვა ბოროტმა ქერივმა. გულზე ნაკვერჩხლები დააყარეთ და ნახავთ, ჭიაყელასავით თუ არ დაიგრიხოს ტკივილისაგან.

ჯალათებმა მუმანავის ქურიდან ნაკვერჩხალი აიღეს და მდვის წყლისაგან გათოშილი ჭაბუკის მკერდს წრიულად დააყარეს. ნაკვერჩხალი გაღივდა, შემდეგ ჩაიჭერფლა და გამხმარი წითელი

ვარდივით ჩამუქდა. ცეცხლმა მარკოს მკერდგე დიდი ჩანახშირებული რკალი დატოვა, იმ წრის მსგავსი, ცეკვისას ჯადოქრები რომ შემოაელებენ ხოლმე ბალახზე. ჭაბუკს ერთხელაც არ დაუკავშია და ერთი წამწამიც არ შერჩევია.

— ალაპ,— თქვეს ჯალათებმა, — კიდევ ერთხელ შევცოდეთ. მკვდრის წამების უფლება მხოლოდ ღმერთს აქვს. მარკოს ძმისწულები და ბიძაშვილის შვილები ამ შეურაცხყოფისათვის ჟასუსს გვაგებინებენ; მოდით, გვამი დიდი ქვებით სავსე ტომარაში ჩავაგდოთ და მაშინ ზღვაც ვერ მიხედვია ვინ გადავუგდეთ ჩასანთქმელად.

— თქვე საცოდავებო, — თქვეა ქერივმა, — ეგ ჭაბუკი, ხელით ჯვალოსაც გაარღვევს და ქვებსაც შორს მოისვრის. ახლა კი მოაყვანინეთ სოფლის გოგოები და უბრძანეთ მის გარშემო ქვიშაზე, ცეკვა გააჩაღონ. აი, მაშინ კი ნახავთ, რას უზამს მას სიყვარული.

უხმეს ყმაწვილ ქალებს. მათ სასწრაფოდ გადაიცვეს სადღესასწაულო სამოსი; დოლები და ფლეიტებიც თან წაიგანეს. ერთმანეთს ხელები ჩაეთდეს და გვამს წრედ შემოერგყნენ. მათ შორის უღამაზესმა წითელ ხილაბანდს დაავლო ხელი და ცეკვა დაიწყო. იგი შავგრემანი იყო. მაღალი, თეთრი ყელი პქონდა და სხვა ქალიშვილებზე განწერწეტა ჩანდა. მისი მიხვრა-მოხვრა შვლის ნავარდსა და მიმინოს ლივლივს მიაგავდა. შიძველი ფეხებით ოდნავ ეხებოდა უძრავად გამოტილ

ჭაბუკას. მარკოს გელი შეუტოკედა. მერე ისე მძაფ-რად და აჩქარებულად დაუწყო გელმა ძგერა, მეემინდა გარშემომყოფთ არ გაეგონათ. და უცებ, თითქოს საკოცნელად ემზადებიანო, მის ბაგეებზე ტკივილნარევი ბედნიერების ღიმილი დაიხადა. მოახლოებული ბინდის წყალობით ჯალათებმა და ქვრივმა ვერ შეამჩნიეს სიცოცხლის ეს ნიშანწყალი. აიშე ცისფერ თვალებს არ აცილებდა მარკოს სახეს, საოცრად ლამაზი ეჩვენებოდა ჭაბუკა. უცებ, მისი ღიმილის დასაფარავად ქალიშვილმა წითელ ხილაბანდს ხელი უშვა და ამაყად წარმოთქვა:

— არ შემუერის მკვდარი ქრისტიანის წინ ცეკვა და მისი სახის ყურება; ტუჩებზე ხილაბანდი წავაფარე, რადგან მისი ერთი მეხედვაც კი გიბბლსა მგვრის.

აიშემ ცეკვა განაგრძო, სურდა ჯალათების ყურადღება მოედუნებინა და ლოცვის დაწყებამდე შეიქცია ისინი. მაშინ ნაპირიდან ყველა წავიდოდა. როგორც იქნა მინარეთის მაღალი კოშკიდან ვაისმა ხმა, რომელიც მოსავთ ღვთის სადიდებლად უხმობდა. მამაკაცებმა უბრალო, პატარა მეჩეთს მიაშურეს. დაღლილი ქალიშვილებიც ქოშების ბაკუნით მწერივად გაემართნენ ქალაქისაკენ. აიშეც ქალაქის გზას გაუყვა, მაგრამ წასევლისას რამდენჯერმე უკან მოიხედა. გვამის სადარაჯოდ მხოლოდ გაეკრპებული ქვრივი დარჩა. უცებ მარკო წამოიწია. მარჯვენა ხელით მარცხენიდან ლურსმა-

ნი ამოიგლიჯა, მწითური თმებით ქვრივი მიიზიდა და და ლურსმანი გაურჭო ყელში. შემდევ მარცხენა ხელით ამოიძრო მარჯვენაში ჩარჩენილი ლურსმანი და ქვრივს შებლში ჩაასო. ფეხებიდან მოიგლიჯა ქვის ორი სოლი და ქვრივს თვალები დასთხარა; და როცა ჯალათები მობრუნდნენ, მიშველი ჭაბუკის ნაცვლად ნაპირზე ხნიერი ქალის დაკრუნჩხელი გვამი დახვდათ. ქარიშხალი ჩადგა, მაგრამ ნავები ამაოდ გავიდნენ მარკოს საძებნელად. იგი ტალღებში გაუჩინარდა. თავისთავად იგულისხმება, რომ მარკომ ეს ქვეყანა დაიპყრო და ის ლამაზი ქალიშვილიც მოიტაცა, ღიმილი რომ მოსწყვიგა მის ბაგეს.

მართალი გითხრათ, არც მარკოს დიდება მიჩქებს გულს და არც მათი ბეღნიერება. მე მაოცებს ტანჯვისა და ნეტარების ეს საოცარი შეხამება – ღიმილი წამებულის ბაგეზე, რომლისთვისაც სიყვარულის მოთმენა უტკბილესი წამება აღმოჩნდა. შეხედეთ, საღამოვდება. ძნელი წარმოსადგენი არ არის კოტორის პლაჟზე, ნაკვერჩხლების შუქზე შეჯგუფებული ჯალათები, მოცეკვავე ქალიშვილი და ჭაბუკი, რომელიც მის სილამაზეს ვერ უძლებს.

– უცნაური ამბავია, – თქვა არქეოლოგმა, – თქვენი ვერსია თანამედროვე უნდა იყოს. ვფიქრობ, უფრო ადრინდელი სხვაც უნდა არსებოდეს. აუცილებლად გავიკითხავ.

– რა საჭიროა, – თქვა ინჟინერმა, – რაც მოგიყევით, იმ სოფლის გლეხებმა მიამბეს, სადაც

ამ გამთარს გვირაბს ვთხოიდით აღმოსავლეთის ექსპრესისათვის. კარგის გარდა რა მეტქმის თქენს ბერძენ გმირებზე, ლუკიადის! სევდა რომ შემოაწვებოდათ, ისინი კარვებიდან არ გამოდიოდნენ ხოლმე, მევობარი დაეღუპებოდათ და ხმა-მაღლა მოთქვამდნენ, დაპყრობილი ქალაქების გარშემო მტერთა გვამებს უეხებით ათრევდნენ, მაგრამ მერწმუნეთ, ლუკიადის, ილიადას ნამდვილად აკლია აქილეესის ღიმილი.



# მკვდრის რძე



ტურისტები ერთფეროვან გრძელ მწკრივად მი-  
 უყვებოდნენ რაგუზის ფართო ქუჩას. თვალი გა-  
 ურბოდათ ყაითნით მორთული ქუდებისა და მოქა-  
 რებული სამოსისაკენ, რომლებსაც ქარი აფრიალე-  
 ბდა ფარდულთა ზღურბლზე. გემბანზე მეჯლისს  
 ეპირებოდნენ და დაეძებდნენ იაფფასიან საჩუქ-  
 რებს, საკარნავალო კოსტუმებს. ცხელოდა ისე,  
 ჯოჯოხეთშიც რომ არ ცხელა აღბათ. ხვატისგან  
 გადახრუკელი მთები ცეცხლის ენებივით შემო-  
 ნობოდნენ რაგუზას. უილიპ მიღლი გერმანულ  
 ლუდხანამი შევიდა. ჩაბნელებულ და შეხუთულ  
 ბარში ბუზები ბზუოდნენ. რესტორნის ტერასა ად-  
 რიატისკენ გადიოდა და აქ, ამ შეა ქალაქში,  
 უცრად გადახსნილი მოლურჯო სივრცე კიდევ  
 ერთ ახალ უერს მატებდა ბაზრის სიჭრელეს.  
 აყროლებული თევზის გროვას შესეოდნენ თეთრ-  
 ზე უთეთრესი თოლიები. სიო არ იძეროდა. ინკი-  
 ნერი ჟიულ ბუტრენი მაგიდას მისჯდომოდა და

სვამდა ალისფერი საჩრდილობლის ქვეშ, რომელიც შორიდან ბლვაში მოტივივე უშველებელ ფორმობალს ჰგავდა. ის და ფილიპი ერთი კაიუტიდან იყვნენ.

— ახლა რაიმე სხვა მიამბეთ, ჩემთ კარგო, — უთხრა ფილიპმა და ჩამოჯდა. — ბლვაში გასვლამდე ვისკი მჭირდება, ვისკი და რაიმე საინტერესო ამბავი, მშვენიერი და თან, რაც შეიძლება, დაუჯურებელი. ეგებ გადამავიწყდეს, აგერ ახლა სანაპიროზე რომ ვიყიდე, ამ გამეოთებში ატეხილი ცრუპატრიოტული მითქმა-მოთქმა და ქიმპი. იტალიელები სლავებს ლანძღავენ, სლავები — ბერძნებს, გერმანელები — რუსებს, ფრანგები — გერმანიასაც და ინგლისსაც. დარწმუნებული ვარ, ყველა მართალია. ეპ, მოდი სხვა რამებე ვილაპარაკოთ... პო, მართლა, რა პქენით გუმინ, სკუტარში რომ გინდოდათ წასვლა და რაღაც ტურბინების დაფალიერება?

— არაფერი, მიუგო ინჟინერმა, — არაფერი, კაშხალის მშენებლობას ბოლო არ უჩანს. ლიდანს ვეძებე კომპი. ბებერი სერბი დედაკაცებისაგან იმდენი რამ მსმენია სკუტარის კოშკზე, მინდოდა, საკუთარი თვალით მენახა, მისი ნანგრევები მართლა თუა თეთრად ჩამოლვარული... მაგრამ, როგორც ჩანს, დრომ თავისი ქნა, ომიანობამ — თავისი. თანაც იქაურ გლეხებს კედელ-ყურის შესამაგრებლად აგურ-აგურ გაუზიდავთ კოშკის ნაშალი და ახლა ამ კოშკის ამბავი ბლაპრენებშიდა შემოწ-

ჩენილა. პო, მართლა, ფილიპ, კარგი დედა გყავთ?

— აბა, რას მეკითხებით, — გულგრილად შეე-პასუხა ახალგაზრდა ინგლისელი. — დედაჩემი ლამაზია, თხელი, შეღებილ-შეთხისნილი, ვიგრინის მინასავით გამძლე და ამტანი. აბა, მეტი რაღა გითხრათ? ერთად რომ მივდივართ საღმე, ყველას მისი უმცროსი ძმა ვგონივარ.

— ეჲ, თქვენი არ იყოს, ჩვენც ყველაფრის ამტანები ვართ. რომელი ჭეუათამყოფელი იტყვის, რომ ჩვენს ეძოქას აკლია პოეზია, რომ არ პყავს თავისი სიურრეალისტები და წინასწარმეტყველები, თავისი კინოვარსკვლავები და დიქტატორები. მერწ-მუნეთ, უილიპ, თუ რამე გვაკლია, გვაკლია სინალ-დე აბრეშუმი ხელოვნურია, საკვები ხელოვნურიცაა და უგემურიც. სადღა არიან ქალები, სიბერესა და ბედის სიმუხთლეს რომ არ ეპუებოდნენ. უბირი ხალხის ლეგენდებში თუ წააწყდებით დედებს, შეიღის ყოლა რომ ეამაყებათ, ძეძუებიდან რომ რძე ეღვრებათ და თვალთაგან — ურემლი. სადღაც ყური მოვკარი, რომელიღაც პოეტმა თურმე ქალის შეყვარება ვერ შეიძლო, რადგან წინა ცხოვრებაში ანტიგონეს შეპხვედროდა. ეგ ვიღაცაა, მე მგვანებია. ანდრომაქედან გრიზელდამდე იმდენი საოცარი დედა და საგრფო იყო, რომ გული აღარ მიმდის თოჯინების მსგავს ქალებზე, რომლებითაც სავსეა ჩვენი სინამდვილე.

— იმოლდას სატრუთოდ ვინაფრებდი, მშეენიეროდეს კი — დად. პო, დედად ვის ვისურვებდი

და... ერთ ყმაწვილ ქალს ალბანური ლეგენდიდან, იქაური ჭაბუკის ცოლს.

ჰოდა, იყო სამი ძმა. ისინი კოშქს აშენებდნენ მოთარეშე თურქების სათვალთვალოდ. სამად სამნი შეეჭიდნენ საქმეს. მუშახელი ძვირადაც ფასობდა და შოვნაც ჭირდა. ცოლებს რიგრიგობით მიშქონდათ მათთვის საჭმელი. როგორც კი ისლით გადახურვაზე მიღებოდა საქმე, უფალმა რომ ბაბილონის გოდოლი დამხო, ასე ანგრევდნენ კოშქს ავი სულები და დამით მოვარდნილი ქარი. საცა სამართალია, დანგრევის მიზები კალატობთა გაუწავავობა, ნაყარი ნიადაგი ან უვარგისი დუღაბი უნდა ყოფილიყო. მაგრამ სერბი, ალბანელი და ბულგარელი გლეხები ერთადერთ მიზებს ცნობდნენ: კოშქი ჩაიქცეოდა, კედელში თუ არ ჩააგანდნენ ჭაბუკს ან ასულს; ჩონჩხს ქვების მძიმე გროვა განკითხვის დრემდე უნდა შეემტკიცებინა. არტაში, საბერძნეთში, დღესაც გიჩვენებენ ხიდს, რომელშიც ყმაწვილი ქალია ჩაკირული. ნაპრალიდან გამოჩრიოდი მისი ჩალისფერი თმა დამდრალი ბალახივითაა წყალზე გადმოკიდებული.

ძმები უნდოდ უმზერდნენ ერთმანეთს. თითოეული ცდილობდა, მისი ჩრდილი არ დასცემოდა მოუმთავრებელ კედელს. რაკი სხვა საშეელი არ იყო, ხომ შეიძლებოდა, ჩაეშენებინათ ჩრდილი – ადამიანის ეს რაღაც შავი წაგრძელება, რომელიც, ვინ იცის, ეგებ მისი სულიცა. ვის ჩრდილსაც დააზყვევებდნენ, ის მოკვდებოდა, როგორც კვდებო-

ან ხოლმე ტრფობის სევდით შეპყრობილნი.

საღამოობით ძმები ცდილობდნენ ცეცხლიდან კარგა მოშორებით დამსხდარიყვნენ. ემინოდათ, უკიდან ვინმე არ წამოჰქარეოდათ, ჯვალოს ტომარა არ წაეფარებინა მათი ჩრდილისთვის, შიგ არ გამოემწყვდია და თან არ წაეტანა მოფართხალე მტრედივით. გარჯის სურვილმა იკლო. დაღლილობისგან კი არა, დარღისგან ასხამდათ ოფლი გარუჯულ შუბლზე.

ერთხელ უფროსმა ძმამ უმცროსები მოიხმო და უთხრა:

— ძმებო, ჩემთ უმცროსო ძმებო, გიარნო სისხლით, დედის რძითა და ნათლისდებით! კომკი თუ ვერ ავაშენეთ, თურქები ისევ შემოადგებიან გბის ნაპირებს, ლაქაშებში ჩაგვისაფრდებიან, გაგვიბახებენ სოფლის გოგოებს, გადაგვიწვავენ ჯეჯილს — ხვალინდელი ლუკმის იმედს; ხეხილის ბაღებში საფრთხობელებზე ჯვარს აემევენ გლეხებს და ყორანთა კერძად გახდიან. ჩემთ უმცროსო ძმებო, ჩვენი უერთმანეთობა არ იქნება. სამყურა ბალახმა ერთ-ერთი ფერცელი რომ გაწიროს, არ ივარგებს. მაგრამ ხომ გვეყავს ახალგაზრდა და ჯანიანი ცოლები. მხრები და ლამაზი კისერი შეჩვეული აქვთ ტვირთის ზიდვას. წინასწარ ნურაფერს ნუ გადავწყვეტთ. ბედს მივენდოთ. დილას კოშკში ჩავაგანოთ ჩვენი ცოლებიდან ერთ-ერთი, ის, ვინც საჭმელს მოგვიგანს. ჩემთ უმცროსო ძმებო, დამედემილი გვმართებს. ცრემლის ღვრითა და ოხვრით

ნუ ჩავეხვევით ცოლებს, ბოლოს და ბოლოს, სამა-  
დან თრს ხომ უწერია სიცოცხლე და ჩამავალი  
მზით გახარება.

უფროსი ძმისთვის იოლი იყო ამის თქმა. არაუის  
უმხელდა, თორებ ცოლი უჯავრებოდა, უნდოდა,  
თავიდან მოეცილებინა და მის მაგიერ თმაწითელი  
ბერძენი ლამაზი გოგო მოეყვანა. შეათანა არ  
შეპასუხებია. იფიქრა, შინ მივალ თუ არა, ცოლს  
გავაუროთხილებო. მხოლოდ უმცროსი შეედავა, რაღ-  
გან ჩვევად არ პქონდა სიტყვის გატეხა. მაგრამ  
უფროსი ძმების დიდსულოვნებამ შეძრა, ისინი  
ხომ საერთო საქმეს სწირავდნენ ცოლს, ამქეუყნად  
ყველაზე ძვირუას არსებას. დასთანხმდა ძმებს და  
დაპპირდა, მთელ ლამეს კრინტს არ დაეძრავო.

სოფელში დაბრუნდნენ შებინდებისას, რომა  
ჩამავალი მზის აჩრდილები ჯერ კიდევ დაბორია-  
ლობდნენ ველ-მინდვრებზე. შეათანა ძმა უგუნებოდ  
ჩანდა. შეუღრინა ცოლს, ჩექმების გაძრობაში  
წამებმარეო. ქალი რომ ჩაცუცქდა, სახეში ჩაამილა  
წიხლი და მიახალა:

— აგერ რვა დღეა, პერანგი არ გამომიცვლია  
და ერთი კვირაა ეს საცვალი მაცვია. შე თხერო,  
ხვალ ინათებს თუ არა, ტბაზე წაეთრევი შენი  
ხახალიანად! იცოდე, თუ იქიდან ფეხი მოვიცვლია,  
მოგკლავ!

აცახცახებულმა ქალმა აღუთქვა, ხვალინდელ  
დღეს სარეცხის რეცხვაში გავატარებო.

უფროსიც დაბრუნდა შინ. მტკიცედ პქონდა გადა-

წყვეტილი, არაფერი არ ეთქვა ქალისთვის, რომლის ალერსი მოყირჭებული პქონდა და რომლის ტლანქი სილამაზე აღარ ხიბლავდა. მაგრამ უფროს ძმას ერთი ზნე სჭირდა: ძილში ბოდვა იცოდა. ჩაგოდრებული დედაკაცი მთელ ღამეს ფხიბლობდა, საგონებელში იყო, რა უნდა სწყენოდა მის პატიონს? უცრად ქმარმა საბანი წაიფარა და წაიბურტყენა:

— ჩემო თავო, შე საწყალო ჩემო თავო, მალე დაქვრივდები. როგორ მოისვენებ, ამ შავ ქალს რომ მოგამორებს კოშეის აგურები.

უცროსი ძმაც დაბრუნდა შინ. ბედს იყო მინდობილი. უერი აღარ ედო, თითქოს გზად შემოჰყოდეს მხარზე ცელგადებული, სამკალად გამოსული სიკვდილი. ტირიფის აკვნიდან ბაეშვი აიგაფა და გელში ჩაიკრა. ნაბად მიიხუტა თავისი ახალგაზრდა ცოლი. ქალი გრძნობდა, მის მკერდზე მთელ ღამეს როგორ დერიდა ცრემლს ქმარი. მაგრამ სათნო და სათუთ ქალს არ უკითხავს წუხილის მიზები. თუ სურს, თვითონვე გამიხსნის გულსო, ფიქრობდა. თანაც ქმრის დასამშვიდებლად სულაც არ სჭირდებოდა მისი დარღის მიზები სცოდნოდა.

მეორე დღეს ძმებმა ხელი დაავლეს თავიანთ წერაქვებსა და ჩაქუჩებს და კოშეისკენ გაემართნენ. მუათანას ცოლი დასწევდა ხახალს და უფროსი ძმის ცოლს შეეხვეწა:

— დაო, ძვირუასო დაო, დღეს ჩემი ჯერია, მე

მმართებს ჩვენი კაცებისთვის სადილის მიზანა, მაგრამ ქმარი დამემუქრა, ვერ გადამირჩები, თეთრი გილოს ხალათები თუ არ გაგირეცხავსო, და აგერ ხახალი სავსე მაქვს სარეცხით.

— დაო, ძვირფასო დაო, — მიუგო უფროსი ძმის ცოლმა, — სიამოვნებით წავუდებდი საჭმელს ჩვენს კაცებს, მაგრამ წუხელ ემმაკი ჩამიძერა ერთ-ერთ კბილში. უჰ, უჰ, ტკივილისაგან ცრემლს ვერ ვიკავებ! — და ვითომც არაფერით, ხელი ხელს შემოპერა, უმცროსი ძმის ცოლს უხმო.

— ჩვენო უმცროსო რძალო, ნაბოლარას საყვარელო ცოლო! ჩვენ მაგიერ წადი, წაუღე საღილი კაცებს. გრძელი გმაა, მუხლი მოგვედალა. შენ ჩვენგე ახალგაბრდაც ხარ და ცქვიტიც. გასწი, პაწიავ, ჩვენ კი კალათას გაგივსებთ გემრიელი საჭმლით, რომ ჩვენი კაცები დიმილით შეგეგუბონ მათ დამცურებელს.

კალათა გაუვსეს თაფლში ჩახარშელი ტბის თევზით, კორინთული ყურძნის მტევნებით, ვაზის უერცელში გახვეული ბრინჯით, ცხვრის ყველითა და ნუშის წეთხე ნამცხვრით. ქალმა რძლებს ჩააბარა თავისი პატარა და მარტოკა გაუდგა გმას. ტვირთი თავზე პქონდა შემოდგმული, თავისი ბეღი კი თითქოს ყველასათვის უჩინრად ყელზე ეკადა ნაკურთხი მედალიონივით, ბედ თითქოს თვით უფალს ამოეტვიფრა, სად უნდა მომკვდარიყო ამ ცისქვეშეთში და როგორი სიკვდილი უნდა რგობოდა წილად.

ძმებმა შორიდანვე თვალი მოპერეს მომავალს, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ გაერკვიათ, რომელი უნდა ყოფილიყო. მისევნ გაექანენ. უფროსებს ეფიქ-  
 რებოდათ, მათმა ხრიმა თუ გაჭრა. უმცროსი  
 ღმერთს სოხოვდა შემწეობას. უფროსი მიხვდა,  
 რომ ეს არ იყო მისი შავტუხა ცოლი, და წყევლა-  
 კრულვას მოჰყვა. მუათანამ უფალს მადლი შეს-  
 წირა მრეცხავის გადარჩენისთვის. უმცროსმა ჩაი-  
 ჩოქა, მკლავები წელზე შემოხვია თავის ახალგამრ-  
 და ცოლს და ქვითინით შესთხოვა პატიება. მერე  
 მიღასლასდა ძმებთან, უეხებმი ჩაუვარდა, ეველ-  
 რებოდა, — შემიძრალეთო. ბოლოს წამოიმართა  
 და მზეზე გაიელვა მისმა ბასრმა ყამამ. კეფაში  
 ჩაქეჩი დაპერეს და გზის კიდეში მიაგდეს სულთ-  
 მობრძავი. შემუოთებულმა ქალმა კალათა მოის-  
 როლა და გადმოპნეული სანოვაგით გაიხარეს  
 შეცხარის ნაგაზებმა. როცა ქალი მიხვდა, რას  
 უპირებდნენ, ზეცისკენ არაპყრო ხელები:

— ძმებო, ძმებო, რა ბრალი მიმიძღვის! არა-  
 სოდეს შემიცოდავს თქვენთვის! ქორწინების ბეჭ-  
 დითა და მღვდლის ლოცვა-კურთხევით შეძენილო  
 ძმებო! ნუ მომკლავთ, აცნობეთ მამაჩემს, მთიელ-  
 თა გომის ბელადს, და ათას მხევალს მოგვერით  
 შესაწირავად. როგორ მიყვარს სიცოცხლე! ქვებით  
 ნუ დაგვამორებთ მე და ჩემს საყვარელს.

მაგრამ უეცრად ჩაჩუმდა, თვალი მოპერა გზის  
 კიდეში მიგდებულ თავის ქმარს: ქუთუთოები აღარ  
 უთროთოდა, ტვინი და სისხლი შავ თმაში შეზელო-

და. მაშინ კი ქალი უტირლად და უყვირლად მიპყვა ორ ძმას კოშკის მრგვალი კედლის ნაშალთან. სიკვდილი გარდუვალი იყო და ცრემლი შეიძრუნა. მაგრამ, როცა პირველი აგური დაუდვეს წითელსანდლებიან ფეხებთან, თავისი ჩვილი გაახსენდა, ძაღლის ონავარი ლეკვიეით რომ ღრღნდა უაჩუჩებს. ცხელი ცრემლი დაწვებზე ჩამოეღვარა ქალს და ქვებზე დაგობილ დუღაბს შეერია.

— ვაი თქვენ, ჩემო პატარა ფეხებო, — აღმოხდა მას, — ამიერიდან ვეღარ იგრძნობთ წყაროს წყლის სიგრილეს, სამაგიეროდ ანგელოზები განგბანენ აღდგომა ღილას.

კედელმა უწია ოქროსფრად მოგვირისტებული ქვედასკაბით დაფარულ მუხლებამდე. ღიობმი ჩამდგარი ქალი მარიამს ჰგავდა, საკურთხეველში წამომართულს.

— მშვიდობით, ჩემო მუხლებო! — წამოიძახა ყმაწვილმა ქალმა, — ამიერიდან ჩემს პატარას ვეღარ დავარწევ ხეხილის ბაღში, ლამაზი ხის ქვეშ, სადაც პირსაც გავისველებდი ხოლმე და გადავინდილებდი კიდეც. ამიერიდან კალთას ვეღარ ავიგხებ მოწეული ხილით.

კედელი აამაღლეს და ქალმა განაცრძო:

— მშვიდობით, ჩემო მშვენიერო პატარა ხელებო, ჩემო ხელებო, ამიერიდან ვეღარ შეკმაბავთ კერძს, ვეღარ დაართავთ მატყლის უარტენას, ყელზე ვეღარ შემოეჭდობით სატრფოს... მშვიდობით, ჩემო

თემოებო, ჩემო წიაღო, ამიერიდან რომ ვერც მუც-  
 ლადლებას, ვერც სიყვარულს ვეღარ გამოცდით.  
 პაწია ბალდებო, თქვენი შობა რომ არ დამცალდა,  
 ჩემთან მეყოლებით სამარედ ქცეულ ამ დილეგში,  
 სადაც ფეხზედგომელა და მღვიძარი უნდა შევეგე-  
 ბო განკითხვის დღეს.

კელელი მკერდამდე აამაღლეს და წელბეით  
 შეტოვდა ყმაწვილი ქალი. მის მზერაში მუდარა  
 გამოისმოდა, თითქოს სახეეწრად გამოეწვადა ხე-  
 ლები.

— ჩემო მაგლებო, — კვლავ გაისმა მისი ვედ-  
 რება. — ჩემი კი არა, თქვენი მკვდარი ძმის  
 ხათრით იფიქრეთ ჩემს პატარაზე, მიმშილით ნუ  
 მომიკლავთ, ნუ ჩამიკირავთ გულ-მკერდს, ძმებო,  
 დამიტოვეთ ძუძუები ამ მოგვირისტებული პერანგის  
 ამარა, რომ ყოველდღე — გამთენისას, მუადლე-  
 ბე და შებინდებისას — მომიყვანონ ჩემი პატარა.  
 ვიღრე სიცოცხლის ნიშანწყალი შემრჩება, ჩემი  
 ძუძუს კერტებამდე ჩამოუშვან ჩვილი, რათა ვა-  
 წოვო მას, ვინც ამ ქვეყანას ჩემგან მოევლინა.  
 დადგება დღე, როცა რდე გამიშრება, და მამინ  
 ბალდი ჩემს სულს დაეწაფება. გამიგონეთ, უკეთუ-  
 რო ძმებო, თხოვნას თუ ამისრულებთ, მე და ჩუ-  
 მი ქმარი პირისპირ აღარ გარცხვენთ, ღვთის წი-  
 ნაშე როცა შეგეყრებით.

შეფიქრიანებულმა ძმებმა აუსრულეს უკანასკნე-  
 ლი სურვილი, მკერდის გასწვრივ ამოუშენებლად  
 დატოვეს ორი აგური. შემდეგ ქალმა ჩაიჩურჩულა:

— ძმებო, საყვარელო ძმებო, პირზე ამაფარეთ აგურები, ცოცხლებს აშინებს მკედრის კოცნა. მაგრამ ღრიჭო დამიტოვეთ თვალებთან, მინდა ვნახო, ჩემმა რძემ თუ არგო პატარას.

ასეც ქნეს, ქალს თხოვნა შეუსრულეს და ნაკრალი დაუტოვეს თვალებთან. შებინდებისას, სწორედ იმ დროს, როცა ძუძუს აწოვებდა ხოლმე, ქალს მოჰვარეს ჩვილი. ბავშვი წამოიყეანეს მტვრიანი გზით, რომლის კიდეში თხებისგან შეკორენილი ჩირგვები იყო ჩარიგებული. წამებულს სიხარულისგან ძმების ლოცვა-კურთხევა აღმოხდა. ნაკადად გადმოხეთქა რძემ ქალის მკერდიდან. ჩვილი დაქწაფა სითხეს. შემდეგ მიიძინა დედის მკერდთან და დედამ უმდერა სქელი კედლისგან მოგედული ხმით. როცა მკერდიდან აართვეს ძუძუთა ბალდი, დედამ ითხოვა, ძილის წინ ისევ მომიყვანეთოვანს კვლავთქვეშეთში მთელ დამეს გაისმოდა საამური გალობა, შორიდან ნანასავით ჩაესმოდა ბალდს და ისიც ყუჩდებოდა. მეორე დღეს ქალს აღარ უმდერია. მისუსტებული ხმით იკითხა, ბიჭმა დამე როგორ გაატარათ. შემდეგ ჩაჩუმდა, მაგრამ ჯერ კიდევ სუნთქავდა, მღედები გამომწყვდეული მკერდი უფეთქავდა. რამდენიმე დღის შემდეგ ხროგინი შეერია ხმაში, მაგრამ მისი ძუძუებიდან არ შენელებულა სიცოცხლის წყაროს ჩქეუა და დედის მკერდთან მიძინებული ჩვილი გრძნობდა გელის ძგერას. შემდეგ იკლო გელის ფეთქაში ქალის ჩაცვენილი თვალები ჩაქრა, როგორც ქრება.

ხოლმე ვარსკვლავთა ანარეკლი დამშრალ გუბეში. ნაპრალიდან მოჩანდა შემასავით ორი გუგა, რომლებიც ზეცას აღარ შესციცინებდნენ. ქალის თვალები ჩამოიღვენთა და ორი ყოსოლა დარჩა. მათი სიღრმიდან სიკედილი იმზირებოდა. ჯანსაღ მკერდს კი ვნება არ გაჰკარებია და ორი წლის მანძილზე – გამთენისას, შეაღღებე და შებინდებისას – სასწაულებრივად გადმოსჩეულდა რძე, ვიდრე ბავშვმა თვითონ არ აიკრძალა ძუძუ.

მხოლოდ ამის შემდეგ დაიშრიფა მკერდი და აგურებბე თეთრად ჩამოღვარული ზოლიდა დარჩა. რამდენიმე საუკუნის მანძილზე მოდიოდნენ აქ გულაჩუყებული დედები და თითებით სინჯავდნენ მოწითალო აგურებბე სასწაულებრივი რძის დანაგვარს. შემდეგ კოშკი თავისით დაინგრა. თაღის სიმძიმეს ვერ გაუძლო ნაში ქალის ჩონჩხმა. მყიფე ძვლები თავისით დაიშალა. ახლა კი იქ ჯოჯოხეთური სიცხით გათანგული ვიღაც ბებერი ურანგი ქაქანებს და გამვლელ-გამომვლელს უყვება კოშკის ამბავს, რომელიც პოეტებს ალბათ ისევე მოჰკვრის ცრემლს, როგორც ანდრომაქეს თავგადასავალი.

ამ დროს ოქროს სამკაულასხმული გინზლიანი ბოშა ქალი მივიდა მათ მაგიდასთან. ბოშას ხელში პყავდა ჩვილი, რომელსაც სნეულ თვალებბე ძონდი ქონდა წაფარებული. ბოშა ქალი თავსედურად ორად მოიკავა მონური მორჩილების ნიმნად. ასე სჩვევია ამ გასაცოდავებულ სამეფო მოდგმას.

მისმა ყვითელმა ქვედაკაბამ მიწა მოხვეტა. ინჟინერმა გააგდო და დიდად არაფრად ჩაუგდია, ქალმა დალოცვა რომ წყევლით შეცვალა. ინგლისელმა ქალს დაუძახა, დინარის მიცემა დაუპირა, თან შეუყვირა ფრანგს:

— რას შერებით, მისი მკერდი და მისი ტვირთი იმ თქვენი ალბანელი ქალისამე ნაკლები როდა! თანაც, ხომ ხედავთ, უსინათლო ბავშვი ჰყავს.

— ვიცი, ვიცი ეს ქალი, — უპასუხა ბეტრენმა, — ერთმა რაგუზელმა ექიმმა მიამბო მისი ამბავი. თურმე უკვე რამდენიმე თვეა, ბავშვს თვალებზე აღებს რაღაც საშინელ სალბუნს, რომელიც ანთებას იწვევს. ქალი თვალის ჩინს ართმევს ბალდს, რათა გამულელ-გამომვლელს შეაბრალოს. ჯერ კიდევ ხედავს, მაგრამ მალე დაბრმავდება. დედამისსაც ეს უნდა. ქალს ლუქმაპური უმრუნველყოფილი ექნება მთელი ხიცოცხლის მანძილზე. სარფიანია, ბრმის იმედად ყოფნა. ასეა, დედებიც არიან და დედებიც.

ეფლისწელ გენგპის  
უკანასკნელი სიყვარული



მთელ აზიაში ქალების გულთამპყრობელთაგან ყველაზე მეტად გამორჩეულმა, ბრწყინვალე და დიდებულმა გენგშიმ ორმოცდაათს რომ გადააბიჯა, მიხვდა, სიკვდილი უახლოვდებოდა. მისმა მეორე ცოლმა, მურასაკიმ, „იების დედოფალმა“, მასგე აღრე დაიმკვიდრა ადგილი სამოთხის ერთ კუთხეში, სწორედ იქ, ღირსეულად ვინც განვლო ეგჩვენი სწრაფწარმავალი და გაუსაძლისი წუთისთველი, ისინი სადაც განისვენებენ. უფლისწელი წუხდა, რომ ვერ მოეგონებინა საყვარელი ქალის ღიმილი, ვერც სატირლად მოქეფრული მისი სახე გაეხსენებინა. მესამე ცოლმა „აღმოსავლეთის სასახლეთა დედოფალმა“, ერთ ჭაბუკ ნათესავთან უდალატა. რა გაეწყობა, თვითონაც ხომ ასე გადაიბირა მამამისის, იმპერატორის, ნორჩი თანამეცხედრე. ცხოვრების სცენაზე კვლავ გათამაშდა ჩეეული დრამა, მაგრამ კარგად ხედავდა, ამჯერად მოხუცის როლი თვითონ მას რომ ხვდა წილად.

ამ როლს კი ერჩია აჩრდილად ქსეულიყო. ამიტომ გასცა თავისი მონაგები, ხელქვეითთ გაუნაწილა და განმარტოებულ ქოხში ინდომა თავის დღეთა დასრულება. საგანგებოდ გაამართინა კიდევ ქოხი შორეული მთის ფერდობზე. უკანასკნელად გაიარგამოიარა ქალაქში ორი-სამი მეგობრის თანხლუბით, რომლებიც გენგპისთან ერთად თავიანთ სიჭაბუკესაც ეთხოვებოდნენ და ძალიან უჭირდათ ამის შეგუება. ადრიანი დილა იყო, მაგრამ ქალები წამოშლილიყვნენ, დაგიხრული დარაბებიდან იქციტებოდნენ და უფლისწულის გასაგონად ჩურჩულებდნენ, – გენგპი კვლავინდებურად ლამაზი და წარმოსადევი ვაჟკაციაო. ამან კიდევ უფრო დაარწმუნა, რომ სწორედ ახლა იყო წასვლის დრო.

უკაცრიელ ადგილას, ასწლოვანი ნეკერჩხლის ძირას მიშენებულ ქოხამდე მისვლას სამ დღე მოუნდა. შემოდგომას ამ მშვენიერი ხის ფოთოლთა ოქრო წაეფარებინა ისლის ქოხისთვის. განდგომალად ცხოვრება უფრო იოლიც გამოდგა და უფრო პირქეშიც, ვიღრე სიჭაბუკის ქამს უცხოეთში განდევნილობაში ყოფნა. ამ განსწავლულ კაცს იმუდი პქონდა, რომ ბოლოს და ბოლოს განმარტოებით უზენაეს ნათელში შეიცნობდა საკუთარ სულს.

მალე აცივდა კიდევ. დათოვლილი მთის კალთუბი გამთრის დაბამბული სამოსის ნაკეცებს დაეჭრა გაესა. ნისლმა მოგუდა მზე. მინავლებული მუგაზღების შექმნები გათენებიდან დაღამებამდე კითხულობდა საღვთო წერილს. წმინდა წიგნის მწყობრი

მუხლედებით განცდილ ნეტარებას ვერანაირი სა-  
სიყვარულო პოეზია ვერ შეეძრებოდა. მაღვე შენიშ-  
ნა, რომ მხედველობამ უმტყუნა, სატრფოთა გამო  
დაღვრილმა ცრემლმა თუ ამოუდამა თვალები. იმა-  
საც შეეგუა, რომ სიბნელემ მოაკითხა სიკვდილზე  
ადრე.

დროდადრო ქალაქიდან უგზავნილნენ შიკრიკს,  
გათოშილი და დაღლილ-დაქანცული ძლივს მოათ-  
რევდა ხოლმე დამზრალ და დასიებულ ფეხებს.  
მოწიწებით გადასცემდა მეგობარ-მოკეთების მო-  
კითხეას, აუწყებდა, რომ უნდოდათ ერთხელ მაინც  
ეხილათ იგი ამქვეყნად, ვიდრე მოაწევდა იმქვეყ-  
ნად მარადიული და სათუთ შეხვედრის ჟამი. უფ-  
ლისწელი შიშობდა, სიბრალულსა და თანაგრძ-  
ნობას გამოვიწვევო. ებარებოდა ორივე ეს გრძნო-  
ბა, ერჩია დაევიწყებინათ. სევდიანად გაიქნევდა  
თავს და პოეტური ნიჭითა და სელწერით განთქმუ-  
ლი უფლისწელი დაუწერელი სუჟთა ბარათითვე  
უკან ისტუმრებდა მაცნეს. თანდათან იკლო ქალა-  
ქიდან ამბებმა. საწელიწლო დღესასწაულები, რო-  
მელთაც უწინ თავისი საგრილობელის ერთი შერ-  
ხევით უძლვებოდა გენგპი, ახლა უმისოდ ჩაივლი-  
და ხოლმე. მარგობისა და სევდის ანაბარა დარ-  
ჩენილი უფლისწელი თვალის ჩინს იუარესებდა,  
რადგან უკვე აღარ ეთაკილებოდა ცრემლის ღვრა.

ორმა თუ სამმა ყოფილმა სატრფომ შემოუთვა-  
ლა, მოგონებებით დამძიმებულ შენს სიმარგლვეს  
გავიზიარებთო. ყველაზე თბილ და სათუთ წერი-

ლებს უგზავნიდა „ჩამოცვენილ ყვავილთა სოფლის ქალბატონი“. უფლისწელის ეს ხარჭა მდაბით წარმოშობისა იყო და არც გარეგნობით გამოირჩეოდა. იგი ერთგულად ემსახურებოდა გენგპის ცოლებს, აგერ თვრამეტი წელია, ეტრუფოდა უფლისწელს და სასტიკად იტანჯებოდა. გენგპი ქალს ღამდამობით ეწვეოდა ხოლმე და ეს დამეული შეხვედრები, — ისევე იმვიათი, როგორც წვიმიან ღამეში ვარსკვლავები, — ცხოვრებას უცისკროვნებდა „ჩამოცვენილ ყვავილთა სოფლის ქალბატონს“. თავს არ იტყუებდა. სიღამაზით, ჭკუათა და გვაროვნობით გამორჩეული რომ არ იყო, — მშვენივრად იცოდა. გენგპის საყვარელთაგან ერთადერთი ეს ქალი იყო უსაბღეროდ მაღლიერი, რადგან მის შესაფერად არ მიაჩნდა თავი.

რაკი წერილებს პასუხი არ მოჰყოლია, ქალმა იქირავა დარიბული ეტლი და განდევილის ქოხისეენ გაემართა. ნელა შეაღო წელტიანი, მოწნელი კარი, ჩაიჩოქა და დარცხვენით ჩაიცინა, თითქოს პატიებას ითხოვდა მოსვლისთვის. გენგპი ახლოდან ჯერ კიდევ არჩევდა სახეებს. რისხეა დაატეხა ქალს, რომელმაც გარდასულ დღეთა მტანჯველი მოვონებები აუქმალა, მაგრამ თვითონ ამ ქალმა კი არა, — გარდაცვლილ საგრუფოთა ნელსაცხებლის სურნელი ასდიოდა მისი კაბის სახელოებს. ქალი საწყალობლად ეველრებოდა, დამტოვე მოახლედ მაინც გამოგადგებით. და გენგპიმ თავის სიცოცხლეში პირველად გაავდო ქალი. ჩა-

მოცვენილ ყვავილთა სოფლის ქალბატონს“ მოკეთები ჰყავდა უფლისწელის მოხუც მსახურთა შორის და მათგან ტყობილობდა ამბავს. ქალიც თავის დღეში პირველად მოექცა ულმობლად: შორიდან უთვალთვალებდა და ელოდა მის დაბრმავებას, ელოდა, როგორც სატრფოს მოლოდინით აგანილი ქალი ელის ხოლმე დაღამებას.

ქალმა როცა შეიტყო, რომ გენგპი მთლად დაბრმავდა, ქალაქერი სამოსი გაიძრო, სადა კაბა ჩაიცვა, მოკლე, გლეხის გოგოებს რომ აცეიათ, ისეთი. თმაც სოფლელ გოგოსავით დაიწნა, ზურგზე მოიგდო ქოთნებითა და ფართლეულით დაგენილი ფეთა, — სოფლის ბაზრობიდან ნავაჭრით ბრუნდებოდა თითქოს, — და თავი მიაყვანინა იმ ადგილთან, სადაც ჯიხვებისა და ფარშავანგების გარემოცვაში ცხოვრობდა განდეგილი. გზის ბოლო მონაკვეთი ფეხით გაიარა. უნდოდა, ლაფში ამოთხერილიყო და დაქანცულიყო, რომ უკეთ შეესრულებინა ნაკისრი როლი. გაზაფხულის ეუჟუნა წვიმა მიწას ნამავდა და შეღამების ისედაც მრუმე ნათელს ამერთალებდა. ეს იყო ეამი, როცა ბერის ჯვალოში გახვეული გენგპი ნელა მიუყვებოდა ბილიკს. ძველ მსახურებს გზაშე საგულდაგულოდ აეკრიფათ პატარა კენჭებიც კი, რომ უფლისწელს არ წაეფორთხილა. სიბრმავისა და უამთა სვლისგან ჩამქრალი, ვნებათაგან დამცხრალი და გარინდებული სახე ტყვიის სარკეს მიუგავდა. ოდესდაც მშვენიერებას ასხივებდა ეს სარკე. და „ჩამოცვე-

ნილ ყვავილთა სოფლის ქალბატონს “ მოსაჩვენებლად ატირება არ დასჭირვებია.

ქალის სლუკუნის გაგონებაზე გენგპი შეკრთა და მისკენ მიბრუნდა.

— ვინა ხარ ქალო, — შემფოთუბულმა იკითხა.

— უკიფუნე ვარ, გლეხის გოგო, სო-ჰეის ასული, — სოფლურ კილოზე მოუქცია ქალმა, — დედაჩემს ქალაქში გავყევი ფართლეულის და ჯამჭურჭლის საყიდლად. ერთ თვეში მათხოვებენ. მთებში გრა ამებნა, ბილიკი ამერია და ვტირი, აბა, რა ვქნა, მემინია გარეული ტახების, დემონების, მამაკაცთა წადილის, მიცვალებულთა აჩრდილების.

— მთლად სველი ხარ, გოგო, — თქვა უფლის-წულმა, როცა მხარგე შეახო ხელი.

მართლაც ერთიანად გაღუპული იყო. შეჩვეული ხელის შეხებამ ქალი თხემის ტერფამდე ააცახვახა. გენგპიმ კი იუიქრა, სიცივით კანკალებსო.

— შემოდი ჩემს ქოხში, — დაყვავებით უთხრა, — კერას მიეუიცხები, თუმცა ეგებ ცეცხლი მინელდა კიდეც.

ქალი გაპყვა, გლეხის ხეპრე გოგოსავით მიაბოტებდა. ორივენი ჩაცუცქდნენ მიმქრალ კერიასთან. გენგპი ხელებს იშვერდა ცეცხლისაკენ, ქალი კი მაღავდა გლეხის გოგოსთვის შეუფერებელ ჩამოქნილ თითებს.

— ბრძა ვარ, — ამოიგმინა გენგპიმ, — ჩემი ნუ შეგრუხვება, ყმაწვილო ქალო, გაიძვრე და შიშ-

ეელი მიეფიცხე ცეცხლს.

ქალმა მორცხვად გაიძრო გლეხური სამოსი. ცეცხლმა ვარდისფერი გადაპერა მის კენარ ტანს და უმკრთალესი ქარვისგან გამოკვეთილს დაამგვანა. უცრად გენგპის ჩურჩული გაისმა:

— ვიცრუე, ყმაწვილო ქალო, მთლად არ დამკარგვია თვალის ჩინი. მე შენ გხედავ ბურუსით გარემოცელს. ეს ალბათ შენი მშვენიერი შარავანდედია. ნება მომეცი შენს მრთოლვარე ხელს შევეხო.

და „ჩამოცვენილ ყვავილთა სოფლის ქალბაზონი“, რომელსაც, აგერ თვრამეტი წელია, თავდავიწყებით უყვარდა გენგპი, ისევ იქცა მის ხარჭად. ქალს არ დავიწყებია, რომ აცრემლებულიყო და დაემორცხვა, როგორც სჩვევიათ ხოლმე გოგოებს პირველი სასიყვარულო აღერსის ქამს. სხეული საკვირლად ნორჩი ჰქონდა. უფლისწელს კი თვალთ ისე აკლდა, რომ თმაში აქა-იქ მერეული ჭადარა არ შეუმჩნევია.

ხეევნა-ალერსი რომ მოათავეს, ქალი უფლისწელის წინაშე მუხლებზე დაემხო და უთხრა:

— უფლისწელო, ვიცრუე, უკიფუნე კი ვარ, გლეხის გოგო, სო-პეის ასული, მაგრამ მთებში გჩა არ დამკარგვია. ჩვენს სოფლამდეც მოაღწია უფლისწელის დიდებამ და ჩემი სურვილით მოვედი, რათა შენს ალერსში შემეცნო სიყვარული.

გენგპი წამოიმართა. ზამთრის სუსხიანი ქარით დარწეული ფიჭვიერით ირყეოდა, ყვიროდა, ხმაში

ხრინწი ერეოდა:

— ვაი შენდა, წყეულიმც იყავ! მოხვედი და შემახსენე უბოროგესი ჩემი მტერი — მშვენიერი უფლისწული თავისი ანთებული მჩერით. მისი სახე დამე ძილს არ მაძლევს... წადი...

„ჩამოცვენილ ყვავილთა სოფლის ქალბატონი“ წავიდა, გაეცალა იქაურობას.

მომდევნო რამდენიმე კვირას გენგპი მარტოდ-მარტო იყო. იგანჯებოდა. სასოწარევეთილი ხედავ-და, რომ ვერ გარიდებოდა ამა ქვეყნის ცდუნებათა ორმოტრიალს, რომ მზად არ იყო ახალი ცხოვრებისთვის, ახალ დანაკარგთა და ახალ მონაპოვართათვის. გლეხის გოგომ წალილი გაუდვიძა თავისი სტუმრობით, თავისი მოქნილი ხელებით, ამობურ-ცელი ძუძუებით, გამომწვევი და თან დამყოლი სიცილით. მას აქეთ, რაც თვალის ჩინი წაერთვა, სამყაროს მშვენიერების შეგრძნებას შეხებითდა ახერხებდა. ბუნების სილამაზე აღარ პევრიდა სიმ-შვიდეს, ნაკადულის რაკრაკი ქალის ხმაზე ბევ-რად უფრო ერთოერთვანი გახდა. ქულა ღრუბ-ლების მშვენებაც მხოლოდ თვალხილულთათვის ყოფილა თურმე, რადგან მაღლა დაცურავენ და ხელით ვერ შეეხები.

ორი თვის შემდეგ „ჩამოცვენილ ყვავილთა სოფლის ქალბატონმა“ ისევ სცადა ბედი. საგანგებოდ გამოეწყო, ნელსაცხებელი იცხო, კოხგა სადა კაბა ჩაიცვა, ნელსაცხებელიც უბრალო შეარჩია, წარჩინებულ ქალთათვის შეუფერებელი, თითქოს არც

არასდროს ენახა სასახლის კარი.

დაიქირავა ტახტრევანი, რომელსაც ქალაქური შნო და პეწი აკლდა, გაურიგდა მეტახტრევნებს და ისე გათვალა, რომ ქოხთან შეღამებისას მისულიყო. გენგპი ნეკერჩხლის ძირას იჯდა და ჭრიჭინობელების კრუალს უსმენდა. ქალი მიუახლოვდა, სახეზე მარაო მიიფარა და მეწუხებულმა წაიჩურჩულა:

— ჩუხო ვარ, სუკაძეს ცოლი, იამაგის უბნელი. ჩემი ქმარი წარჩინებულთა მეშვიდე ხარისხს განეკუთვნება. ისეს ტაძრის მოსალოცად და მოსახილელად მოვემურები. ჩემმა ერთმა მეტახტრევნემ უეხი იღრძო, გათენებამდე გზას ვერ გავაგრძელებ. მიმასწავლე, მიჩვენე ქოხი, სადაც მითქმა-მოთქმის გარეშე გავათევ დამეს და ჩემს მსახურებსაც ოდნავ სულს მოვათქმევინებ.

— ყმაწვილი ქალი ვერსად იქნება მითქმა-მოთქმისაგან ისე დაცული, როგორც უსინათლო მოხუცის სადგომში! — სიმწარით თქვა უფლისწელმა. — ქოხი პატარაა, ყველანი ვერ დაეტევით, ჯობს, შენმა მსახურებმა ამ ხის ძირას მოისვენონ. შენ კი დაგითმობ ჩემს ნარს, განდევილის შეურაცხ საგებელს.

წამოიწია და ხელის ცეცებით წაუძღვა ქოხისკენ. ერთხელაც არ შეუხედავს მისთვის და ქალი მიხვდა, რომ გენგპი მთლად დაბრმავებულიყო.

ქალი ხმელი უოთლებით დაფენილ ნარჩე წამოწვა. გენგპი კი დაღონებული ჩამოჯდა ქოხის

ზღურბლთან. სევდა მოერია უფლისწულს, მას ხომ ისიც კი ვერ გაერჩია, ლამაზი იყო ქალი, თუ არა.

თბილი, უღრუბლო, ცაგახსნილი დამე იყო. ბრმას თავი უკან გადაეგდო, მთეარე სახეზე აურქევდა შუქს და მისი სახე ნეფრიტისგან ნაქანდაკებს ჰგავდა. კარგა ხნის შემდეგ ქალმა ტყის ფოთლებით დაფენილი სარეცელი მიატოვა, ჩამოჯდა ქოხის ზღურბლთან, ამოიოხრა და თქვა:

— მშვენიერი დამეა. ძილი გამიკრთა. ნება მომეცი ვიმდერო სიმდერა, რომლითაც სავსე მაქვს გული.

პასუხს არ დალოდებია, იმდერა უფლისწულის საყვარელი სიმდერა, ქალთაგან ყველაზე სასურველი — „იათა უფლისწულის ასული“ რომ უმღეროდა ხოლმე. განგძი ათრთოლდა, უნებურად მიუახლოვდა უცნობს.

— საიდან მოხვედი, ყმაწეილო ქალო! საიდან იცი ჩემი საყვარელი სიმდერა?! ქნარო, გარდასულ დღეთა პანგძის მგალობელო, ნება მომეცი, შევეხო შენს სიმებს.

და უფლისწულმა ქალის თმებს მიუაღერსა. მცირეხანს შემდეგ უთხრა:

— შენი ქმარი ჩემზე ლამაზი და ჩემზე ახალგაზრდაა ალბათ, ყმაწვილო ქალო, იამაგის უბნიდან მოსულო!

— ჩემი ქმარი არც შენზე ლამაზია და არც შენზე ახალგაზრდა, — უთხრა „ჩამოცვენილ ყვა-

ვილთა სოფლის ქალბატონმა“.

და ასე, ქალი, რომელიც აღრეც ეკუთვნოდა გენგპის, ახლებურად გარდასახული ქალი, კვლავ იქცა მის საყვარლად. დილას გენგპის წაეხმარა ცხელი კერძის მომზადებაში. მან კი უთხრა:

— მენ მარჯვეც ყოფილხარ და ნაჩიც, ყმაწვილო ქალო. არა მგონია, უფლისწულ გენგპის, რომელსაც სიყვარულში ბედი სწყალობდა, პყოლოდა მენსავით მშვენიერი საყვარელი.

— არაფერი მსმენია უფლისწულის შესახებ, — თქვა და თან თავი გააქნია.

— როგორ, ნუთუ ასე მალე მიივიწყეს იგი?! — სიმწრით აღმოხდა გენგპის.

მთელ დღეს მოღეშული იყო. ქალი მიხვდა, რომ მეორედაც შეცდა, მაგრამ გენგპი აღარ ცდილა მის მომორებას. ბედნიერება ეწერა სახეზე, ბალახებში ქალის კაბა რომ გაიმრიალებდა.

შემოდგომამ მოაწია და მთის ფერდობებზე ხეები ძოწეულითა და ოქროთი მორთულ ფერიებად აქცია, პირველივე სუსხით სასიკვდილოდ განწირულ ფერიებად. ქალი უფლისწულს თითქოსდა სასხვათაშორისოდ ესაუბრებოდა შემოდგომის უერთა სიუხვეზე: რუხსა და ნაცრისფერზე, იისფერსა და ოქროსფერზე. ბრმას წაეშველებოდა, შეუმჩნევლად წაეხმარებოდა ხოლმე. ქალი დღითიდღე ხიბლავდა გენგპის გასაოცარი ყვავილწნულების შეგრეხით, უბრალო და გემრიელი კერძებით, სულისშემძრელი ძველი პანგებისთვის ახალ სიტყ-

ვათა შეწყობით. ამნაირად ადრეც ცდილა მისი გულის მონადირებას იქ, მეხუთე ხარჭის სანთიობოში, სადაც უფლისწელი დროდადრო აკითხავდა ხოლმე, მაგრამ მაშინ ის სხვა ქალთა ტრუობით იყო ატანილი და ვერაფერს ამჩნევდა.

გვიან შემოდგომაზე ციებ-ცხელება დაიძრა დაჭაობებული შემოგარენიდან. მომრავლებული კოლო-ბუბები ირეოდა და მოწამლული პაერის ყოველი ჩასუნთქვა ჩამყაყებული გუბიდან თითო ყლუპივით იყო. გენგჰი დასნეულდა და ჩაწვა ხმელი ფოთლებით დაფენილ სარეცელში. გრძნობდა, რომ ფეხზე ვეღარ დადგებოდა. ქალის რიდი პქონდა, ეთაკილებოდა, დაძაბუნებული რომ იყო და თანაც თავისი ავალმყოფობით საჩთიარო საბრუნავიც რომ გაუჩინა. და ამ კაცმა, რომელიც ცხოვრებისეულ ყოველ სიახლეში ეძიებდა უჩვეულო და სულისშემძვრელ გამოცდილებას, ამჯერად შეიცნო ფასი გაჯახირებული და გასაცოდავებული სიახლოვისა, რომელიც თურმე თან ახლავს ორ არსებას შორის საგრუფიალო სიამგებილობას.

ერთ დილას, როცა ქალი ფეხებს უტელდა, გენგჰი იდაყვებზე წამოიწია, ხელის ცეცებით მოძებნა ქალის ხელები და ჩაიბუტბუტა:

— ყმაწვილო ქალო, შენ უვლი ადამიანს, რომელიც მალე მოკვდება. მოგატყუე. მე, უფლისწელი გენგჰი ვარ.

— შენთან რომ მოვედი, ერთი ხეპრე და უბირი სელელი გოგო ვიყავი, — თქვა ქალმა, —

რა ვიცოდი, ვინ იყო უფლისწული გენგპი! ახლა კი ვიცი, რომ იგია ყველაზე ლამაზი და ყველაზე სასურველი მამაკაცთა შორის. მენს შესაყვარებლად სულაც არ არის აუცილებელი შენი უფლისწულობა.

გენგპიმ მაღლიერებით გაუდიმა ქალს. მას აქეთ, რაც თვალებით ვეღარ ამბობდა სათქმელს, მისმა ბაგეებმა იტვირთეს მეტყველი მჩერა.

— ვკვდები, — სიმწრით თქვა, — მაგრამ არ ვნანობ, ბედს არ ვემდერი ჩემი ხვედრისთვის, — ყვავილებთან, მწერებთან, ვარსკელავებთან გიარი ხვედრისთვის. წუთისოფელში, სადაც ყოველივე სიბმარივით წარმავალია არ ღირს სამარადეამოდ დარჩენა. არ მენანება, რომ ნადგურდებიან ნივთები, არსებები, გელები. სწორედ ეს ცვალებადობაცაა მიზეზი მათი მშვენიერებისა. მხოლოდ იმაზე მწყდება გელი, განუმეორებელი რომაა ყოველივე, რაც იღებება. ერთ ღროს მჯეროდა, რომ ჩემი სიცოცხლის ყოველი წამი იყო გონება-მიუწვდომელი გამოცხადება. და ეს მანიჭებდა ყველაზე ამაღლებულ, ყველაზე იღემალ სიამოვნებას. ახლა კი მომაკვდავს მრცხვენია ამ სიამოვნებათა გამო. მრცხვენია, რომ ვიყავი ერთი ვინმე წარჩინებული და მარტოდმარტო ვილხენდი დიდებულ ნაღიმზე, მხოლოდ და მხოლოდ ერთხელ გამართულ ნაღიმზე.

ჩემო ძვირფასო სატრუოებო, ერთი მომაკვდავი ბრძის მერე ვინდა მოგიგონებთ?! სხვა ქალები

დამშვენდებიან და დაქალდებიან. მე რომ ვეტრფოდი, იმ ქალებივით გაღიმებენ. მაგრამ მათი ღიმილი მაინც სხვა ღიმილი იქნება. მე რომ სურვილს აღმიძრავდა, ის ხალები დაამშვენებენ ქარვისფერ სხვა ღაწებს; გაუსაძლისი სიყვარული სხვა გულებს დაკოდავს და დააწყლელებს. და სხვა იქნება მათი ცრემლიც. ვნებათაღელვით გაოფლილი სხვა ხელები ჩაეჭიდება ერთმანეთს აფეთქებული ნუშების ქვეშ. მაგრამ ნუშის ყვავილთა წვიმა განმეორებით არ დააწვიმს იმავე აღამიანთა ბედნიერებას. ეპ, მგონი წყალწაღებულს ვემსგავსები, ერთ გოჯა ხავსიან მიწას მინდა მივაკვლიო, მშრალად გადარჩენილს, რომ რამდენიმე შეყვითლებული წერილი და გაცრეცილ-გახუნებული მარათ გადავარჩინო.

მე რომ აღარ ვიქნები ამქვეყნად და ვეღარ გიგლოვ, მაშინ რა მოგელის მენ, „ცისფერი ღელოფლის“, ჩემი პირველი მეუღლის, ხსოვნავ?! მხოლოდ მენი სიკვდილის მერე ვირწმუნე, რომ ვიყვარდი!

და მენ, სასოწარმკვეთო მოგონებავ „ხვართქლას ხეივნის ქალბატონისა“, მენ ხომ ჩემს ხელებში დალიე სული, რადგან ეჭვიანმა მენმა რაყიფმა ვერ აიგანა, რომ ჩემს სიყვარულს ეცილებოდი!

მოგონებანო ჩემი ულამაბესი დედინაცვლისა და ჩემი მთლად ნორჩი ცოლისა! ორივემ რიგრიგობით მასწავლეთ, რა სატანჯველია, – იყო მოღალარე და რა წამებაა, – თვით მენ რომ გიღა-

### ლატებენ.

სათუთო და მწვავე ხსოვნაა „ჭრიჭინობელების ბაღის ქალბატონისა“! ისეთი უბიწო იყავი, რომ გამირბოდი და იძულებული ვხდებოდი, შვება მებია მენი უმცროსი ძმის სიახლოვეში, მისი ბავშვერი სახე ქალის ნაზ ღიმილს მაგონებდა.

შენ, ძვირფასო მოგონებაა „გრძელი ღამის ქალბატონისა“! თავმდაბალი იყავი და სათნო, მესამე ადგილს სჯერდებოდი ჩემს საქალებოსა და ჩემს გულში.

შენც წამომაგონდი, გლეხის გოგოვ, სო-ჰეის ასულო, რომელსაც ჩემში ჩემი წარსული გიყვარდა მხოლოდ.

ყველაზე უფრო შენ გიმადლი, პატარა ჩუძო, ახლა რომ უეხებს მიზელ და ვერც კი მოასწრებ მოგონებად გადაქცევას. ჩუძო, ნეტა ჩემი ცხოვრების გზაზე აღრე შემხვედროდი. მაგრამ ნათქვამია, ტკბილი ნაყოფი გვიან შემოდგომაზე მოიწევათ.

სევდიანსა და შავნალვლიანს თავი გადაუქანდა ხმელ სასთუმალზე. „ჩამოცვენილ ყვავილთა სოფლის ქალბატონი“ დაიხარა და ათრთოლებულმა ჩასჩურჩულა:

— ხომ არ ყოფილა შენს სასახლეში კიდევ ერთი ქალი, ვისი სახელიც არ გიხსენებია? განა ის არ იყო ნაზი? ხომ არ ერქვა იმ ქალს „ჩამოცვენილ ყვავილთა სოფლის ქალბატონი“? გაიხსენე! მაგრამ გენგპის სახეს სიმშვიდე დაეუფლა, ის

სიმშვიდე, მხოლოდ მიცვალებულთა ხვედრი რომაა. ყოველგვარი ტკივილი დასრულდა. მისი სახიდან წაიშალა კვალი კმაყოფილებისაც და ტანჯვისაც. თვრამეტი წლის ჭაბუკად ქცეულიყო თითქოს.

ქალი მიწაზე დაეცა. ქვითინად გადმოსკდა წყენა და გელისწყვეტა. მლაშე ცრემლი ნიაღვარივით ჩამოედინა ლოყებზე. ბლუჯა-ბლუჯად დაგლეჯილი მისი თმა აბრეშუმის ნაძენძივით ფრიალებდა პაერში. ერთადერთი სახელი ვერ გაიხსენა გენგპიმ. და ეს მისი სახელი იყო.

კაცი, რომელსაც ნერეიდები  
შეუყვარდა



ფეხშიმველა ბიჭი იდგა მტვერსა და სიცხეში,  
 თევზით აქოთებულ ნაესადგურში, ყავახანის თხელი  
 ტენტის ქვეშ, საღაც სეამზე მისვენებული რამდენიმე  
 კლიენტი ამაოდ ცდილობდა მზის მცხუნვარებისაგან  
 სულის მოთქმას. მოწითალო ფერის ძველი შარ-  
 ვალი კოჭებამდე ძლივს სწვდებოდა. მისი გრძელი  
 და თხელი ტერფები, დახეთქილ-დაკოჟრილი ქუს-  
 ლები და მოქნილი თითები, — შეგუებული დარსა  
 და ავდარს, წვეტიანი ქვებისაგან გაუხეშებული  
 მისი ფეხები — კაცს აფიქრებინებდა, რომ ბიჭი  
 ხმელთაშუა ზღვის რომელიმე ქვეყნის მკვიდრი  
 უნდა ყოფილიყო. მათ ხომ შვებას აგრძნობინებს  
 სიშიშვლით მოგვრილი სილალის განცდა. როგორ  
 განსხვავდება ეს შეკვირცხლი ტერფები ჩრდილოურ  
 ვეხსაცმელში ჩაჭედილი ტლანქი ფეხებისაგან. ბიჭის  
 გამოხუნებული ლურჯი პერანგი კარგად ეხამებოდა  
 ზაფხულის მცხუნვარე მზით გაფერმკრთალებული  
 ის ფერს. ქსოვილის ნაფლეთებში პიგალო კლდე-

სავით მოუჩანდა მხრები და ბეჭები. გაჩაჩხული ყურები პქონდა და თავი ამჟორას მიუგავდა. სილამაბის კვალი ისევე აჩნდა: მის გამოთაყვანებულ და უტყვ სახეს, როგორც ხრიოკ მიწას – ანტიკური ქანდაკების ნამსხვრევი. დასნეულებული ნაღირივით დამფრთხალი იყურებოდა. ისეთი კრძელი წამწამები პქონდა, ჯორებს რომ აქვთ ხოლმე. მარჯვენა ხელი წინ პქონდა გაწვდილი ურჩად და გამაბეზრებლად, არქაული კერპების მსგავსად, რომლებიც მუბეუმის დამთვარიელებლებს თითქოს სიამოვნებისათვის საზღაურს სთხოვენ. პირი დაედო და გაურკეველად ლუდლებდა. კბილები უელაფდა.

— ყრუ-მუნჯია?

— არა, ყრუ არ გახლავთ.

ეან დემეტრიადიმ, ამ კუნძულზე უდიდესი საპნის ქარხნის მეპატრონებმ, ღრო იხელთა და, როცა იღიოტი ბლვისკენ იხედებოდა, ერთი დრაპება დააგდო მოკრიალებულ ფილაქანზე. ქვიშისაგან დახმული ჩქამი არ გამოპარეია მათხოვარს, ხარბად დააცხრა ვერცხლის ფერს და კვლავ დაუბრუნდა შესაბრალის პოზას, თოლიამ რომ იცის ბლვის ნაპირას გაყეჩება, ისე გაირინდა.

— ყრუ არ არის, — გაიმეორა ეან დემეტრიადიმ და მავნალექიანი ფინჯანი მაგიდაზე დადგა. — მეტყველებ და ჭერა ისეთ ვითარებაში დაკარგა, რომ ხანდახან მშერს კიდეც მისი. დიახ, მშერს მე, საქმიანსა და მდიდარ კაცს, ჩემი ცხოვრების

გზაჩე ამდენი ერთფეროვნებისა და სიცარიელის მხილველს. პანეგიოგისი (ეს მისი სახელია) თვრა-მეტი წლისა იყო, როცა შიშველ ნერეიდებს, ზღვის ნიმუებს, გადაეყარა და დამუნჯდა.

თავისი სახელის გაგონებაზე პანეგიოგისმა მორ-ცხეად გაიღიმა. ამ ვიღაც დიდი კაცის ნათქვამი არ ესმოდა, მაგრამ მფარველად მიიჩნია, სიტყვების აზრით კი არა, უფრო საუბრის ტონით მიხვდა, რომ მასზე ლაპარაკობდნენ და კმაყოფილი იყო. ხომ შეიძლებოდა, მოწყალება კიდევ ვაეღოთ. ხელი კიდევ უფრო წინ გაიშვირა, ძაღლი რომ თითით მუხლზე წაეტანება პატრონს, ჭმევა არ დაავიწყდესო, დაახლოებით ასე.

— ეს ბიჭი ჩემი თანასოფლელი შეძლებული გლე-ხის შვილია, — განაცრძო ეან დემეტრიალიმ, — ჩვე-ნი სოფლის პირობაზე მართლაც მდიდრები არიან. მის მშობლებს იმდენი მიწა აქვთ, არ იციან რაში მოიხმარონ. თლილი ქვით ნაგები მშვენიე-რი სახლი უდგათ, ბალ-ბალჩაში ნაირნაირი ხეხი-ლი და ბოსტნეული აქვთ; სამჩარეულოში მაღვი-ძარა საათიც კი უკიდიათ და ხატებთან ლამპარიც უნთიათ, ერთი სიტყვით, ყველაფერი ისეა, როგორც წესი და რიგია. პანეგიოგისზე შეიძლებოდა გეთქ-ვათ, მთელი ცხოვრება უბრუნველყოფილი აქვსო, რაც ასე იმვიათია ბერძენი ახალგაზრდების ცხოვ-რებაში. წინ გაკვალული გზა ედო, თუმცა ბერძნუ-ლი გზა: მტვრიანი, ქვაღორღიანი, მაგრამ გზის ურთფეროვნებაში ხან ჭრიჭინების კრუალი შემოიჭ-

რებოდა, – ხან სასიამოვნო დროსტარებანი სამი-  
 კიფნოებში. მამამისის ბალებში ხანმიშესულ ქალებს  
 ზეთისხილის კრეფაში ეხმარებოდა. ყურძნით სავსე  
 ყუთების დატვირთვას და მატყლის ფუთების აწო-  
 ნას თვალყურს ადევნებდა; თამბაქოს მუშტრებთან  
 გარიგებისას მამას უჭერდა მხარს; თან ზიბდით  
 იფურთხებოდა, შემოძლეული ფასი თუ ეცოტავებო-  
 და. ბეითლის გოგობე იყო დანიშნული, ჩემს უაბრი-  
 კაში მომუშავე მშვენიერ გოგობე. ბიჭი კარგი შესა-  
 ხედავი იყო და იმდენი საყვარელი შეეძლო პუთ-  
 ლოდა, რამდენსაც მოისურვებდა. ამბობდნენ კიდეს,  
 მდვდლის ცოლს ეკურკურებაო. შეიძლება ასეც  
 იყო. მდვდელს ეს სულაც არ ადარდებდა, ქალებს  
 მაინცდამაინც არ სწყალობდა და ცოლიც მობებ-  
 რებული პყავდა. წარმოიდგინეთ პანეგიონისის  
 ბანალური ბედნიერება: ლამაზი ქალების სიყვარუ-  
 ლი, მამაკაცების შური. ვერცხლის საათს ატარებდა,  
 ორ-სამ დღეში ერთხელ დედამისის მზრუნველი  
 ხელით დაუთოვებულ ქათქათა პერანგს იცვლიდა,  
 შეაძლისას ფლავს შეექცეოდა, ვახშმობის წინ  
 მომწვანო-მონაცრისფრო სურნელოვან სასმელს გა-  
 დაკრავდა ხოლმე. მაგრამ ბედნიერება ვის შერჩუ-  
 ნია?! კაცს თუ ვინმემ ან რამემ ვერაფერი დააკლო,  
 ავი სულები მოუღებენ ბოლოს. თქვენ ეგებ არც  
 იცით, რომ ეს კუნძული გრძნეული არსებებითაა  
 სავსე. ჩვენებური ავი სულები სრულებითაც არ  
 ჰგვანან თქვენებურ აჩრდილებს, შეაღამისას რომ  
 გამოდიან მხოლოდ, დღისით კი სასაფლაოზე იმა-

ლებიან. ესენი თეთრ სუდარაში გახვეული ჩონჩხები კი არა, ხორციელებული არსებანი არიან, თანაც – მიცვალებულთა სულებზე უფრო საშიშნი. ისინი მონათლებები მაინც არიან, ცხოვრების გზა გავლილი აქვთ და ტანჯვის ფასიც იციან. აქაური ბლვის ნიმფები კი ისეთივე უცოდველნი და ისეთივე ბოროტნი არიან, როგორც ბუნება, ხან რომ სწყალობს და ხან რომ უმუხოლებს ადამიანს. ანტიკური ღმერთები და ქალღმერთები დიდიხანია მიიცვალნენ, მუზეუმებსდა შემორჩათ მათი მარმარილოს ნეშტები, ჩვენი ნიმფები თქვენს ფერიებს უფრო ჰგვანან, ვიღრე პრაქსიტელის წაბაძვით ნაქანდაკებ ქალღმერთებს. ჩეენს ხალხს ძალიან სჯერა მათი ძალისა. ნიმფები ისევე არსებობენ, როგორც – მიწა, წყალი, მწველი მზე. გაბაფხულის მცხუნვარე მზის ნათელი განსხვაულდა ნერეიდებში. მათი ხილვა სწორედ ამიტომ ათაყვანებს კაცს და ჭკეას აკარგვინებს. ნიმფები გარეთ მხოლოდ შეადლის ალხში გამოდიან. ისინი ნათელი დღის იღემალებაში არიან ჩართულნი. გლეხები ნაშუადლევს დასასვენებლად რომ წამოწვებიან, კარს ურდეულით პაპანაქება სიცხის გამო კი არა, – უფრო ნერეიდების შიშით კეთავენ. ეს საბედისწერო, შიმევლი და უღმერთოდ ლამაზი ფერიები წყაროსავით არიან – რომ შესვამ, გამოგაცოცხლებს, მაგრამ ციებ-ცხელებას შეგყრის. ვისაც ერთხელ მაინც მოუკრავს თვალი მათვების, სურვილითა და ენებით იწვის,

ხოლო ეინც გაბედა მათთან სიახლოვე, სამუდამოდ დაყრუედა და დამუნჯდა, ალბათ იმიტომ, რომ მდაბიურ ენაზე ვერ გაამხილოს ნერეიდების სიყვარულის საიდუმლოება.

ივლისის ერთ მშვენიერ დილას, პანეგიოტისის მამის ორ ცხვარს რეტი დაესხა. სენი სწრაფად მოედო ფარის საუკეთესო ცხვრებს და სახლის წინ მოსწორებული მოედანი საჩქაროდ იქცა გახელებული პირუტყვის ფარებად. პაპანაქება სიცხეში პანეგიოტისი მარტოკა წავიდა ბეითლის მოსაყვანად, წმინდა ელიას მთის კალთაზე შეფენილ პატარა ზღვისპირა სოფელში. დაბინდდა, ბიჭი არსად ჩანდა. პანეგიოტისის მამა ცხვრებს აღარ ჩიოდა, უფრო ვაჟიშვილზე წუხდა. ამაռდ მოიარეს სოფელი და ველ-მინდორი. ქალებმა მთელი ღამე გაატარეს სოფლის სამლოცველოში, რომელიც სხვა არა იყო რა, თუ არა ოციოდე თაფლის სანთლით განათებული, გადახურული კალო. გევონებოდათ, საღაცაა შემოვა მარიამ ღვთიშობელი, რათა იქვთ შვასო ამქვეყნად. მეორე ღდეს, ნაშაადღევს, როცა დაღლილი კაცები მაგიდებს მიუსხდებიან ხოლმე სოფლის მოედანზე, რომ ყავა, თითო ჭიქა წყალი ან თითო კოვზი მურაბა იგემონ, გამოჩნდა სულ სხვა პანეგიოტისი. ისე იყო შეცვლილი, თითქოს სიკვდილი გამოევლო. თვალები ანთებული პქონდა, თვალის სკლერებზე გაფართოებული გუგები უელავდა. ორთვიანი ციებ-ცხელება ვერ გააყვითლებდა კაცს ამაზე უფრო. საბარელ ღიმილს მოეღრიუა

მისი ბაგეები. სიტყვას ვერ ძრავდა, თუმცა ჯერ კიდევ მთლად არ იყო დამუნჯებული. მარცვალ-მარცვალ ლუდლუდებდა, დაშრეტილი წყაროს წან-წყარის მსგავსად:

— ნერეიდები... ქალები... ნერეიდები... მშენიერი... შიმველი... რა საოცარია... ოქროსფერი, მთლად ოქროსფერი თმები...

ამის მეტი ვერაფერი ამოაღერდინეს. მომდევნო დღეებში კიდევ ბევრჯერ იმეორებდა ხოლმე თავისთვის ჩურჩულით: „ოქროსფერი თმები... ოქროს-ფერი“, თითქოს აბრეშუმს ეფერებოდა, მერე გაყუჩდა. თვალები აღარ უელავდა, უაზრო გამოხედვა ჰქონდა. თვალი გაშტერებოდა. მჩეს თვალის დაუხამახებლად მისჩერებოდა, როგორც ჩანს, ძალიან სიამოვნებდა ამ თვალისმომჭრელი სიყვითლის მჩერა. ეს რომ დაემართა, მეც სოფელში ვიყავი. სიცხე არ ჰქონია, არც მზედაკრულს პგავდა და არც ბნედიანს. მმობლებმა მახლობელ განთქმულ მონასტერში წაიყვანეს, რომ შეელოცათ და ავი სული გამოეძევებინათ მისი სხეულიდან. ჭირიანი ცხვარივით მორჩილად გაპყვა მათ, მაგრამ ვერც წირვა-ლოცვამ, ვერც გუნდრუკის კმევამ, ვერც სოფლელი დედაბრების ჯადოსნურმა შელოცვამ ვერ გამოდევნა მისი სისხლიდან მზისფერი გიქმა-ჟი ნიმფები. საბრალო ბიჭი პირველ ხანებში ერთ ადგილზე ვერ ისვენებდა, სულმოუთქმელად მიიჩქაროდა იქით, სადაც სასწაული გამოეცხადა. იმ ადგილას ერთი წყაროა, მეთევზები იქ სასმელ

ანკარა წყალს იმარავებენ ხოლმე. წყაროს პატარა დამრეცი ხევი ჩაუდის, ლეღვნარიდან ბილიკ ზღვისკენ მიემართება. ხალხი ირწმუნებოდა, ხას ხასა ბალახი სხეულის სიმძიმით იყოთ გათეღლი და ქალის ნაკვალევიც ვნახეთო. წარმოიდგნეთ, ალაგ-ალაგ ჩაღვრილი მზის სხივი ლეღვის ხეების ჩრდილში, — ჩრდილში კი არა, მწეანე და ნაბ ნათელში, — სოფლელი ბიჭი, ისე გახელებული ქალების კისკისითა და შეძახილებით, ვით მონადირე — ფრთების ფათქუნით. ღვთაებრივი ქალ წელები, მაღლა აწეული თეთრი მკლავები, ოქროს ფერი თმა მზის შექმე, ფოთლის მთრთოლვარე ჩრდილი შიშველ მუცელზე, თეთრი მკერდი — იისუერი კი არა, ვარდისფერი კერტებით. პანევორისი ისე კოცნის თქროსფერ თმებს, თითქო თაფლიან ფიჭას ღეჭავდეს. მისი სურვილი თვეზ ბარძაყებში ინთქმება. როგორც სიყვარული არ არსებობს თავდავიწყების გარეშე, ისე ნამდვილი ვნებაც არ არსებობს სილამაზით მოჯადოების ფრეშე. ყოველივე დანარჩენი კი ისევე უნებურია, როგორც წყურვილი და მიმშილი. ნერეიდებში გადაუშალეს უბირ ყმაწვილს ქალური სამყარო, განსხვავებული კუნძულის გოგოებისაგან, რომლებიც მათთან შედარებით დედალ პირუტყვს ჰყვანას აგრძნობინეს მას შეუცნობელით თრთბა, სასწაულით დაოსება, ცეცხლოვანი საკვირველება. ამბობენ, კვლავაც ხვდებათ მათ შეადგის პაპანაქება, როცა ნიმფები სიყვარულის საძიებლად დაწ



გიალობენ ხოლმე. ყმაწვილმა საცოლის სახეც კი გადაივიწყა, მის დანახვაზე ისე შებრუნდება ხოლმე, თითქოს ვიღაც კახპას თვალს არიდებსო. იფუროთხება, მღვდლის ცოლი თუ შემოეყარა გბაბე. საბრალო ქალი ორ თვეს ტიროდა და ძლიეს დამშეიდდა. ნიმუებმა მთლად გამოათაყვანეს, რათა უკეთ ჩაეთრიათ თავიანთ თამაშში. უკოდველი ფავნივითაა. აღარც მუშაობს, თვეებისა და დღეების სათვალავი აერია, მათხოვრობით გააქვს თავი. ამ არემარეში დაწანწალებს, შარაგბებს ერიდება. თავს აფარებს მინდვრებსა და ფიჭვნარს, უკაცრიელ გორაკებს. ამბობენ, ყორებე შემოდებული იასამანი, თეთრი კენჭი კვიპაროსის ძირას, ის ნიშნებია, რითაც ნიმუებთან მორიგი პაემნის დროს და ადგილს იგებსო. გლეხები ამტკიცებენ, არასოდეს დაბერდებაო, როგორც ყველა ბედკრული, ისე ჩამოჭკნება, ვერავინ შეიტყობს, თვრამეგი წლისაა თუ ორმოცისაო. მუხლები უკანკალებს, გონის ვეღარასოდეს ვერ მოეგება. მისი ბაგეებით ვერცერთი სიტყვა ვეღარ წარმოითქმება. ჯერ კიდევ პომეროსი ამბობდა, ჭკეა და ძალა ესვლება იმას, ვისაც ოქროსთმიან ქალდმერთებთან სძინავსო. მე კი მშერს პანეგიოტისის: სინამდვილი-დან მოჩვენებათა სამყაროში გადასახლდა და იქნებ, სწორედ მოჩვენებაა ის ფორმა, რომელსაც უბირი ხალხის თვალში იღებს იდუმალი სინამდვილე.

- ბოლოსდაბოლოს, ეან, - თქვა გაღიმზიანებით

ქალბატონმა დემეტრიალიმ, — ხომ არ გვონიათ, რომ პანეგიოტისმა მართლა ნახა ნერეიდები?

ეან დემეტრიალიმ ვეღარ უშასუხა, რადგან სწორედ ამ დროს წამოიწია, რომ დიდი პატივით მისაღმებოდა გზად მიმავალ სამ უცნობ ქალს. თუთო ტილოს ტანსაცმელში კოხტად გამოწყობილი ეს სამი ახალგაბრდა ამერიკელი ქალი მსუბუქი ნაბიჯით მიუყვებოდა მშით გაჩახჩახებულ სანაპიროს. მათ უკან მიჰყვებოდა ბაბარზე ნაყიდი სანოვაგის სიმძიმით წელში მოხრილი ბერიკაცი. სკოლიდან მომავალი პატარა გოგონებივით ქალებს ხელები ერთმანეთისათვის ჩაეკიდათ. ერთ-ერთი მათგანი თავშიმველი იყო, ქერა თმაში მოცვის ყლორტი ჩაემაგრებინა, მეორეს უზარმაზარი მუქ სიკური ჩალის ქუდი ეხურა, მესამეს კი გლეხის გოგოსავით თავი ჩითის თავსაფრით წაეკრა და შავმინიანი სათვალე ნიღაბივით ეკეთა. ეს სამი ახალგაბრდა ქალი დიდი ხანი არაა, რაც კუნძულზე დასახლდა. ერთი სახლი შეიძინეს, შარავჭიდან კარგა მოშორებით. დამდამობით მარცახით თუ ბაობდნენ საკუთარი ნაეით, შემოდგომით მწყურზე ნადირობდნენ; ურთიერთობა არავისთან ჰქონდათ. თავის თავს თვითონ ემსახურებოდნენ, რათა მოსამსახურეს მათი სიმყედროეე არ დაერღვა. განმარტოებით ცხოვრობდნენ, რათა მითქმა-მოთქმა აეცილებინათ თავიდან. ამაռდ კცდილობდა დამეჭირა პანეგიოტისის მზერა, ამ სამი ქალღმერთისაკენ მიმართული. ბიჭს ჩამქრალი თვალები

გამტერებოდა. აშკარა იყო ქალის სამოსში გამოწყობილ ნერეიდებს ვერა სცნობდა. უცბად მკვირცხლად დაიხარა და მხეცივით დააცხრა დრაპეტას, რომელიც ერთ-ერთ ჩვენგანს ჯიბიდან გაუვარდა; და მე შევნიშნე მხარზე გადაკიდებული ხალათის უხეშ ქსოვილზე ერთადერთი უტყუარი ნიერიერი მტკიცება ჩემი ვარაუდისა: ოქროსფერი თმის აბრე-შუმივით წვრილი დერი.



# მერცხლების ღვთისმშობელი



თერაპიონ ბერი სიყმაწვილეში ათანასე დიდის  
 უერთგულესი მოწაფე იყო. კუმტი და პირქუში  
 თერაპიონი თბილად მხოლოდ მათ ეპყრობოდა,  
 ვინც ეშმაკეულად არ მიაჩნდა. ეგვიპტეში მკვდრე-  
 თით აღადგინა მუმიები და სახარება უქადაგა;  
 ცოდვები მიუტევა ბიზანტიის იმპერატორთ; სიბმრად  
 მიღებული ჩვენებით საბერძნეთს გაემართა, რათა  
 პანის საცდერისგან ეხსნა ეს ქვეყანა. ზიზღით  
 ივებოდა წმინდა ხეების დანახვაზე, ტოტებზე  
 ჩვრები რომ შეებათ ხურვებით შეპყრობილ გლე-  
 ხებს და ჩაეთქვათ, რომ საღამოებამს, ნიაჟის  
 შექროლებაზე, ამ კონკებს ეცახცახა მათ ნაცვლად.  
 ბრაზს პგვრიდა უდალო მიწისთვის მეტი მოსავლის  
 გამოსაძალავად აღმართული ფალოსებიც, წყაროს-  
 თავთან ან თახჩებში გამოდგმული თიხის ღმერთე-  
 ბიც. სეფისის კბოდებზე წმინდა ხეებისაგან საკუ-  
 თარი ხელით გამართა პატარა ქოხი. სოფლებუ-  
 ბი თავიანთ ღარიბულ ლუქმას უნაწილებდნენ.

უჭირდა თერაპიონს თავსდამგყდარი ომებითა და შიმშილით ილაჯგაწყვეტილი, გაცრეცილი და გამ-ვალფყავებული გლეხების გაძლოლა ზეცისაკენ. მათ უყვარდათ იესო, მე მარიამისა, ამომავალ მჩესავით ოქროთი მოსილი, მაგრამ გულის სიღრ-მეში მაინც ჯიუტად ეთაყვანებოდნენ ხეებსა და წყლის ჩქერში ჩაბუდებულ ღმერთებს. ყოველ საღამოს ნიმუშების ჭადართან ტოვებდნენ ერთადერ-თი მარჩენალი ისის რძით გალიცლიცებულ ტაგანს. შებინდებისას სოფლის ბიჭები კორომში შერბოდ-ნენ, სურდათ თვალი შეევლოთ აქაფისთვალება ასელებისთვის, რომლებიც ძირათი და ველური თაფლით საბრდოობდნენ. ყველგან იყვნენ ისინი, ამ ხრიოები და მწირი მიწის ასელები, ყველგან ხან ნისლივით იფანტებოდნენ, ხან კი უეცრად ნამდვილ სახეს იღებდნენ, ხორცს ისხამდნენ. წყა-როსთან, თიხნარში ნახელობდნენ მათ ნაფეხურებს. მათი კანის სითეთრე ქარაფებზე არეკლილ ნა-თელს ერთვოდა შორიდან. ბოგჯერ ასეც ხდებოდა დასახიჩრებული ნიმფა ჩარჩებოდა სახელდახელო გაქერქილ თავხეში და ლამდამობით ისმოდა მისი ჩივილი, ხან კი – ღიღინი. მთებში თითქმის ყო-ველდღე იკარგებოდა მონუსხული საქონელი. რამ-დენიმე თვის შემდეგ ძვლების პატარა გროვასლა პოულობდნენ. ეს წყეულები ხეოს დაავლებდნენ ბალღებს და ციმციმ მიაქანებოდნენ ხრამისაკენ. მათი პაწია ფეხები მიწას არც კი ეხებოდა. უფ-კრული შთანთქამდა ხოლმე მათ პატარა მოქა-



ნელ სხეულებს. ზოგჯერ ნიმუშების კვალის მაძიებელი ცხროიანი ბიჭი აცახვახებული ჩაირბენდა წყაროსთან. წყალთან ერთად სიკვდილსაც ეწაფებოდა თურმე. ყოველი ახალი უბედურების შემდეგ თერაპიონ ბერი მუმტებს უღერებდა კორომს, იმ შეჩვენებულების სახიზარს. გლეხები მაინც ეთაყვანებოდნენ თითქმის უხილავ ნაზ ფერიებს და ისე იოლად ივიწყებდნენ მათ ბოროტ ნამოქმედარს, ნიმუშებს ისე აპატიებდნენ უკეთურებას, როგორც ვთქვათ, შეუნდობენ ხოლმე მზეს შემღილთა ტვინის გალაყებას, ან მთვარეს – მეძუძური ქალებისთვის ძილში რძის გამოწოვას, როგორც მიუტევებენ ხოლმე სიყვარულს გაუსაძლისი ტანჯვის მოტანას.

ბერს მგლების ხროვასავით ემინოდა ნიმუშებისა. მეძავებივით უფორიაქებდნენ სულს. საოცრად ლა-მაზები წამით არ აძლევდნენ საშველს. ღამდამო-ბით ზედ სახესთან გრძნობდა მათ ცხელ სუნ-თქვას, თითქოს ნადირი დაბორგავდა ოთახში და გეშს იღებდა. ავადმყოფთან მოსაჟითხით მიმავალი ბერი მინდორს რომ გაუყვებოდა, კვალდაკვალ მისდევდა მათი უეხის ბაკენი და ციქნების პეტე-ლი. ლოცვის დროს უნებურად თუ ჩასთვლემდა, ნიმუშები გელუბრყვილოდ შემოესეოდნენ და წვერ-ზე ექაჩებოდნენ. მის ცთუნებას არ აპირებდნენ, უმნოდ და სასაცილოდ ეჩვენებოდათ თალხი ჯვა-ლოთი მოსილი ბერი. ღამაზები კი იყვნენ, მაგრამ ვნებებს არ აღუძრავდნენ. ბერს მათი შიშველი

ტანი ისევე ეზიზდებოდა, როგორც მუხლუხას სიფერმკთალე, როგორც უნასის წყლტუ კანი. მავრამ ბოლოს და ბოლოს ნიმფები მაინც ახერხებდნენ მის ცდუნებას, რადგან მათ შემყურე ბერს ღვთის სიბრძნე ეეჭვებოდა, რად შექმნა ეს უმაქნისი, მავნე არსებანიო, — ფიქრობდა და შესაქმე ღვთის თავშესაქცევ ავ ოინად ესახებოდა. ერთ შშვენიერ დილას გლეხებმა ნახეს, რომ მათი ბერი ნიმფების ჭადარს ხერხავდა. ნახეს და შემფოთდნენ, შეჭირიანდნენ, ნიმფებმა მური არ იძიონ, წყარო არ წაგვართვანო. თანაც ამ ჭადრის ჩრდილში სოფლის გოგო-ბიჭები ცეკვა-თამაშისთვის იყრიდნენ თავს. მავრამ წმინდა კაცს საყვედერი ვერ შებუდეს, შეემინდათ, არ გავანაწყენოთ მამა, რომელი არს ცათა შინა და რომელი განაგებს დარსა და ავდარს. კრინგი არ დაუძრავთ და მათმა დუმილმა უფრო შეაგულიანა თერაპიონ ბერი.

ამიერიდან კარში ისე არ გამოვიდოდა, ნიმფების მოსაგერიებლად ორი ქვა მაინც რომ არ პქონოდა სახელოს ნაოჭებში დამალული. მწუხრისას, როცა უკაცრიელ მინდვრებში აღარცერთი გლეხი არ ჩანდა, ცეცხლი წაუკიდა ბებერ ზეთისხილს. მის დაფედუროებულ ზროში ქალღმერთები იმაღებან, — ფიქრობდა. ცეცხლს მისცა ფიჭვის შიმელაწ დახეთქილი ქერქიდან ცრემლებაზ რომ სდიოდა აშიფი. შიმველი სხეული ამოვარდა მისი გარჯო დან და შეუერთდა თავისიანებს, დამჭრითხალა შელებივით შორიახლო გაფაციცებულთ. წმინდა

ბერი კი ხარობდა, ბოროტების კიდევ ერთი ბედე  
 რომ მოშალა. ჯვრები აღმართა ყველგან. საღვთო  
 ნადირი იფანტებოდა, ამ რადაც სახრჩობელას  
 მსგავსის ჩრდილს გაურბოდა და განწმენდილი  
 სოფლის შემოგარენში სიმშეიდე და სიმარგლე  
 ისადგერებდა. მაგრამ ბრძოლა გრძელდებოდა  
 ფეხდაფეხ, კვალდაკვალ. ახლა ნიმფები უერდობებ-  
 დე ძეგვნარს შეეხიბნენ და ქვებს უშენდნენ ბერს.  
 აქედან უფრო ძნელი იყო მათი გაძევება. ბოლოს,  
 როცა სოფლის ბიჭებმა ზურგი შეაქციეს, ლოცვებით  
 და სეცხლით შეჭირვებული ნიმფები როცა უსა-  
 ბოძეროდ და უსიყვარულოდაც დარჩნენ, ერთ  
 პატარა უერდობს შეაფარეს თავი. აქ, თიხნარში,  
 მთლად ჩამავებული უიჭვები ვეება არწივებს  
 ჰგეანდნენ. თითქოს მძლავრ კლანჭებში ჩაებლუჯათ  
 ეს აყალო მიწა, თითქოს ცაში მაქმანივით დაფრია-  
 ლებდა მათი ბემბული. ქვებზე წყარო მოწანწკა-  
 რებდა. წყალი ისე ცივი იყო, რომ სარცების  
 საჭიჭყნად არ ეკარებოდნენ გოგოები და მწყემსი  
 ბიჭებიც აღარ ეტანებოდნენ. გორაკის ფერდობზე  
 შეთხრილ ეხმი შეღწევა შეიძლებოდა ვიწრო ნაპ-  
 რალით, რომელმიც კაცი ძლიერ შეეტეოდა. ყო-  
 ველთვის, როცა ნიმფებს გაუავდრდებოდათ და  
 გართობა შეუფერხდებოდათ, აქ შეიხიბნებოდნენ  
 ხოლმე. ისინი, ნადირისა არ იყოს, უფრთხოდნენ  
 ჭექა-ჭეხილს და უმთვარო დამეებში აქ, პარეხში,  
 ეძინათ. მეხრე ბიჭები გამოქვაბულში შეღწევას  
 სდილობდნენ. ეს სახიფათო საქმე მათი ვაჟკაცობის

დიდი გამოცდა იყო. შემდეგ გაუთავებლად ტრა-  
ბახობდნენ, მრუმეში ნიმფების კენარი ტანი და  
დაბურდული თმები დავლანდეთო. თერაპიონ ბერს  
კლდის ფერდზე მიმაღული ეს გამოქვაბული გელზე  
ეკალივით ესობოდა. მინდვრის განაპირას საათო-  
ბით იდგა გარინდებული ბერი და ხელაღძყრობილი  
შესთხოვდა ზეცას ღმერთების მოდგმის ამ საშიში  
ნაშთის მოსპობას.

აღდგომის შემდეგ ცოტა ხანი რომ გამოხდა,  
ბერმა შეარჩია თავისი მრევლიდან ყველაზე უბირი  
და თან ყველაზე სანდო გლეხები, წერაქვები და  
ჩირალდნები მისცა, ჯვარცმას დასწვდა და სიბნე-  
ლესა და სისოვლეში წაუძღვა მათ თკრობოკრო  
გორაკებზე. მარჯველ უნდა გამოეყენებინა ეს ნეს-  
ტიანი კუნაპეტი ღამე. თერაპიონ ბერი გამოქვა-  
ბულის შესასვლელში ჩადგა, თავისი თანამშრა-  
ხველები შიგ არ შეუშვა, შეეშინდა, ცდუნებას არ  
აპყვნენო. ბნელში ისმოდა წყაროს ჩუხჩუხი და  
უიჭვებში სიოს ქროლვასავით ნაში ფაჩუნი. ეს  
მძინარე ნიმფების ფშვინვა იყო. სიმრად ხედავდ-  
ნენ სამყაროს სიჭაბუკეს, ეგმანებოდათ ქამი, როცა  
დედამიწა მხოლოდ ხეების, პირუტყვისა და ღმერ-  
თების სამკვიდრო იყო. გლეხებმა კოცონი გააჩა-  
დეს, მაგრამ ქარაფს ხომ ვერ წაუკიდებდნენ  
ცეცხლს! ბერმა თაბაშირის აულვა და ქვებზე  
დაგობზეა დაავალა მათ. ინათა თუ არა, ზედ იმ  
დაწყევლილი გამოქვაბულის ბლურბლთან, ფერდზე,  
პატარა სამლოცველოს აშენება დაიწყეს. კერ-

ლები ჯერ არ შემშრალიყო, კარიც აკლდა, ჭერიც, მაგრამ თერაპიონ ბერმა კარგად იცოდა, ნიმუჟები ცდენებას ვერ აპყვებოდნენ, ვერ გადმოლახავ-დნენ ამ წმინდა აღვილს, მისგან დალოცვილსა და ნაკურთხს. უფრო გულდაჯერებული რომ ყოფილიყო, ზედ იმ აღვილას, სადაც კლდე იყო გადახსნილი, თანაბარმკლავიანი ჯვარი აღმართა. ჯვარზე ქრისტე იყო მიხატული. ნიმუჟებს მხოლოდ ღიმილის ენა გაეგებოდათ და შემფოთებულნი უნდა უკაჭ-ცეულიყვნენ წამებულის ხილვაზე.

მზის პირველი სსივები მიადგა გამოქვაბულის ზღურბლს. ის საცოდავები, ჩვეულებისამებრ, სწორედ ამ დროს წამოიშლებოდნენ ხოლმე და იქვე, ხეთა ფოთლებიდან, ცვარს ისუგავდნენ. ახლა კი ქეითინებდნენ დატყვევებულები, შველას ითხოვდნენ, ოღონდ აქედან გაგვადწევინეო, და ალალად აღუთქვამდნენ ბერს სიყვარულს. გლეხები მთელ დღეს აშენებდნენ. სადამოქამს ცრემლები გადმოსუვიედათ ქვებს. გაისმა ხველება და როყიო ყივილი, დაკოდილ მხეცთა გახილის მსგავსი. მეორე დღეს სამლოცველო გადახურეს და ყვავილებით მორთეს, კარიც შეაბეს და კლიტემი რკინის დიდი გასაღებიც გააჩხაუნეს. დაქანცელი გლეხები იმ ღამეს სოფელში დაბრუნდნენ, თერაპიონ ბერი კი იქვე, ახალაღმართული ეკვდერის წინ, მიწვა. ძილფხიზლობდა, ტყვექმნილთა გმინვა და ვაება უკრთობდა ძილს. უნდა ითქვას, რომ ბერი გულმოწყალე იყო. წუხდა, უნებურად უეხით მღილს

თუ გასრესდა, ან მისი ძაბის შეხებაზე ყვავილი თუ დეროში გადატყდებოდა. ახლა კი ისე იყო გაცემულებული, ასპიტთა ბუდისთვის მიეგნო თითქოს და ორ აღიბს შეა მოემწყვდია.

მეორე დღეს გლეხებმა კირწყალი მოიგანეს, შიგნიდან და გარედან შეუეთქეს ეკლესია. იგი თეთრ მტრედს დაემსგავსა, კლდის მკერდზე მაყუელს. სხვებზე უტეხმა ორმა გლეხმა ეხმი შესვლაც კი გაბედა. ნესტიანი და დაღარული კედლები უნდა შეეთითხნათ, რომ წყაროს წყალსა და თაფლს არ შეეკონა, არ გახანგრძლივებულიყო ურიების გაჯახირებული ყოფა. ლონემიხდილ ნიმუებს იმის ძალაც აღარ შესწევდათ, ადამიანებს გამოცხადებოდნენ. მხოლოდ აქა-იქ მრუმეში ძლიერ გამოკრთებოდა მოკემული გუჩები, სახვეწრად შეყველილი ნამი ხელები, ან მოვარდისფრო მკერდი.

კირით გათხვრილი ცერი გაუსვეს გლეხებმა ხაოიან კედლებს და რბილი თმების თრთოლვა იგრძნეს. ხვიული თუ მოსდებოდა ნოჭიო ხამ ადგილებს. ნიმუების დაძაბუნებული სხეულები ნესტი იხრწნებოდა და პეპლის ჩამოყრილი ურთებიერთ ცვილდა მტვერში. კვნესოდნენ განუწყვეტლივ, მაგრამ ყურთასმენა უნდა დაგეძაბათ მათი მისუსტებული ხმის გასაგონად. ეს მტრიალი ნიმუების სული იყო.

მთელ მომდევნო ღამეს თერაპიონ ბერი ედან ნოში დაყედებული განდევილივით დაუცადებლად



ლოცველობდა სავანის ზღურბლთან. უხაროდა იმის გაფიქრება, რომ ახალ მთეარემდე კვნესა-ვაება შეწყდებოდა და შიმშილით დახოცილი ნიმფები უამურ მოსაგონწრალდა დარჩებოდნენ. სურდა, ლოცვით დაეჩქარებინა ტესალთა ხსნის ქამი – მათი სიკედილი. ბერს უნებურად შეეპარა მათი სიბრალელი და გააღიბიანა თავისმა სამარცხვინო სისუსტემ. აღარავინ მოსულა მასთან. სოფელი სადღაულს, ქვეყნის დასალიერში, ეგულებოდა. მინდვრის განაპირას არჩევდა მოწითალო მიწას, უჭივებს და ოქროსფერ სხივებში ჩაკარგულ ბილის. ესმოდა ნიმფების ხროგინი, რომელიც თანდათან ნელდებოდა, და თავისი ლოცვაც ესმოდა. ხმა მოლად ჩახრინწოდა.

იმავე საღამოს, შებინდებისას, ბილიკზე შენიშნა მისეენ მომავალი ქალი. თავჩაქინდრული იყო და ოდნავ მოხრილი. შავი მოსასხამი ებურა, ჩიქილაც შავი ჰქონდა, მაგრამ რაღაც იღუმალი ნათელი ატანდა თალს ქსოვილში და მწეხრს დილასავით აცისკროვნებდა. ყმაწვილ ქალს მხცოვანის სიდინჯე და სიდარბაისლე შვენოდა. ნაზი იყო მოწეული მტევანიეთ, სურნელოვანი ყვავილივით. ეკვდერს გაუსწორდა და გულდასმით შეათვალიერა ბერი. მას კი ლოცვა შეაცივდა ბაგებე.

– ეს ბილიკი არსაით მიდის, საიდან მოხვალ, ქალო?

– საიდან? დილასავით... აღმოსავლეთიდან. შენ აქ რასა იქმ, მოხუცო ბერო? – ჩაეკითხა ყმაწვილი

ঝুঁটু

— აგერ, ამ გამოქვაბულში გამოვიმწყვდი ნიგ-  
ფები, დამის წაწყმიდონ ეს მხარე. გარეთ გამოდ-  
წევა რომ ვერ გაბედონ, ზედ ეხის ნაპრალს  
მივაშენე ეს პატარა ეკლესია. ისინი ხომ შიმვლები  
არიან და თავისებური რიდი აქვთ ღვთისა. ვეღი,  
რომ სიცივითა და შიმშილით ამოიხოცებიან და  
ღვთის წყალობა მოუფინება არემარეს.

- კი მაგრამ, ვინ ვითხოდა, რომ წყალობა  
დეტისა არ ერგება ნიმუშებს, ასევე - შველების  
ჯოგება თუ თხათა არვეს?! - შეეპასუხა ქალი. -  
ნეთუ არ იცი, რომ შესაქმის ქამს ღმერთს და-  
ვიწყდა ზოგი ანგელოზისთვის ფრთხების ბოძება.  
ისინი მიწაბე ჩამოსუვივდნენ, ხეებმი ჩაიბუდეს,  
ნიმუშებისა და პანების მოდგმას მიხცეს დასაბამი;  
სხვები მთას შეეხიბნენ და ოლიმპიულ ღმერთებად  
იქცნენ. ნუ დრტვინავ წარმართივით, შემოქმედისა-  
გან მივიწყებული არსებანი ნუ გაშინებენ, საქმენა  
უფლისანი ნუ აღგაშუოთებენ, მადლი შესწირე  
ღმერთს დიანას და აპოლონის შექმნისთვისაც.

- ჩემი სული ასეთ სიმაღლეს ვერ შესწედება, -  
მდაბლად ჩაილაპარაკა მოხუცმა ბერმა. - ნიმუში  
მღვიმელებს მიძუოთებენ, მრევლი ლამის წამიწ  
მიღონ, მათი სულის ხსნა კი მე მაბარია, ღვთის წ  
ნაშე პასუხი მე მომეთხოვება. ამაგომ ვდევნი მათ  
და, თუ საჭირო შეიქნა, ვდევნი ქვესკნელში და-  
თქმამდე.

- ეს ყველაფერი ერთგულ მსახურებად ჩატარ

ლება, გულმართალო ბერო, — ღიმილით თქვა ყმაწვილმა ქალმა, — მაგრამ სხვა სამველს ვერა ხედავ? ესებ ნიმუშიც გადარჩნენ და შენი მრევლიც ცხონდეს.

მისი ხმა ნესტვის პანგივით დატკბა, შეჭირვებულმა ბერმა თავი დახარა. ყმაწვილმა ქალმა მხარჩე ჩამოადო ხელი და უფლებამოსილად უთხრა:

— შემიშვი ეხში, ბერო! მიყეარს გამოქვაბულები, მებრალება ყველა, ვინც იქ ეძიებს თავშესაფარს. გამოქვაბულში იმვა ჩემი ძე, მკვდარიც გამოქვაბულს მივაბარე, რათა აღდგომით მეორედ შობილიყო.

განდევილი განჩე გადგა, გზა უტია. ის კი პირდაპირ ნაპრალისაკენ გაემართა, თუმცა საკურთხეველი უარავდა მას. მღერბლმე ვება ჯვარი იყო აღმართული. მან სათუთად შეახო ხელი ჯვარს, შეახო, როგორც შეჩვეულსა და ახლობელს, გასწია და ქვაბში შევიდა.

კვნესამ იმატა სიბნელეში. ეღერტული და ფრთვის ფათქუნი გაისმა. ქალი ნიმუშებს ესაუბრებოდა, ესაუბრებოდა რაღაც უცნაურ ენაზე, ფრინველთა და ანგელოზთა ენაზე, ალბათ. უეცრად ქალი ბერის გვერდით გაჩნდა. ის კი კვლავ ლოცველოდა.

— იხილე, ბერო, იხილე და იხმინე!

ყურთასმენის წამდები ჭიკჭიკი მოისმა. ქალმა მოსასხამის კალთები გადაშალა და თერაპიონ ბერმა იხილა მისი ქაბის ნაოჭებში შეხიბნული მერცხლები. ქალმა მლოცველივით აღაპერო ხელე-

ბი, ააფრინა ჩიტები და ჩანგივით წერიალა ხმით  
თქვა:

— გაფრინდით, ჩემო პატარებო!

მერცხლები მწკრივად აიჭრნენ მწუხრის ცაში, ფრთებითა და ნისკარტით ამოუცნობ ნიშნებს ხაგავდნენ. მოხუცი ბერი და ყმაწვილი ქალი მზრით მიაცილებდნენ მათ. შემდეგ მოსულმა უიხრა დამხვედურს:

- ყოველ გამაფხულს დაბრუნდებიან და შენ  
მათ შეიფარებ ჩემს ეკლესიაში, მშვიდობით, თერა-  
პიონ!

მარიამი დაადგა იმ ბილიკს, არსაით მიმავალს. გზაწვრილი წყდება თუ არა, როდი აფიქრებს მას, ვისაც გეცის გზებზე სვლა ხელეწილება.

თერაპიონ ბერი სოფლისკენ გაემართა. მეორე დღეს, ქამისწირვისთვის რომ ამობრუნდა, ნიმუშის გამოქვაბული მერცხელის ბუღეებით იყო მოყენილი.

ისინი ყოველ წელს ბრუნდებიან, მოფრინავენ  
და იბუდებენ ეკლესიაში. ბარტყების დაზრდაშე-  
თავიანთი ბუდეების – თიხის პაწია სახლების –  
მემტეცებაზე ჩრუნავენ. თერაპიონ ბერი ლოცვას  
შეწყვეტს ხოლმე და შექსარის მათ სიყვარულს,  
მათ სილაღეს.

ასეა, ნიმუშებს როდი ეპატიებათ ის, რაც მიეჩქვებათ მერცხლებს.

# ქვრივი აფროდისია



მას წითელი კოსტისი შეარქევეს, რადგან წითელი იყო, თანაც სინდისიც დამძიმებული პქონდა კარგა ბლომად დაღვრილი სისხლით, უფრო კი იმიტომ, რომ მუდამ წითელი კილეტით გამოწყობილი შეიჭრებოდა ხოლმე ცხენის ბაზარში, უციფრად შეევაჭრებოდა რომელიმე გლეხს, რომ ჩალის ფასად დაეტყებინა საუკეთესო ბედაური; ამინებდა, ათასნაირი ნაცადი ხერხიდან ერთ-ერთით, უეჭველად გამოგასალმებ წუთისოფელსო. კოსტისი მთას აფარებდა თავს, თავისი სოფლიდან რამდენიმე საათის სავალზე. მის დანაშაულებრივ საქმეთა სია კარგა ხანს რამდენიმე პოლიტიკური მკვლელობითა და ათიოდე ჯანდაგი ცხვრის მოტაცებით შემოიფარგლებოდა. შეეძლო უხიფათოდ დაბრუნებულიყო თავის სამჭედლოში, მაგრამ იმათი ჯილაგისა იყო, სუფთა პაერზე ყოფნა და მოპარული საჭმლის გემო ყველაუერს რომ ურჩევნიათ. მერე კი ორი თუ სამი სხვა მკვლელობაც ჩაიდინა,

რამაც მის წინააღმდეგ უკვე სოფლის გლეხობაა განაწყო. მგელივით გამოდევნებ ბუნავიდან, გახვით გაიგდეს წინ. გიორგობის ღამეს კი სულაც მეიპურეს და სოფელში ჩამოიტანეს უნავირზე დაკრული, სასაკლაობე დაკლული პირუტყვივით ყელგადახსნილი. ასეთივე ბედი ეწია დანარჩენ თხს ყმაწვილსაც, მან რომ ჩაითრია ფათერაკებით სავსე ცხოვრებაში. ტყეიბით იყვნენ დაცხრილული და დანებით აკუწული. ორკაპებზე წამოუმჟღი ხუთი მოჭრილი თავი სოფლის მოედანზე გამოფინეს. სასაფლაოს ჭიშკართან ხუთი გვამი ერთ-მანეთზე იყო მიყრილი. დახურული დარაბების იქით, მზესა და ბუზებს გარიდებული გლეხები გამარჯვებას მეომობდნენ. ქერივი კი იმ ბებერი მღვდლისა, კოსტისმა ექვსი წლის წინ სიცოცხლეს რომ გამოასალმა უკაცრიელ გზაზე, თავის სამჩარეულოში ცხარედ მოთქვამდა, თან ჭიქებს რეცხავდა, წედან არყით სავსე რომ მიართვა მისი ქმრის მკვლელზე შეკისმაძიებელ გლეხებს.

ქვრივმა აფროდისიამ თვალები შეიმშრალა და სამჩარეულოში მდგარ ერთადერთ სკამჩე ჩამოჯდა, მაგიდის კიდესთან ხელებს ჩამოაყრდნო ნიკა, რომელიც ბერიქალივით უკანკალებდა. თხმაბათი იყო, მას კი კვირის აქეთ ლუქმა არ ჩაეშეა პირში. სამი ღამე თვალი არ მოეხუჭა. შეკავებულ ქვითინი უთახთახებდა გულმკერდს მავი მარმაშის კაბის ფართო ნაოჭებქვეშ. ქალს თავისივე მოთქმა თანდათან ადუნებდა და ძალაუნებურად აწე-

ნარებდა. უეცრად წამოხტა, წელში გაიმართა. მისთვის ჯერ არ დამდგარიყო მოსვენებისა და დამშეიდების ეამი. სამ დღე-ლამეს იცდიდნენ ქალები სოფლის მოედანზე, წიოკობდნენ ყოველი გასროლის ხმაზე, მთა ექოდ რომ ეხმიანებოდა ხოლმე. აფროდისია ყველაზე ხმამაღლა ყვიროდა, როგორც პატივებული კაცის ქვრივს შეეფერება. მერე რა, რომ ბებერი მღვდელი აგერ უკვე ექვსი წელია მმვიდად წევს საფლავში. აფროდისიას გელს შემოეყარა, როცა მესამე დღეს, გამთენისას, გლეხებმა სოფელში ჩამოიგანეს თავიანთი სისხლიანი ნადავლი, ერთი ქანცგაწყვეტილი ჯორისათვის რომ აეკიდათ. მებობლის ქალები იძულებულნი გახდნენ მიეცილებინათ აფროდისია პატარა სახლამდე, სადაც დაქვრივების დღიდან განმარტობით ცხოვრობდა. გონს მალე მოეგო და დაიეინა, შერისმაბიებლებს უნდა გავუმასპინძლდეთ. აკანკალებულმა ქალმა რიგრიგობით ჩამოუარა გლეხებს, ოთახში ტყავის და ოფლის გულსამრევ სუნს რომ აფრქვევდნენ, და, რაյი ვერ მოახერხა საწამლავით შეეკაზმა პურისა და ყველის ნაჭრები, იმითდა დაკმაყოფილდა, რომ მალულად დააფურთხა ზედ და ჩაუთქვა, შემოდგომის მთვარეს მალე გაენათებინოს თქეენი საფლავებით.

იმ წესს მჩად იყო ეამბნა მათთვის თავისი თავგადასავალი, ფარდა აეხადა საიდუმლოსათვის და დაედასტურებინა მათი ეჭვები, პირში მიეხალა სიმართლე, ასე იოლი და ასე ძნელი შესანახი

რომ იყო ათი წლის განმავლობაში: მისი სიყვარული კოსტისისადმი, მათი პირველი შეხვედრა გზაჯვარედინზე, თუთის ხის ქვეშ, სადაც ქალმა თავი შეაფარა კოკისპირულ წვიმასა და სეტყვას; ვნება, უეცარ ელვასთან რომ გაჩნდა იმ ქარიშბლიან ღამეს; მერე როგორ დაბრუნდა სოფელში, სინდისის ქენჯნით სელდამძიმებული, თუმცა შიშს უფრო გრძნობდა, ვიდრე სინანულს; უსამველოდ გრძელი კვირა, როცა ამაოდ ცდილობდა გულიდან ამოეგდო კაცი, რომელიც პურსა და წყალბე უფრო აუცილებელი გახდა მისთვის. მისი მეორე სტუმრობა კოსტისთან, როცა ფქვილის წალება მოიმიტება მღვდლის დედასთან, რომელიც მარტოკა ცხოვრობდა მთის ფერმაში; ყვითელი ქვედაქაბა იმ ხანებში რომ ესვა ხოლმე, ზემოდან გადაიფარეს და ისე იწვნენ მის ქვეშ, თითქოს მზის ნაგლეჯი ეფარიათ თავზე; ღამით იძულებული გახდნენ მიტოვებული თურქები ქარვასლის საქონლის ბაგაში დამალულიყვნენ. წაბლის ხის ნედლი ტოტები სახეში სცემდათ. ბილიკებზე მიუძღვებოდა ზურგში წახრილი კოსტისი; უცაბედი ნაბიჯიც კი საშიში იყო, რომ გველს არ წასწყდომოდნენ; დაკლაკნილი ნაჭრილობევი, პირველ დღეს რომ ვერ შენიშნა კაცის კისერზე; ხარბი და გახელებული მზერა მამაკაცისა, თითქოს ქალი ნაპარავი განხი ყოფალიყო. მკაცრ ცხოვრებას მიჩვეული მამაკაცის მკვრივი სხეული; სიცილი, ასე რომ ამშვიდებდა ქალს და შესანიშნავი ჩვევა: ალერსის დროს კოს-

გისი ჩურჩულით იმეორებდა მის სახელს.

ქალი უეხბე წამოდგა, ხელი მოუქნია ბუზებს, რომლებიც თეთრ კედელზე ბტუილით დაცოცავდნენ. სიბინძურით გატიკნილი ეს მსხვილი პარაზიტები მსუბუქად, ჩუმად მოძრაობდნენ. შესაძლოა, სწორედ ეს ბუზები ეს-ესაა ეხებოდნენ კოსტისის შიმველ ტანს, გასისხლიანებულ თავს. ბავშვების წიხლებსა და ქალების ცნობისმოყვარე მზერას ესეც დაემატა იქნებ. ოჰ, ნეტავ შეეძლოს ქალს, ჩვრის ერთი მოსმით გაწმინდოს ეს სოფელი, გააძევოს. ეს დედაბრები, კრაბანას შხამივით მოწამლელი ენები რომ აქვთ; ეს ახალგაზრდა მღვდელიც, ნაკურთხი ღვინით რომ გამომთვრალა და ლამის ეკლესია დაქციოს თავისი წინამორბედის მკელელის შეჩვენებით; ეს გამხეცებული გლეხები, კოსტისის გვამს ისე რომ მისევიან, როგორც ბზიკები – თაფლივით ტკბილ ხილს. ვინ წარმოიდგენდა, რომ აფროდისიას გლოვის მიზები შეიძლებოდა სხვა ვინმე ყოფილიყო და არა ბებერი მღვდელი, ყველაზე საპატიო აღგილას რომ განისუენებს სასაფლაოზე. ქალს კი არ შეეძლო მათთვის ეთქვა, რომ ამ გაბლენბილი ლოთის სიცოცხლე ჩირადაც არ უდირდა.

მართალია, მღედლის ხვრინვა ძილს უფრთხობდა და მისი გაუთავებელი ხველებაც ძალიან აღიზიანებდა, მაგრამ მაინც ებრალებოდა ეს გელუბრყვილო, უმაქნისი მოხუცი, რომელმაც თავი ისე გააბრიყებინა და დააშინებინა შეყვარებულებს,

რომ ჩრდილების თეატრის პერსონაჟს, სასაცილო, ეჭვიან ქმარს დაემსგავსა. მღვდელმა მათი მიჯნურობის დრამა ლამის ფარსად გადააქცია. სანახავად ღირდა კოსტისი როგორ მიიპარებოდა მღვდლის სახლთან, კისერს გადაუგრეხდა წიწოლებს და მერე ქურთუკქვეშ დამალული მიპქონდა. წვრილმანი ქურდობა მელიებს ბრალდებოდა. ერთ დამეს მღვდელმა გაიღვიძა მათი სასიყვარულო ჩურჩულის გაგონებაზე, ფანჯარაში გადაიხარა და ბალის კედელზე ჩრდილების მოძრაობას დაუდარაჯდა, თან ეშინოდა ამბის გახმაურებისა, ყოყმანობდა, თოფის გასროლას ვერ ბედავდა, თუმცა შერისძიების წადილი სტანჯავდა. ერთადერთი რამ, რაც აფრთდისიას შეეძლო ესაყვედურა კოსტისისათვის – ეს მკვლელობა იყო, მკვლელობა ბერიკაცისა, რომელიც უნებურად დარაჯად დაუდგა მათ სიყვარულს.

მას შემდეგ, რაც დაქვრივდა, ეჭვიც კი აღარავის აუღია უმთვარო ღამეებში კოსტისისა და აფრთდისიას იდუმალ შეხვედრებზე. ამრიგად, ქალის ბენიერებას ის სიმბაფრე მოაკლდა, უნებლიერ მოწმის არსებობა რომ ჰმაგებდა. როცა სოფლის დედაქაცები ეჭვით მიაჩერდნენ ახალგაზრდა ქალის დასრულებულ ტანს, გულში გაივლეს, მღვდლის ქერივი ალბათ რომელიმე ჩამოსულ ვაჭარს ან უერმის მუშას დანებდათ, თითქოს აფრთდისია ასეთ გრძებთან დაწოლას იკადრებდა. რას იჩამდა, სიხარულით უნდა აეტანა დამამცირებელი ეჭვები და

თავმოყვარეობაც ისე დაეძლია, როგორი მოთმინებითაც გულისრევას იკავებდა. როცა რამდენიმე კვირის შემდეგ განიერ ქვედაკაბაში იხილეს მუსელდაჩეტული აფროდისია, გაუკვირდათ, ასე იოლად როგორ მოიშორათ თავისი ტვირთი.

ეჭვიც არავის აუღია, წმინდა ლუკას ტაძარში გამგზავრება მხოლოდ საბაბი რომ იყო, და აფროდისიამ მღვდლის დედის ქოხს რომ შეაფარა თავი, სოფლიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით. მღვდლის დედა კოსტისს პურს უცხობდა და ეილებს უკემსავდა. იმიგომ კი არა, რომ გადაყრუებულ დედაბერს მგრძნობიარე გული პქონდა: კოსტისი მას არაყით ამარაგებდა. ეგეც არ იყოს, ყმაწეილქალობისას თვითონაც არაერთხელ ასძგურებია სიყვარულით გული. ამ ქოხში მოევლინა ბავშვი ქვეყანას, აქეე კატის ქნუტივით მოახრჩვეს თივის ორ ლეიბს შეა, სუსტი და დედიმობილა, არც განუბანიათ, ისე.

მერე იყო და, კოსტისის ერთ-ერთმა თანამზრახველმა სოფლის თავეაცი მოკლა და ქვრივის გახელებულმა საყვარელმა ხელი დაავლო ძველ სანალიო თოფს. დაბოლოს, ის სამი დღე და სამი დამე, როცა მზე თითქოს სისხლის ღვარმი ამოდიოდა და ჩადიოდა. ამ საღამოს კი ყველაფერი დასრულდებოდა მხიარული ფეიერვერკით. ბენზინით სავსე ბილონები უკეე ჩაემწერივებინათ სასაულაოს ჭიმეართან. კოსტისს და მის ამხანაგებს ისევე მოექცეოდნენ, როგორც ჯორის მძორს,

ბენზინგადასხმულს რომ წვავენ, რათა დამარხევით არ შეიწეონ თავი. აფროდისიას სამოქმედოდ რამდენიმე საათიდა რჩებოდა, ვიდრე შეადლის ხვაგის გამო სოფელი უკაცრიელი იყო.

ქალმა ურდელი გამოსწია. მიწაყრილზე გავიდა. ეს მიწაყრილი სახლს სასაფლაოსაგან ჰყოფდა. გვამები უწესრიგოდ ეყარა ქვის კედელთან. კოსტის ცნობა არ გასჭირებია: ყველაზე დიდი იყო, თანაც ქალს ის უყვარდა. რომელიდაც წეწე გლეხს მისთვის უილეჭი გაეძრო, გაიხარა ალბათ, კვირადღეს გამოვიპრანებიო. ქუთუთოებთან ბეზები მისეოდა სისხლიანი ცრემლის ნაკვალევს. საბრალო თითქმის შიშველი იყო. ორი თუ სამი ძაღლი მიწამე გავლებულ შავ ნაკვალევს ლოკაზდა, მერე აქოშინებულები კვლავ ჩრდილის ვიწრო ბოლს აფარებდნენ თავს. სადამოს, როცა მშის მცხუნვარება განეცლება, ქალები ჯგუფ-ჯგუფად გაემართებიან ვიწრო ტერასისაკენ, დააკვირდებიან კოსტისის ბეჭებშეა ამოსულ მეჭეჭს. კაცები ფეხის კვრით გადააბრუნებულ ცხედარს, რომ ბენზინით გაედინთონ ტანჩე შერჩენილი ტანსაცმელი. სიხარულით გახსნიან ბიდონებს, როგორც ლვინიან კასრს – მეღვინეუები. აფროდისიამ ხელი წაავლო კოსტისის პერანგის ჩახეულ სახელოს. ეს პერანგი თვითონ შეუკერა და სააღდგომოდ აჩუქა შეუვარებულს. უცებ კოსტისის მარცხენა ხელის სახსართან თვალი მოპრა ტატუირებულ თავის სახელს. ვინ-მეს რომ ენახა ეს უხეიროდ გამოყვანილი ასოები,

სიმართლე მყისვე გამოაშეარავდებოდა, გაანათებდა თანასოფლელთა გონებას, როგორც ბენზინის აღი გაანათებს ამ საღამოს სასაფლაოს კედელს. ქალმა თავი ჩაქოლილად, ცოცხლად დამარხულად წარმოიდგინა. რა უნდა ქნას? ხელს ხომ ვერ მოპგლეჯს, იმ ხელს, ასეთი სინაბით რომ სდებს ბრალს? ან შანთით ხომ ვერ ამოსწვავს მის დამღეპველ ასოებს? ვერ შეძლებს, ვერ მიუმატებს ამ მრავალტანჯულ სხეულს კიდევ ერთ ჭრილობას.

მამა ეტიენის საფლავზე დახვავებულ თუნუქის ყვავილების გვირგვინებზე მზე ირეკლებოდა. ამ კუტიანმა ბორცვმა ქალს ბერიკაცის ღიპი მოაგონა. როცა დაქვრივდა მღვდლის ცოლი, პატარა ქოხში შეასახლეს, სასაფლაოდან ორიოდე ნაბიჯის მომორებით. ბედს არ ემდუროდა, ასე განცალკავებით რომ მოუწია ცხოვრებამ იქ, სადაც გარდა საფლავებისა, სხვა არაფერი იყო და კოსტისს შეეძლო ბნელი ღამით გამოველო შოგჯერ ამ გზაზე. ახლომახლო არავინ ჭაჭანებდა, მეტობლად მცხოვრები კი ყრე იყო. მამა ეტიენის საფლავს ქოხისაგან მხოლოდ სასაფლაოს კედელი ჰყოფდა. ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, თითქოს მღვდლის წეერებიანი აჩრდილის თანდასწრებით ეალერსებოდნენ ერთმანეთს. დღესაც ეს მარტოობა შეაძლებინებდა აფროდისიას განეხორციელებინა ჩანაფიქრი, თავისი ფათერაკიანი და ბობოქარი ცხოვრების შესაფერისი რომ იყო.

ქალმა ხელი პკრა მზით განათებულ ხის ჭიშ-  
კარს. საჩქაროდ აიღო მესაფლავის ბარი და  
წერაქვი.

მიწა მშრალი იყო, მაგარი. აფროდისიას ოფლი  
სდიოდა ღვარად. ბარი ბოგჯერ ქვაბე გაიწერია-  
ლებდა ხოლმე. ამ მიყრუებულ ადგილას ეს ხმა  
ვერავის შეაშფოთებდა, თანაც ნასაღილევს სოუელს  
მაგრად ეძინა. ბოლოს ქალმა გაიგონა ხებე წე-  
რაქვის დაკვრის მევეთრი ხმა და გიგარის დაფა-  
სავით გათხელებული კუბო დაიმსხვრა, გამოჩნდა  
მამა ეტიენის ძვლები და დაძენძილი ანაფორის ნარ-  
ჩენები. აფროდისიამ ნეშტი კუბოს კუთხისაკენ მის-  
წია. მერე იღლიებში ფრთხილად ჩაავლო ხელები  
კოსტისის გვამს და საფლავისაკენ გააჩოჩა. ყო-  
ფილი საყვარელი ქმარბე მთელი თავით მაღალი  
იყო. მაგრამ თავმოკვეთილი კოსტისისათვის კუბო  
ახლა საკმაოდ ვრძელი აღმოჩნდა. აფროდისიამ  
სახურავი დააფარა კუბოს, მიწა ხელახლა მიაყარა  
სამარეს, ახლადწარმოქმნილი ბორცვი დაფარა  
გვირგვინებით, რომლებიც თავის დრობე ათენში  
შეიძინეს მრევლის ხარჯით; ბოლოს მოასწორა ბი-  
ლიკი, რომელზედაც წელან მკვდარი გადაათრია;  
სასაფლაოს ჭიშკართან გროვას ამჟამად ერთი  
გვამი აკლდა. თუმცა რა, გლეხები ყველა საფლაქს  
ხომ ვერ გადათხრიდნენ მის ძებნაში.

აქომინებული ქალი წამით ქვაბე ჩამოჯდა და  
მაშინვე ზებე წამოიჭრა. საქმე ბოლომდე პქონდა  
მისაყვანი. კოსტისის თავი ჯერ ისევ მაღლა

ეკიდა, სამარცხვინოდ, ორკაპჩე ჩამოცმული, იმ ადგილას, სადაც სოფელი თავდება და კლდე და ბეცა იწყება. ქალს ჯერ არ დაემთავრებინა დაკრძალვის რიტუალი. უნდა იჩქაროს, ვიღრე ხვატია, უნდა იხელთოს დრო, ვიღრე ადამიანებს სახლებში შეყუებულებს სძინავთ, უკანს ითვლიან ან სიყვარულს ეძლევიან და მზეს უთმობენ თავისუფალ სივრცეს დედამიწაზე.

ქალმა სოფელს შემოუარა და მწვერვალისაკენ გაელაკნილ ბილიკს დაადგა, იშვიათად თუ გაიელი-და ვინმე ბედ. სახლების ვიწრო ჩრდილში ბლურბლ-თან გაძეალტყაუებული ძაღლები თვლემდნენ. მიმა-ვალი აფროდისია ძაღლებს უეხს წაპერავდა ხოლ-მე, თითქოს პატრონის ჯავრი მათზე უნდა ეყარა. ერთი ბალანაშლილი ქოფაკი ყმუილით წამოი-მართა. სხვა გმა არ იყო, ქალი შეჩერდა, ძაღლს მიელაქეცა და მიეფერა, რომ დაეწყნარებინა. პაე-რი გავარვარებულ რკინასავით გახურებულიყო. აფ-როდისიამ თავსაფარი შებლზე ჩამოიწია. რა ეშვე-ლება, მზემ რომ დაპქრას და ბოლომდე უერ მიიყ-ვანოს საქმე.

ბილიკი თეთრ მრგვალ ბეგანზე გადიოდა. მაღ-ლა მოჩანდა მღვიმეებით დახრული დიდი კლდე-ები, სადაც უეხის დაღვგმას კოსტისისთანა თავზე-ხელაღებული თუ გაბედავდა. ვინმე უეხო თუ დააპირებდა იქ ასელას, გლეხები როყიო შეძახი-ლებით ურჩევდნენ, უკან მობრუნებულიყო. უფრო მაღლა კი არწივები ბუღობდნენ და მათი საუფ-

ლო – ბეცა მოჩანდა. კოსტისის და მისი ძმაკაცების – ხუთივეს თავი ორკაპებზე ჩამოეგოთ. ხუთივე სხვადასხვაგვარად დამანჭულიყოთ. კოსტისს ტეჩები მოეკემა, თითქოს იმ საკითხზე ჩაფიქრებულიყო, რომლის გადაჭრაც სიცოცხლეში ერ მოქსწრო, – ვთქვათ, ახალი ცხენის ყიდვაზე ან ახალი ნადავლის გამოსასყიდად ასაღებ ფულზე. მეგორებისაგან განსხვავებით, ის ყველაზე ნაკლებ შეეცვალა სიკვდილს: ისედაც ხომ ძალიან უერმყთალი იყო. აფროდისიამ ორკაპიდან ჩამოხსნა თავი. თმამ აბრეშუმივით გაიმრიალა. გადაწყვეტილი ჰქონდა, ნადავლი სახლში დაემალა, სამზარეულოს იატაკის ქვეშ ჩაემარხა ან იმ გამოქვაბულმი აეტანა, გრა მარტო მან რომ იცოდა. ამ ფიქრში გართული ეაღერსებოდა ნაშთს თავისი სიყვარულისას, არწმუნებდა, გადავრჩითო.

ქალი ჭადრის ძირას ჩამოჯდა, მოედნის ქვემოთ, უერმერ ბასილის ნაკვეთში. ფეხქვეშ ემლებოდა კლდოვანი ნიადაგი და ქვები მინდორზე ცვიოდა. ტყის კორომები შორიდან ხავსის გროვებს ჰგვანდნენ. სულ ქვევით, ორ მთას შუა, ბლვა მოჩანდა. აფროდისიამ ნაღვლიანად გაიფიქრა: რომ დამეყოლიებინა და გავცლოდით აქაურობას, სადმე შორს რომ გადავკარგულიყავით, ახლა სისხლში მოსვრილი მისი თავი ხომ არ მექნებოდათ კალთაში. ამდენ ხანს შეეავებულმა დარღმა და წუხილმა ერთბაშად გადმოხეთქა და აფროდისია მოგირალი ქალებივით აქვითინდა. იდაყვები მუხლებზე დაყრდ

ნო, თითები სველ ლოყებზე წაეჭირა და ცხარე ცრემლს აფრქვევდა მიცვალებულის სახეს.

— ეი, მღვდლის ქვრივო, შე ქურდბაცაცავ, რა გინდა ჩემს ბოსტანში? — მებაღის დანითა და ჯოხით შეიარაღებული ბებერი ბასილი გზაზე ეშვებოდა. უნდობლობა და მრისხანება საფრთხოებულას იერს აძლევდა მას. აფროდისია მარდალწამოხტა, კოსტისის თავი წინსაფარში დამალა და მიუგო:

— მე შენთვის ჩრდილის მეტი არაფერი წამირთმევია, ბიძია ბასილ, ცოგაოდენი ჩრდილი მოგპარე, რომ შებლი გამეგრილებინა.

— მაგ წინსაფარში რაღას მალავ, შე ქურდო, უმაქენისო, გოგრას თუ საგამთროს?

— ჰო, მართლა, ღარიბი ვარ, ბიძია ბასილ, ერთი საგამთრო მოგპარე, წითელი, შავეურკებიანი.

— მაჩვენე ერთი, შე მატყუარავ, ბინძურო თხუნელავ! ახლავე უკან დამიბრუნე, რაც მომპარე!

ბერიკაცი ფერდობბე ამოხტა ჯოხის ქნევით. აფროდისია კლდისაკენ გაქანდა. ხელებით მაგრად ჩაფრენოდა წინსაფრის ბოლოებს. ფერდობი სულ უურო დამრეცი ხდებოდა, ბილიკებე ფეხი უსხლტებოდა, ჩამავალი მზე თითქოს სისხლის შეფეხბად დასწვეთებოდა ქვებს. ბასილი შეჩერდა. შორიდან უყიროდა ქალს, მობრუნდიო. ბილიკი დავიწროვდა. ბილიკი კი არა, ქვა-ლორდი იყო. აფროდისიას ესმოდა ბასილის ხმა, მაგრამ ქარისაგან ნაწყვეტ-ნაწყვეტ მოგანილი მისი სიტყვები იმასდა

აუწყებდა, რომ აუცილებლად უნდა გასცლოდა სოფელს, სიცრუეს, თვალთმაქცობას, გარდაუვალ მსჯავრს, ყველასათვის საძულველ დედაბრად ყოფნას რომ უქადდა. უცებ ქვა გამოეცალა უეხქვეშ და ჩავარდა უფსერულში, თითქოს გზა უჩვენაო აფროდისიას. ქერივი აფროდისიაც გადაემვა წყვდიადსა და ქვესკნელში. გასისხლიანებული თავიც თან ჩაიტანა.

# თავმოკვეთილი კალი



კალი, შიმისმგვრელი ქალღმერთი, ინდოეთის  
 ველ-მინდვრებმე დაეხეტება. ერთსადაიმავ დროს  
 ნახელობენ მას ჩრდილოეთსა თუ სამხრეთში,  
 წმინდა აღვილებსა თუ ბაზრებში. ქალები ცახცახე-  
 ბენ მის დანახვაზე, ჭაბუკებს მის გამოჩენაზე  
 ნესტოები ებერებათ და კარის ზღურბლს აწყდები-  
 ან. ჩვილი ბალღებიც კი ღნავილით იმეორებენ  
 მის სახელს. შავი კალი შემჩარავია და თან  
 მშვენიერიც. მის გაწლობილ ტანს ბანანის ზროს  
 ადარებენ პოეტები. შემოდგომის ამომავალ მთვა-  
 რეს უგავს მომშვილდული მხრები, დაბერილი  
 კვირტებივით დასკდომაზე აქვს ძუძუები; ახალშობი-  
 ლი სპილოს ხორთუმივით მიირწევა მისი თეძოები;  
 დაღის, დაცეკვავს და დაათამაშებს ახალამოყრი-  
 ლი ყლორტების მსგავს ფეხებს. სიცოცხლესავით  
 მცხუნვარეა მისი ბაგეები, სიკვდილივით ღრმაა და  
 უძირო მისი თვალები. ქალღმერთს ირეკლავს ბრინ-  
 ჯაო დამისა, ვერცხლი განთიადისა, სპილენძი მწუხ-

რისა, თქრო შუადღის ხვაჭისა და თავის ანარეკლს აკვირდება კალი. მის ბაგეებს არასოდეს გაუღიმია. მაღალ ყელბე ძვლების შიბი ჰკიდია. სახე ტანჩე თეთრი აქვს. დიდ თვალებში სიწმინდე და სევდა ჩასდგომია. გაცრეცილი სახე ცვრიან ცინცხალ დილასავით ღანამვია ცრემლით.

ამაზრბენია კალი. ქალღმერთი მოსწყდა თავის ღვთაებრივ მოდგმას, რადგან თავი გაუყადრა პარიებსა და ავაზაკებს. კეთროვანთაგან დაღოშნილი სახე დაუმდიერდა. ბლერიან მკერდზე ეკვროდა ჩრდილოელ მექარავნეებს, რომელთაც დიდი ყინვების გამო თავის დღეში არ ებანავათ; ტილიან საწოლში უწვებოდა ბრუციან ბოგანოთ; ბრაჟმანთა ამბორის შემდეგ ეტმასნებოდა წაწყმენდილთ, უწმინდერთა მოდგმას, ნათლის შემგინებელთ, რომელთაც გვამის გაპატიოსნება ევალებოდათ. ჩაღველფილ ვეება ეოცონთან ჩრდილში გაყეჩდებოდა ხოლმე. უყვარდა უბირი ბრგე მებორნეები, არ თაკილობდა ბაზრის განვ მტვირთავებს, საკიდარი პირების ვივინით ნაცემთა და ნაგვემთ. თავს აღებდა საპალნის ღვედებისაგან გადაყველეულ მათ მხრებს ციებცხელებიანი რომ წყალს მოინატრებს, ასე იყო ატანილი საძრახისი სიამის ძიებით და დაძრწოდა კალი სოფლიდან სოფლად, გზაგასაყაროდან გზაგასაყარბე.

როკავდა გახელებული. მისი წვივსამკაული ქღრუნობდა. თვალთაგან გაუნელებლად სდიოდა ცრემლი. დამწერებული ქალღმერთი აღარავის

პკოლნიდა, წამწამებს აღარავის უცაცუნებდა. სახე  
უბიწო მთვარესავით გაფერმეთალებოდა.

კალი, ლოტოსი სრულქმნილებისა, ერთ დროს  
ინდრას ცაგე ისევე მეუფებდა, როგორც ლურჯი  
იაკინთის წიაღში. დილა ალმასივით ციმციმებდა  
მის მზერაში. სამყარო იქუმშებოდა და ფართოვდე-  
ბოდა მისი გელის ბაგაბუგზე.

მაგრამ კალიმ, ყვავილივით სრულქმნილმა, არ  
უწყოდა, რომ სრულქმნილი იყო; დღესავით წმინ-  
დამ არ იცოდა, რომ წმინდა იყო.

ერთ საღამოს, მზის დაბნელების უამს, შურით  
აღძრული ღმერთები კალის ჩაუსაფრდნენ ჩრდი-  
ლის კონებში, მათთან განდობილი პლანეტის  
მეორე მხარეს, და ელვამ თავი წააცალა ქალ-  
ღმერთს. გადაჭრილი კისრიდან სისხლის ნაცვლად  
ნაკადად გადმოსკდა ნათელი. თავმოკვეთილი გვამი  
ღმერთებმა უფსკრულში მოიხროლეს და იგი ჩაე-  
ნარცხა ქვესკნელმი, სადაც ძირს განრითხმულიყვნენ  
და ქვითინებდნენ ღვთაებრივი ნათლის ვერმჭვრეტ-  
ნი და ნათლისაგან განმდგარნი. ცივმა ქარმა  
დაბერა და შეანივთა ციდან ჩამოღერილი ნათელი.  
თეთრი ტახტი გამოიკვეთა მთებს მაღლა, ვარსკვ-  
ლავებით მოჭედილ სიერცეში, რომელსაც მწუხრი  
ეპარებოდა. ღვთაებრივი ურჩხულები, ღვთაებრივი  
სხოველები, ხელფეხმრავალი ღმერთები ბორბლები-  
ვით ბრუნავდნენ და თავისივე თვალისმომჭრელი  
ნიმბით დაბრმავებულები მიქროდნენ სიბნელეში.  
პირქეში ჟკვდავი არსებანი ცოდვებს ინანიებდნენ.

დამხობილი ღმერთები ზესკნელიდან ცვიოდნენ აკეამლებულ ქვესენელში. აյ ღაფორთხავდნენ არსნი. მათ გამოიარეს ცხრა განსაწმენდელი, გამოსცადეს ჭუჭყისა და სიცივის სატანჯველი, სადაც აჩრდილებს სინდისის ქენჯნა ღრღნიდა ჩადენილ შეცოდებათა გამო; მათ გაუძლეს დილეგს გეპენისას, სადაც ბილწი ვნებებით გათანგული მიცვალებულები ტიროდნენ, იმ შეცოდებათა წყურვილით ატანილნი, რაც ჩაუდენელი დარჩათ. ღმერთებს უკვირდათ, ადამიანებს ბოროტების ასე მრავალგვარად წარმოსახვის უნარი რომ ჰქონდათ; აოცებდათ სიამოვნებისა და ცდუნების დაუოკებელი წყურვილი და რაგინდარანაირი ხერხები. ძვლებით საქაუგუბეში ღოგოსივით ტივტივებდა კალის თავი და მისი გრძელი შავი თმები უქსვებივით იკლაკნებოდა.

ღმერთებმა აიღეს მშვენიერი თავი, ეძიებდნენ ტანს, რომელიც მას ატარებდა. კბოდესთან თავმოკვეთილი გვამი ეგდო. დასწვდნენ, კალის თავი შეადგეს მხრებზე და გააცოცხლეს ქალღმერთი.

გვამი კი მეძავისა იყო. ჭაბუკი ბრაჟმანის სულის სიმშვიდის დარღვევას ცდილა და მიტომ მოუკლავთ. სისხლისაგან დაცლილი და ფერწასული გვამი წმინდა ჩანდა. ქალღმერთს და მეძავს – ორივეს ხალი ჰქონდა მარცხენა თეძობე.

კალი, ღოგოსი სრულქმნილებისა, სამეუფეოდ აღარ დაბრუნებულა ინდრას ცაბე. ტანს, რომელსაც ღვთაებრივი თავი დააღვეს, ენატრებოდა სათაქ-

ლო უბნები, საძრახისი ალერსი; ელანდებოდა სახლები, სადაც აღვირახსნილ ოცნებებს მისცემოდნენ მეძავები და მწვანე დარაბების ჭუჭრუფანებიდან უთვალთვალებდნენ მუშტრებს. კალი ყრმათა მაცდენებლად და ჭარმაგთა აღმგზნებად იქცა, მოწიფელ მამაკაცთა გელთამპყრობელი ხარჭა გახდა. კალის სხეულს ცეცხლის ენებს ადარებდნენ ქალაქელი დედაკაცები, რომელთაც, ქმრებისაგან ზურგშექცეულთ, ქვრივობის ქამი დასდგომოდათ თითქოს. ბილწი იყო ვირთხასავით, საბარელი იყო მინდვრის მღრნელივით. ადამიანთა გულებს ისე მიიტაცებდა ხოლმე, თითქოს საყასბოს დახლგე დაყრილი შიგანის ნაფლეთები ყოფილიყოს. ავმა ბედმა ფიჭასავით დაუფორეჯა ხელები. შეუჩერებლივ დაძრწოდა ბენარესიდან კაპილავიშტუმდე, ბანგალორიდან შრინაგარამდე. დაძრწოდა ტანი და თან დაატარებდა ქალღმერთის შეგინებულ თავს. წმინდა თვალთაგან შეუმრობელი ცრემლი სდიოდა.

ერთ მშვენიერ დილას, ბენარესში, შემთერალი კალი ქანცგაწყვეტილი და სახეამღვრეული გამოემართა მეძავთა ქუჩიდან. მინდორში, ნეხვის გროვაზე, ვიღაც დუქმორეული აბდალი იჯდა. კალი რომ დაინახა, წამოვარდა და აეტორდიალა. ქალღმერთს ჩრდილის მანძილზე რომ მიუახლოვდა, კალიმ ნაბიჯი შეანელა, თავისთან მიუმვა.

როცა აბდალმა გული იჯერა, კალი უცნობი ქალაქისაკენ გზას გაუყვა. ორ ქვას შეა წამომარ-

თული უშეელებელი გველი ის იყო უნდა დასცხომოდა ბალდს, რომელმაც მოწყალება სთხოვა ქალღმერთს. კალიმ დაინახა, მაგრამ არ ანიშნა პატარას. ბრაზს პგვრიდა ყველაფერი, რაც კი ცოცხალი იყო. ამავე დროს სხვათა სიცოცხლით საკუთარი არსების გაძლიერება სწყუროდა, სურდა გული მოეოხებინა ცოცხალი არსებათა ხოცვით. წააწყდებოდნენ ხოლმე სასაფლაოს კიდეში ჩატუტებულს. ქალღმერთის პირში, როგორც ლომის ხახაში, ხრამახრუში გაუდიოდა ძვლებს. მწერი რომ თავის ჭუპრებს დაერევა, ასე ნოქავდა ყველაფერს. ნებვი რომ მიადგება და თქვლებს თავის ჩხირნკელს, ასე ანადგერებდა ყოველივე ცოცხალს, თავისავე შექმნილთ. ყველაფერს, რასაც სპობდა, ბედ შესდგებოდა, როკავდა, ფეხით თელავდა და ასე ცეკვა-ცეკვით უდებდა ბოლოს. სისხლით მოთხვრილ ბაგეთაგან სასაკლაოს სიმყრალე ამოსდიოდა. მისი ალერსი ნუგეში იყო მსხვერპლთათვის და კალის მხურვალე მკერდის შეხებისას მის ყველა სიავეს ივიწყებდნენ.

ტყის პირას კალი ბრძენს გადააწყდა.

ხელები შეეტყველა და ფეხმორთხმული იჯდა. გაძვალტყავებული სხეული გამომშრალ მეშასავით გამოჰყოფილოდა. კაციშვილი ვერ იტყოდა, ჭაბუები იყო, თუ მხცოვანი. ჩამომძიმებული ქუთუთოების ქვეშ ძლივს მოუჩანდა ყოვლისმხილველი თვალები. ირგვლივ ნიმბად ადგა ნათელი... და კალის არსების სიღრმიდან დაიძრა წინათგრძნობა საბოლოო

დიდი სიმშეიღისა, სამყაროთა შეჩერებისა, არსებათა განთავისუფლებისა, ნეტარების ქამისა, როცა სიცოცხლე და სიკედილი სულერთია, როცა ყოველივე არაარსად მიიქცევა. ეს ჭეშმარიტი არარა, რომლის შეცნობასაც იწყებდა კალი, თითქოს შეინძრა მის არსებაში, როგორც ჩვილი ქალის წიაღში.

ყოვლისმიმტევებელმა დიდმა ნუგეშისმცემელმა ხელი აღაპყრო, მგბაერის დალოცვა დააპირა.

— ჩემი წმინდა თავი უწმინდურებას მიეზარდა, — უთხრა კალიმ. — მსურს და არც მსურს, ვიგანჯები და თან ვხარობ, სიცოცხლეც გამცუდებია და სიკვდილის შიშიც მჩარავს.

— არაენა ვართ სრულყოფილნი, — თქვა ბრძენბა, — ყველანი ნაკლელევანნი ვართ, ოდენ წილი ვართ ჩვენივე არსებისა, მიმანებები ვართ, უარსო აჩრდილები! საუკუნეთა მანძილზე ყველას გვგონია, რომ ვწესვართ და ვხარობთ.

— მე ქალღმერთი ვიყავ ინდრას ცაგე, — თქვა მებავმა.

— და მაშინაც კი არ იყავ საგანთა ჯაჭვით დაუბორკავი. გასხივოსნებული სხეული შენი ისევე არ იყო განსაცლისაგან დაცული, როგორც ეს სხეული, ჭუჭყისა და ხორცისაგან ქმნილი. და ეგებ შენ, უბედური დიაცი, შეგინებული რომ დაეხეტები შარაგბებზე, ეგებ შენ უფრო მჩად ხარ უსახოსა და უთქმელის შესაცნობად.

— დაეიღალე, — ამოიგმინა ქალღმერთმა.

ბრძენმა ხელი შეავლო ნაცარში ამოგანგლულ  
მის შავ ნაწნავს და განავრძო:

— სურვილმა ვამცნო ამაოება სურვილისა, წუ-  
ხილმა — ამაოება წუხილისა. იქონიე მოთმინება.  
პოი, ცოდვავ, რომელშიც ყველას გვიდევს ბრალი!  
პოი, უსასრულო მადლო, რომლის წყალობით ყო-  
ველი სასრული თავის თავს შეიმეცნებს! პოი,  
ღვთის რისხვავ, უჟღველია, არც შენა ხარ უსას-  
რულო...

# მარკო კრალიევიჩის აღსასრული



ლაჟვარდოვან ცაში გლოვის გარები რეკავლნენ. ურჯულოთა მოსაზღვრე ქვეყანაში ეს გარები ისე ძლიერად და მჭახედ გაისმოდა, თითქოს ხმამაღლა უნდა ყველასათვის ემსწო, მნათეებიცა და მისვალებულიც, მიწისთვის რომ უნდა მიებარებინათ, ქრისტიანები არიანთ. ქვემოთ კი, თეთრი ქალაქის ვიწრო ეზოებში, ჩრდილში ჩაცეცქელ მამაკაცებს რექვის ხმასთან ერთად ყვირილი, შეძახილები, ბატქნების პეტელი და ვირების ყროფინი ჩაესმოდათ. შიგადაშიგ ამ ხმაურს ერეოდა ჩიგების ჭიკჭიკი ან ახალგარდაცვლილთა სულისათვის მღოცველი ქალების ღუდუნი, ხან კი ვიღაც შემღლილის ხითხითი, ამ სახალხო გლოვას არაფრად რომ აგდებდა. მკალავთა უბანში ჩაქუჩების დარტყმის ხმა ყველაფერს აყრუებდა. მოხუცმა სტევანმა, რომელიც მსუბუქი, პატარ-პატარა დარტყმებით სათუთად ხეეწდა სურის ყელს, დაინახა, როგორ გადაიწია კარგე ჩამოკიდებული ფარ-

და. ნამუადლენის ჩამაფალი მზის სიმხურვალე ოთახში შემოიჭრა. სტევანის მეგობარი ანდრე შემოვიდა და შინაურივით ხალიჩის კიდესთან უეხმორთხმით დაჯდა.

— იცოდი, მარკო რომ მოკვდა? იმ დროს მე იქ ვიყავი, — თქვა მან.

— მუშტრებმა მითხრეს მოკვდაო, — უპასუხა მოხუცმა ისე, რომ ჩაქუჩი ხელიდან არ გაუშვია. ვატყობ, ერთი სული გაქვს მიამბო. მიდი მოყევი, სანამ ვმუშაობ.

— მარკოს ვეებერთელა სამგარეულოში ჩემი მეგობარი მუშაობს. დღესასწაულებზე მეძახის ხოლმე, სუფრის გაწყობაში ვეხმარები. ასეთ დღეებში კაი ლეკმას იმოვის კაცი.

— დღეს რაღა დღესასწაულია? — თქვა მოხუცმა და თან სპილენძის დოქის ტუჩს მოუთათუნა ხელი.

— არა, დღეს დღესასწაული არაა, მაგრამ მარკოსთან ყოველთვის გემრიელი კერძებია, სამუშაო დღესაც და მარხვაშიც. სუფრასთანაც მუდამ ხალხმრავლობაა. მაგიდას წესისამებრ ბებერი ხეიბრები უსხედან ხოლმე და კოსოვოში გადახდილ ბრძოლებზე გაუთავებლივ ტრაბაახობენ. მათი რიცხვი წლიდან წლამდე კი არა, თვიდან თვემდე კლებულობს. დღეს კი მარკოს მსხვილი ვაჭრებიც დაეპატიუებინა, წარჩინებულებიც, ქალაქის თავეაცნიც; მიეწვია ის მთიელებიც, რომლებიც თურქებთან ისე ახლოს ცხოვრობენ, რომ კლდეებს შორის

მოჩეხჩეხე ხევების ერთი ნაპირიდან მეორეზე  
 ისრის მიწვდენა შეუძლიათ; გაფხულობით კი,  
 წყალი რომ შრება, მის ნაცვლად სისხლი მოედინე-  
 ბა ხოლმე. თურქების რემისა და ნახირის გადმო-  
 სარეად ისინი ლაშქრობას აწყობენ ყოველ წელს.  
 დღევანდელი წვეულებაც სწორედ ახალი ლაშ-  
 ქრობის გამო გაიმართა. სუფრაზე შემოჰქონდათ  
 ნაირ-ნაირად შეკმაბული კერძებით სავსე ლანგრე-  
 ბი. მსუყე საჭმელი იმდენად ქონიანია, ჭამისას  
 ლამის ხელიდან გავისხლტეს. საერთოდ მარქო  
 ათი კაცის ოდენის ჭამს და სვამს, უფრო მეტს  
 ლაპარაკობს, ვიღრე ჭამს; კიდევ უფრო მეტს  
 იცინის და მუშტებს უბრახუნებს მაგიდას, ვიღრე  
 სვამს. დროდადრო კი საჭმლის გამო წაკიდებულ  
 ორ მოჩხებარს აშველებს ხოლმე.

როცა ჩვენ, მსახურებმა, ყველას დავაბანინეთ  
 და ვავაწმენდინეთ ხელები, მარქო ხალხით გაჭე-  
 დილ ეზოში გავიდა. მოგეხსენებათ, ნარჩენები  
 ყველას ერგება ხოლმე, ნამუსრევს კი ძალლებს  
 უყრიან. ბოგს დიდი ქოთანი მოაქვს, ბოგს პატარა,  
 ბოგს ჯამი, ბოგს კალათაც კი. მარქო ყველას  
 იცნობდა. სახეებისა და გვარების საოცარი მახ-  
 სოვრობა პქონდა და ყოველ სახეს ბუსტად მოარ-  
 გებდა ხოლმე სახელს. ყავარჯნებზე დაყრდნობილ  
 ერთ კაცს კონსტანტინე ბეგთან ბრძოლას აგო-  
 ნებდა; კითარაზე დამკერელ ბრმა მეოსანს იმ  
 ბალადის პირველ სტროფს წაუმდერებდა, რომელიც  
 სიჭაბუკეში ამ მუსიკისს მარქოს პატივსაცემად

შეეთხა. ვინმე უშნო დედაბერს ნიკაპზე წაავლებდა ხელს და მათ სიყვარულს, იმ ძეველ, კაიღროს ახსენებდა. შიგადაშიგ ცხვრის ნახევარსაც დაავლებდა ხელს და ვინმეს ეფყოდა „ჭამეო“. დღესაც ყველაფერი ძველებურად იყო.

უცებ მარკო მიუახლოვდა ერთ ჩია ბერიკაცს, რომელიც სკამზე იჯდა და უეხებს აქანავებდა.

— ჯამი რა უყავი? შენი სახელი რატომდაც აღარ მახსოვოს.

— ზოგი ასე მეძახის, ზოგიც ისე, — თქვა ბერიკაცმა. — აბა, მაგას რა მნიშვნელობა აქს.

— სახეზედაც ვერა გცნობ, — თქვა მარკომ, — იქნებ იმიტომ, რომ სხვებსა პგავხარ. ხომ იცი, უცნობები არ მიყვარს, არც ის მათხოვრები, რომლებიც არ მათხოვრობენ. ვინ იცის, ეგებ თურქების ჯამუში ხარ?

— ზოგნი მეუბნებიან, ერთთავად რაღაცას ზეურავო. — თქვა ბერიკაცმა, — მაგრამ ემლებათ. უბრალოდ ადამიანებს საშუალებას ვაძლევ, რაც უნდათ ის აკეთონ.

— მეც იმას ვაკეთებ, რაც მწადია, — დაიღრიალა მარკომ, — არადა, არ მაგონდები, დაიკარგე აქუდან!

მარკომ ფეხი წაჰკრა ბერიკაცს, თითქოს სკამიდან გაღმოგდება დაუპირა, მაგრამ გეგონებოდათ, ბერიკაცი გაქვავდათ, თუმცა სხვაზე მაგარი არ ჩანდა. გაცვეთილ უეხსაცმელებიან ფეხებს ისევე აქანავებდა, თითქოს მარკო არც შეხებიაო. მაშინ

მარკომ მხარში წაავლო ხელი, რომ წამოეყენებინა. იგივე განმეორდა. ბერიქაცი მხოლოდ თავს აკანტურებდა.

— ადექი, დავარტყათ, როგორც კაცებს შეჰურის! — დაიყვირა წამოჭარხლებულმა მარკომ.

ჩია ბერიქაცი წამოდგა. ის მართლაც პატარა ტანისა იყო. მარკოს მხრებამდე არც კი სწვდებოდა. უძრავად იდგა და ხმას არ იღებდა. მარკომ სახელოები დაიკაპიტა და უძგერა. მაგრამ დარტყმები თითქოს კაცს არ ხვდებოდათ; მარკოს კი მუშტები მთლად დაუსისხლიანდა.

— ეი, თქენ, — შესძახა მარკომ გარშემორტყმულთ, — გამეცალეთ აქედან, არავინ ჩამერიოთ, თვითონ გავუმკლავდები.

მაგრამ მარკო უკვე ქოშინებდა. იგი უცებ შეტორტმანდა და ძირს დაენარცხა. გეფიცები, ბერიქაცი არც კი განძრეულა.

— ცედად დაეცი, მარკო, — თქვა ბებერმა, — ვეღარ წამოღები. მგონი თავადაც იცოდი, სანამ ჩხებს წამოიწყებდი.

— მე კი თურქების წინააღმდეგ კარგი ლაშქრობა მოვამზადე. საქმე გაჩარხული იყო უკვე, — ოხვრით წარმოთქვა მიწაზე გამხლართულმა მამაკაცმა. მაგრამ რაკი ასეა, დაე, ასე იყოს.

— თურქების წინააღმდეგ თუ პირიქით, — კიითხა ბერიქაცი. შენ ხომ ხან ერთის მხარეზე იყავი, ხან მეორის.

— ქალს, რომელსაც ვეარშიყებოდი, მაგის თქმი-

სათვის მარჯვენა მოვაჭერი. — თქვა მომაკვდავმა, — ტყვეებსაც ყელები გამოვჭერი, თუმცა შეწყალება აღვეთქვი. მაგრამ ცხოვრებაში მხოლოდ ცედი ხომ არ მიკეთებია. რამდენი რამ დავურიგე მღვდლებს. დაზაკებსაც ვუმართავდი ხელს.

— ანგარიშის ჩაბარებას ნუ მოჰყვები, — თქვა ბერიკაცმა, — ადრე თუ გვიან მოსახლენი ხდება ხოლმე და ეგ საუბარი რას გარგებს. მოდი ერთი, ჩემ ქურთუკს თავქვე დაგიდებ, მიწაზე რომ არ გედოს თავი.

ბერიკაცმა მართლა დაუდო ქურთუკი თავქვე. იმდენად გაოგნებული ვიყავით, არც გვიფიქრია მისი შეპყრობა. თანაც რომ დაუკვირდე, არაფერი ჩაუდენია ისეთი. იგი ფართოდ გალებული კარისაკენ გაემართა. მხრებში ცოტა მოხრილი, მართლაც მათხოვარს პგავდა, მათხოვარს, რომელიც არაფერს თხოულობს. კარის ზღურბლთან ორი ძალლი იყო მიბმული. ბერიკაცმა დიდ, შავ, ძალიან ავ ქოფაქს თავზე ხელი გადაუსვა. დიდ, შავ ძალლს ერთიც არ შეუღრენია. როცა მივხვდით, რომ მარკო მოკვდა, მიმავალ ბერიკაცს გავხედეთ. ხომ გახსოვს, გზა თუ ბორცვს შორის მიემართება, ჯერ აღმართია, მერე დაღმართი, მერე კი ისევ აღმართი. ბერიკაცი უკვე ძალიან შორს იყო. მტვერში მიმავალი მოჩანდა, უეხებს თითქოს ძლიერს მიათრევდა, განიერ შარვალს და პერანგს ქარი უფრიალებდა. მოხუცის კვალობაზე ჩქარა

მიღიოდა. მოწმენდილი ცის ფონზე მოხუცის  
თავიდა მოჩანდა. გარეული ბატების გუნდი გარს  
ეხვია და ფრენა-ფრენით მიაცილებდა მას.



# კორნელიუს ბერგის კაეშანი



კორნელიუს ბერგი ამსტერდამში რომ დაბრუნდა, სასტუმროში გაჩერდა. ქირის გადახდის დრო როგორც კი მოაწევდა, სხვა სასტუმროში გადადიოდა. ჯერ კიდევ ხატავდა. ხან პატარა პორტრეტებს, ხან მიმველ უიგურებს უხაფავდა მსურველთ, ხანაც შეკვეთას იღებდა. ქუჩაში როცა დაყიალობდა, აქეთ-იქით იცქირებოდა იმ იმედით, ეგებ აბრის მუშტარს გადავაწყდეთ. საუბედუროდ, ხელი ჟენე უკანკალებდა, თვალსაც აკლდებოდა, სულ უურო და უფრო ხშირად სჭირდებოდა სათვალეებისათვის შემების შეცვლა. ღვინომ, რომელსაც იტალიაში მიეძალა, და თამბაქომ სიმტკიცე დააკლო მის მონასმს, რომლითაც ჯერ კიდევ მოპქონდა თავი. ბოლო ხანებში ყველაფერი აღიზიანებდა, შეკვეთის ჩაბარებაც უჭირდა. სურათს ზედმეტად ტვირთავდა, მერე ფხექდა, ბოლოს კი თავს ანებებდა.

**ნამდვილი ლოთივით მთელ დღეებს ატარებდა**

კეამლით გაბოლილ სამიკიფნოებში, სადაც რემ-  
 ბრანდგის ყოფილი შეგირდები, — კორნელიუსის  
 ადრინდელი ნაცნობები, — სასმელს სთავაზობდნენ,  
 ეგებ თავისი მოგზაურობების საინტერესო ამბებს  
 მოგვიყვესო. მაგრამ მზით გადახრუკული, მტვრიანი  
 ქვეყნები, რომლებიც ფუნჯებითა და საღებავებით  
 დატვირთულმა კორნელიუსმა ფეხით მოიარა, გაუ-  
 უერულებულიყო მის მესხიერებაში; თავის ადრინ-  
 დელ ოცნებებში ისინი უფრო ცინცხლად ჰქონდა  
 წარმოდგენილი. ვეღარც ისე ოხუნჯობდა და ბილწ-  
 სიტყვაობდა, როგორც სიჭაბუკეში, როცა სიცილით  
 ხოცავდა მოსამსახურე გოგოებს. ვისაც ადრინდე-  
 ლი, მშფოთვარე კორნელიუსი ახსოვდა, ყველას  
 უკეირდა მისი სიტყვაძვირობა. ღვინო თუ გაუხს-  
 ნიდა ხოლმე პირს. და, იწყებდა სრულიად გაუგე-  
 ბარ ლაპარაქს. დაჯდებოდა, სახეს კედლისაკენ  
 მიაბრუნებდა, თვალებზე ქადს ჩამოიფხატავდა,  
 რომ არავინ დაენახა, ხალხი მეჯავრებაო, — ამ-  
 ბობდა. პორტუგეგების ხატვაში დაოსტატებული კორ-  
 ნელიუსი, რომელიც თავისი დღე და მოსწრება ადა-  
 მიანების სახეებს ყურადღებით აკვირდებოდა, ახ-  
 ლა გაღიმიანებული გულგრილად ბურგს აქცევდა  
 მათ. იმასაც კი ამბობდა, ცხოველების ხატვა არ  
 მიყვარს, ადამიანებს ძალიან ჰგვანანო.

რაც უფრო კარგავდა კორნელიუსი თავის ად-  
 რინდელ მცირე ნიჭს, მით უფრო ეჩვენებოდა, —  
 შთაგონება მეწვიაო. თავის არეულ-დარეულ მან-  
 სარდაში მოლბერტან დადგებოდა, წინ. დაიდებდა

ძეირადღირებულ, იშვიათ, ლაშაზ ხილს, მაგრამ ეს ნატერმორგი სწრაფად უნდა გადაეტანა ტილობრივი, სანამ ხილის პრიალა ზედაპირი არ დაკარგავდა თავის სიქორფეს; ხან კი სპილენძის ქვაბს დადებდა და ნაფრცქვენებს მოაპნევდა ირგვლივ. მოყვითალო სინათლე ავსებდა ოთახს. წვიმა მონოფონურად რეცხავდა ფანჯრის მინებს. ყველაური ნესტს მოეცვა. სისველე ფორთოხლის ხორქლიან ზედაპირს თითქოს – სიმრგვლეს და სისაფსეს, გამომშრად ჭრიალა პანელებს კი სინედლეს პმაგებდა, სპილენძის მბბინვარებას აფერმკრთალებდა. მაგრამ სულ მაღლე მხატვარი მუშაობას თავს ანებებდა და ფუნჯებს მოლბერტზე აწყობდა. ეს თითები, რომლებითაც ოდესდაც ერთი მოსმით ხატავდა შეკვეთილ სურათებს – უამრავ მწოლიარე ვენერას, ასევე მიმველ ბავშვებს და სამოსლიან ქალებს, ქერაწვერიანი იესო რომ ლოცავდა, – გაუხემებოდა, აღარ ემორჩილებოდა და ვეღარ გადაპქონდა ტილობრი სინათლისა და სისველის ნაკადი, რომელიც საგნებს და ცას ნოტიოთი მსჭვალავდა. დაკვრანჩხელი ხელებით სათუთად და ნაზად უფერებოდა საგნებს, რომელთაც ვეღარ ხატავდა. ამსტერდამის მყუდრო ქუჩაში ის ოცნებობდა სურით აციმუიმებულ სოფლებზე, რომლებიც ბევრად მშეენიერი იყო, ვიდრე ანიოს უკაცრიელი და წმინდა ნაპირები მებინდების უამს. მხატვარი, რომელიც სიდებჭირემ თითქოს გაასია, წყალმანკით დაავადებულს ჰგავდა. კორნელიუსი, დაუდევ-

რად რომ ხატავდა უბადრუკ ტილოებს, გულის სიღრმეში რემბრანდტს უტოლებდა თავს.

ამსცერდამში დაბრუნებულ კორნელიუსს ახლობლებთან და ნათესავებთან ურთიერთობა არ განუახლებია; ზოგიერთმა ვერ იცნო, ზოგმა თავი ისე დაიჭირა, თითქოს ვერ ცნობდა. ნაცნობებიდან ურთადერთი, ვისაც ხვდებოდა, მოხუცი რწმუნებული იყო პარლემიდან.

ერთი გამზაფხული კორნელიუსმა ამ პატარა, სუჟითა და ლამაზ ქალაქში გააგარა. ეკლესიის კედელზე პანელებს ახატვინებდნენ. საღამოობით, საქმეს რომ მოითავებდა, სიამოვნებით შეიცვლიდა ხოლმე ამ მოხუცთან, რომელიც ყოველდღიურ უღიძლამო ყოფას, ცოტა არ იყოს, გამოეჩერჩეტებინა. მარტო ცხოვრობდა და ერთი ხანშიმესული ქალი უვლიდა. მოხუც რწმუნებულს ხელოვნების არაფერი გაეგებოდა.

კორნელიუსი შეაღებდა პატარა ბაღის დაბალ მესერში ჩაგანებულ მეღებილ კარს. ტიტებზე გადაგებული რწმუნებული ყვავილებს შორის იდგა არხთან და მას უცდიდა. მხატვარს გულზე არ ეხატა ეს ბოლქვები, მაგრამ თავისი მახვილი მჩურით მშვენივრად არჩევდა ფორმათა საოცარ დურალებს, არც ფერების უნაბესი ნიუანსები გამოეპარებოდა. ხვდებოდა, მოხუცი მას მხოლოდ იმიტომ ეპატივებოდა, რომ ახლად გამოყვანილ სახეობაზე მისი ამრი აინტერესებდა. შეუძლებელი იყო ენას გამოეთქვა ამ თეთრი, ცისფერი, ვარდისფერი

და იასამნისფერი მრავალფეროვნების უსასრულობა. თხელი და მევრივი ღიღებული ჯამურები ნოყიერი შავი ნიადაგიდან ამობრდილიყო. სურნელებას მოკლებულ ამ ყვავილნარში მხოლოდ ნოტიო მიწის სენი იდგა. მოხუცი მუხლებზე ღაიდგამდა ქოთანს, ორ თითს შორის მოიქცევდა ღეროს, თითქოს წელზე ხელი მოხვიაო და ხმაამოუღებლივ აწონებდა მხატვარს ამ უნაბეს საოცრებას. ცოგას ლაპარაკობდნენ. კორნელიუსი საკუთარ აზრს თავის დაქნევით გამოხატავდა ხოლმე.

იმ დღეს მოხუცი რწმუნებული ძალიან ბედნიერი იყო, რაღაც დიდი წარმატებისათვის მიეღწია – იმვიათი ყვავილი გამოუყვანა: თეთრი იყო, მოიისფრო, ბოლები გამბახივით ღაუყვებოდა. მოხუცი სასოფტით მესცენოროდა ყვავილს. დიდხანს ატრიალებდა, ბოლოს ძირს, უეხებთან დაიდგა ქოთანი და თქვა.

– ღმერთი ღიღე მხატვარია.

კორნელიუსმა არაუერი უპასუხა. მოხუცმა მშვიდად განაგრძო:

– ღმერთი მთელი სამყაროს მხატვარია.

კორნელიუსი ხან ყვავილს უყერებდა, ხან – არხის ტყვიისფრად მოსარკულ ბედაპირზე არეპლილ ყვავილების კვლებს, აგურის კედელს და გაფენილ სარეცხს, მაგრამ ამდენი ხეტიალით მოღილი მხატვრის თვალწინ უცებ მთელმა მისმა სხოვრებამ გაიელვა. წარმოუღება თავისი ხანგრძლივი მოგზაურობების დროს მეხსიერებაში ჩარ-

ჩენილი სახეები, გურგლიანი აღმოსავლეთი, არე-  
 ულ-დარეული სამხრეთი, სიძუნწე, სიბრიყე თუ  
 სისასტიკე – ყველაფერი რასაც სხვადასხვა ქვეყ-  
 ნების უმშენიერეს ცათა ქვემ წააწყდა. თვალწინ  
 დაუდგა უბადრუეკი ხანაგები, სათაკილო სხეულებით  
 დაავადებული ადამიანები, ფუნდუკების ზღურბლთან  
 გამართული მუშტი-კრივი და დანების ტრიალი,  
 მევახშეთა ჩამომხმარი სახეები და ბოლოს წარ-  
 მოუდგა თავისი მომხიბვლელი და განსრული  
 ნატურის მშვენიერი სხეული, რომელიც მოგვიანე-  
 ბით ფრაიბურგის სამედიცინო სკოლის ანაგომი-  
 ურ მავიდაბე ნახა გაშოგილი. შემდეგ სხვა მოგო-  
 ნებებიც წამოემალა. გაიხსენა კონსტანტინოპოლი,  
 სადაც ერთ ერთ სულთნების პორტრეტები დაუხა-  
 რა. სწორედ იქ ებიარა ტიტების ბაღის სილამაზეს.  
 ეს ბაღი რომელიდაც ფაშას სიამაყე და სიხარული  
 იყო და იმედი ჰქონდა, რომ მხატვარი უკვდავყოფ-  
 და ამ საოცარ ყვავილოვან პარამხანას. მარმარი-  
 ლოთი მოგებულ შიდაებოში ტიტები ნაზად ირხე-  
 ოდნენ და თითქოს ამ უნაზეს შრიალ-შრიალში  
 აფრქვევდნენ მკრთალ და კაშკაშა ფერებს. აუზის  
 კიდეზე შემოსკუპელი ჩიტი გალობდა. კვიპარო-  
 სების კენწეროები მკრთალ ლაქვარდოვან ცას  
 ეალერსებოდნენ. მონა, რომელიც პატრონის ბრძა-  
 ნებით უცხოელს ათვალიერებინებდა ამ საოცარ  
 სანახაობას, ცალთვალა იყო. ახალამოთხრილ  
 თვალზე ბუზები მისევოდნენ. კორნელიუსმა ღრმად  
 ამოიხსრა, მერე სათვალე მოიხსნა და გაიმეორა:

- ღმერთი მთელი სამყაროს მხატვარია.  
მერე კი სიმწრით ჩაილაპარაკა:
- რა სამწუხაროა, ბატონო ჩემო, რომ ღმერთი  
მხოლოდ პეიზაჟების ხატეას არ დასჯერდა.



## Post - skriptum



კრებული „აღმოსავლური ნოველები“ პირველად 1938 წელს გამოქვეყნდა. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია 1963 წელს გამოქვეყნებული კრებულის მიხედვით. ამ კრებულს ავტორმა ერთი ნოველა „მარკო კრალივევიჩის აღსასრული“ დაუმატა, ერთი ნოველა კი ამოიღო. ავტორი ყველა გამოცემულ კრებულს ურთავდა ხოლმე პოსტ-სკრიპტუმს, რომელშიც ნოველების წარმომავლობაზე მიუთითებდა მკითხველს. გთავაბობთ 1963 წლის გამოცემის პოსტ-სკრიპტუმს:

„აღმოსავლური ნოველების“ ეს ახალი გამოცემა, მიუხედავად სტილის მრავალრიცხოვანი შესწორებებისა, არსებითად არ შეცვლილა. იგი ისეთივე დარჩა, როგორც პირველი გამოცემისას, 1938 წელს იყო. შევცვალე მხოლოდ „თავმოკვეთილი კალის“ ბოლო ნაწილი. შევცვალე იმიტომ, რომ მსურდა უფრო მკვეთრად გამესვა ხაზი მოგიერთი იმ მეტაფიზიკური ხედებისათვის, რომელიც ამ ლეგენ-

დის განუყოფელი ნაწილია და რომელთა გარეშე დასავლერ ყაიდაზე აღქმული ეს ნოველა მხოლოდ ბუნდოვანი „გალანტური ინდოეთი“ იქნებოდა. მეორე მდაპარი „კრემლის კედელში ჩატანებული“ – ძველისძველი ცდა რომ გამეთანამედროვებინა ძველი სლავური ლეგენდა, – ამოვიდე, რადგან მომეჩვენა, რომ ამ კრებულს არ უხდებოდა.

ამ ათი ნოველიდან (კრებულს შეიძლება სათაურად უფრო „ბლაპრები და ნოველები“ მოხდომოდა, რადგან ნოველები ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.) თთხი ჩემს მიერ ცოტად თუ ბევრად თავისუფლად არის დამუშავებული ძველი არაკისა თუ ლეგენდის მიხედვით. „როგორ გადარჩა უანუო“ მთაგონებულია უძველესი ჩინეთის ტაოისტური აპოლოგიით; „მარკოს ღიმილი“ და „მკვდრის რძე“ შეა საუკუნეების ბალანური ბალადებიდან იღებს სათავეს; „თავმოკვეთილი კალი“ უშრეტი ინდური მითით სამრდოობს. ეს ის მითია, რომელიც გამოიყენეს გოეთემ (მართალია ძალიან თავისებურად) „ღმერთის და ბაიადერის“, ხოლო თომას მანმა „გაცვლილი თავების“ დასაწერად. რაც შეეხება ნოველებს – „კაცი, რომელსაც ნერეიდები შეუყვარდა“ და „ქვრივი აფროდისია“ (ორიგინალში „წითელი უფროსი“) – ისინი სათავეს იღებენ დღევანდელი საბერძნეთის (ან უფრო სწორად გუმინდელი საბერძნეთის, რადგან რედაქცია 1932-37 წლებშია გაკეთებული) ცრურწმენებსა და სხვადასხვა

ფაქტობრივ მასალებში. „მერცხლების ღვთისმმო-  
 ბელი“ კი, პირიქით, ავტორის პირადმა ფანტაზიამ  
 შექმნა. იგი დამაწერინა ერთმა სურვილმა: მსურდა  
 ატიკის ერთი სოფლის მშვენიერი პატარა სამლო-  
 ცველოს სახელი ამებსნა. „უფლისწელი გენგპის  
 ბოლო სიყვარულის“ პერსონაჟებისა და თხრობის  
 მთელ მიმდინარეობისთვის მითსა თუ რომელიმე  
 ლეგენდას კი არ დავესესხე, არამედ წარსულის  
 დიდ ლიტერატურულ ტექსტს, XI საუკუნის ბრწყი-  
 ნვალე იაპონურ რომანს – „გენგპი-მონოგატარის“,  
 რომლის ავტორია მწერალი ქალი მურასაკი შიკი-  
 ბუ. ექვსსა თუ შვიდ ტომში იგი აღწერს დიდი  
 გაქანების აბიელი ღონ-ჟუანის თავგადასავლებს;  
 მაგრამ მისთვის დამახასიათებელი დახვეწილობის  
 გამო, მურასაკი, ასე ვთქვათ „გვერდს უხვევს“  
 გმირის სიკვდილს და თხრობას იმ თავიდან  
 იწყებს, როცა ქვრივი გენგპი გადაწყვეტს განმო-  
 რდეს ამა სოფელს და მიაშეროს იმ სამყაროს,  
 სადაც მისი საკუთარი აღსასრული უკვე მომხდარი  
 უაქტია. ნოველას, რომელიც ეს ესაა წაიკითხეთ,  
 მიზნად აქვს დასახული შეავსოს ეს ხარვეზი,  
 ანდა მეითხველს წარმოადგენინოს, როგორი იქნე-  
 ბოდა ეპილოგი, მურასაკის თვითონ რომ შეე-  
 თხბა იგი. „მარკოს აღსასრულის“ დაწერას დიდი-  
 ხანია ვაპირებდი და მხოლოდ 1978 წელს დავა-  
 სრულე მისი საბოლოო რედაქცია. ეს მდაპარი  
 სათავეს იღებს სერბიული ბალადიდან, რომელიც

გმირის სიკედილის ამბავს მოგვითხრობს საიდუმლოებით მოცელი, ალეგორიული, თანაც უბრალო გამელელის ხელით. ერთი სული მაქვს გავიხსენო, სად მსმენია ეს ამბავი? არ ვიცი. არაერთხელ დაუფიქრებულვარ ამაბე. რამდენიმე ტექსტს შორის, ხელთ რომ მაქვს, მუსტად ამ ამბავს ვერ ვპოულობ. ეს ტექსტები მარკოს სიკვდილის რამდენიმე ვერსიას აღწერს, მაგრამ არცერთი არა ჰგავს ჩემ მიერ ამჟამად დაბეჭდილს. დაბოლოს, „კორნელიუს ბერგის კაეშანი“ (აღრინდელ გამოცემაში მას „კორნელიუს ბერგის ტიტები“ ერქვა.) ნავარაულევი იყო, როგორც აქამდე დაუმთავრებული რომანის დასკვნა. მას აღმოსავლური არაფერი სცხია, გარდა გადაკერით ნათქვამი ორი მოქლე წინადადებისა მცირე აზიაში ხელოვანის მოგბაურობის შესახებ. ეს მოთხოვთა წინამდებარე კრებულს არ განეკუთვნებოდა, მაგრამ ვერ დავძლიე სურვილი – დიდი ჩინელი მხატვრის გვერდით, რომელიც შემოქმედებამ ერთ და იმავე დროს შთანთქა და გადაარჩინა კიდეც, დამეუცნებინა რემბრანდტის ეს უცნობი თანამედროვე, რომელიც მელანქოლიურ მეღიტაციებში ახვევს თავის შემოქმედებას.

ბიბლიოთეკრაფიის მოყვარულთ ვახსენებ, რომ „თავმოქვეთილი კალი“ გამოქვეყნდა 1928წ. უერნალში „La Revue Europeenne“; „უან-ფო“ – და „გენბი“ – 1936 და 1937 წწ. უერნალში „La Revue de Paris“ და იმავე წლებში – „მარკოს ლიმილი“ და „მკვდრის რძე“ უერნალში „Les Nouvelles

Litteraires“; „კაცი, რომელსაც ნერეიდები უყვარდა“ – ქურნალში „La Revue de France“; „მარჯოს აღსასრული“ – ქურნალში „La Nouvelle Revue Francaise“ 1978 წელს.



# მარგერიტ იურსენარ



1981 წლის 22 იანვარს საფრანგეთის აკადემიამ თავისი თთხსაუკუნოვანი არსებობის განმავლობაში პირველად აირჩია აკადემიის წევრად ქალთა სქესის წარმომადგენელი. ამ ემანსიპირებულ ქვეყანაში ეს ამბავი დიდ სენსაციად იყო მიჩნეული.

ურანგი მწერალი ქალი, რომელსაც საფრანგეთის აკადემიის 39 კონსერვატორმა და ტრადიციების ერთგულმა მამაკაცმა გაუღო ქალებისათვის აქამდე ჩარაზული კარი და სთხოვა „უკვდავთა ერთი სავარძლის“ დაკავება, გახლდათ XX საუკუნის ერთ-ერთი თვალსაჩინო მწერალი მარგერიტ იურსენარი.

აკადემიაში მიღების საზეიმო ცერემონიალის დროს ამ უძველესი მენობის თთხსაუკუნოვან ისტორიაში, გუმბათქეებმ, ყოფილი სამლოცველოს დიად თაღებში, პირველად გაისმა აკადემიისათვის ჯერ არსმენილი და განსაკუთრებულად საოცარი სიტყვა, — მიმართვა: „ქალბატონო!... ჩემთვის უდი-

დესი პატივი და სიხარულია გისურვოთ კეთილი მობრძანება ამ უძველეს და ცნობილ შენობაში, სადაც, მართალია, მოსულთაგან პირველი არა ხართ, მაგრამ პირველი ქალი ბრძანდებით... თქვენმა მოსელამ ბლბათ აკადემიის ხანგრძლივი და დიდებული ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა წარმოაჩინა. დასამალი არაფერია, ქალბატონო, დღეს თქვენ აქ იმიტომ კი არ ხართ, რომ ქალი ბრძანდებით, არამედ იმიტომ, რომ დიდი მწერალი ხართ. გუმბათქვეშ შემოსვლისათვის ქალობა საკმარისი არ არის, მაგრამ უკვე ხელისმემმლებუც აღარ არის. უნდა ვაღიარო, რომ უფრო აღვილად და ბევრად აღრე აგირჩევდით, მამაკაცი რომ ყოფილიყავით. ნებავ ენება ღმერთს, რომ ამ 350 წლის განმავლობაში არჩეულ ყველა მამაკაცს პქონოდა ქალის ის დიდი ნიჭი, თქვენ რომ გაქვთ“. ამ სიტყვებით დაიწყო თავისი ვრცელი მისაღმება აკადემიკოსმა ქან დორმესონმა.

„მარგერიტ იურსენარის პირველი ღირსებაა ის, რომ მან დაბრუდვია ქალთა ლიტერატურის მითი. ეორე სანდი სიგარას ეწეოდა მამაკაცების გასაღიზიანებლად და ქალთა მოძრაობის ხელშესაწყობად. მარსელინ დებორვალმორის მშვენიერ ლექსებს, ელეარი ასე რომ აფასებდა, ქალის ხელი ატყვია. დიდებული კოლეგის ნაწარმოებებშიც კი იგრძნობა ქალის ხელწერა. რაც შეეხება იურსენარს, კარგი იქნებოდა, რომ ბევრმა მამა-

კაცმა ასე წეროს, ასე მტკიცედ, ასე ძლიერად, ასეთი შეუდარებელი სინათლით...” „...იურსენარი ულობს ურყევ ინტელექტუალურ არქიტექტურას, რაც მის ნაწერებს საოცარ სიმყარეს აძლევს. იგი თითქოს არაჩვეულებრივს არაფერს ამბობს, მაგრამ რა სრული ჰარმონიაა ცნობიერებასა და აზროვნებას შორის, რაც ამ თანამედროვე სამყაროში ნელ-ნელა იკარგება“.

მარგერიტ იურსენარი (მ. კრეიიანქური) დაიბადა ბრიუსელში 1903 წელს. ერთხანს საფრანგეთში, პარიზშა და სამხრეთში ცხოვრობდა. დიდად ერუდირებული მამის წყალობით, ბავშვობიდანვე ეგიარა უძველეს ენებსა და ცივილიზაციებს. მამისგანვე დაქცევა დამოუკიდებლობის მძაფრი შეგრძნება, ლიტერატურის დიდი სიყვარული და მოგბაურის სული. მთელი სიცოცხლე მოვჩაურობაში გაატარა: იტალია, საბერძნეთი, შვეიცარია, გერმანია, ინგლისი, სკანდინავია, ჩინეთი, იაპონია, ინდოეთი, შორეული და ახლო აღმოსავლეთი, აფრიკა და ვინ მოთვლის, რამდენ ქვეყანაში ყოფილა და თუ დარჩა რაიმე უნახავი. ამიტომაც ხშირად ამბობდა: რამდენიმე სამმობლო და რამდენიმე რელიგია მაქვსო. საბერძნეთის დიდ მოტრუიალეს საბოლოოდ იქ სურდა დამკვიდრებულიყო, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის დროს ამერიკაში თავისი მთარგმნელის და მეგობრის სანახავად ჩასულს ერთი პატარა კუნძული აღმოუჩენია და სამუდამოდ იქ დასახლდა: „კუნძულები ყოველთვის მიყვარდა, —

ამბობდა იგი, — კუნძულზე ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს სამყაროსა და ადამიანთა მიწის მიჯნაზე იმყოფები“.

მარგერიტ იურსენარის შემოქმედება ძალიან დიდი არ არის. ის თითოეულ ნაწარმოებზე ბევრს მუშაობდა და ხშირად გამოცემის შემდეგაც უბრუნდებოდა, რადგან მიაჩნდა, რომ ნაწარმოები არასოდეს დამთავრებული არ იყო და რომ იგი სულ უნდა სრულებული იყო სიტყვები ზუსტად არ გამოხატავენ, რასაც ვფიქრობ, მით უურო კი დაწერილი სიტყვები. წერისას მულმივად უნდა ამოვარჩიოთ ერთ-ერთი. მე კი ათას გამოთქმაში არც ერთი არ მაკმაყოფილებს.“

იურსენარს ღრმა და ფართო ერუდიცია ჰქონდა. შესანიშნავად იცნობდა ანტიკურ ფილოსოფიას, ხელოვნებასა და ლიტერატურას, აღმოსავლეთის სიბრძნეს და ინდურ მისტიკას.

მისი ინტერესების დიაპაზონი საოცრად ფართო იყო და ერთი შეხედვით ამ ინტერესთა შორის კავმირის დაჭერა ძნელიც კია. მის შემოქმედებაში ვხედებით ანტიკური საბერძნეთისა და რომის გაცოცხლებულ ისტორიასა და პიროვნებებს, ალექსანდრების ეპოქას და პირველ მსოფლიო ომს, ესებს პინდარესა და თომას მანჩე, მოთხრობებს დიურერსა და ელ-გრეკოზე, ძველი და ახალი ბერძნული პოეზიის, შავეანიანების პოეზიის, ვირჯინია ვულფის თარგმნებსა და სხვა.

მისი ნაწარმოებების მოქმედების სივრცის სფე-

როც ძალზე ფართოა: ხმელთაშუა ზღვიდან ჩრდილოეთის ზღვამდე, ჩინეთიდან ახლო აღმოსავლეთამდე, საბერძნეთი, რომი, ფლანდრია, ავსტრია-უნგრეთი, ამერიკა, ინგლისი და ბევრი სხვა.

ხოლო დროის მრავალფეროვნება ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს: ანგიკური, ქრისტიანული, თანამედროვე საბერძნეთი და რომი, სამუალო საუკუნეები, რენესანსი, XVIII-XIX საუკუნეები, პირველი მსოფლიო ომი და სხვა.

იურსენარი უმველესი ცივილიზაციების ისტორიის ფართო ცოდნას აღრმავებს ბუნებით მომადლებული პოეტურობით. წარმოდგენა, ოცნება, ინტუიცია მჭიდრო კავშირშია მის მაღალ ინტელექტთან და დიდ სინათლესთან.

იურსენარი ისტორიულ ფაქტებსა და წარმოსახვათა სამყაროს აერთიანებს და თავისებურ ინტერეტაციას აძლევს მათ. მას კონკრეტული ფაქტები კი არ აინტერესებს, არამედ ის, რაც ყველა ეპოქას და ყოველ აღამიანს ახასიათებს, ის, რაც იქცევა „სუბსტანციად, ლირებულებად, არქეტიპად, მითად“. ისტორია, წარმოსახვათა სამყარო და კლასიკური სტილი ქმნის მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს, ძლიერს, დახვეწილს, ამაღლებულს, ადამიანურსა და შთამბეჭდაეს. იურსენარი ხატავს რომის იმპერატორ ადრიანეს თუ XVI საუკუნის ალქიმიკოსს, ბენონს, – ეს შორეული პერსონაჟები, რეალურნი თუ შეთხმულნი, – თანამედროვე მკითხველთათვის ახლობელნი არიან, რადგან ისე-

თი პიროვნება არის შერჩეული, რომლის აბროვნება და და ქცევა ყოველი დროის ადამიანისათვის არის დამახასიათებელი; თარგმნის იგი ძეველბერძნულ პოეზიას თუ შავკანიანების *Spirituals*, – ეს ლექსები თანამედროვე ადამიანის სულს ეხება, რადგან ისეთებია შერჩეული, რომლებიც უნივერსალურ ჭეშმარიტებებს შეიცავენ.

ბევრ მწერალს თემად ისტორია აუღია, მაგრამ იურსენარმა ისე შეიტანა ისტორია ლიტერატურაში, როგორც არავინ. ძველი დროისა და პიროვნებების გაცოცხლებით იგი მთელი სერიოზულობით და სიღრმით სვამს ადამიანის პრობლემას. მთელი მისი შემოქმედება – ეს არის მედიტაციები ადამიანსა და მის ბედზე, ადამიანზე, რომელიც „დროსავით ცვალებადია და უსვლელი“. ეს არის კლასიკური ადამიანი: გონიერი, მკრძნობიარე, ღირსეული, გულგახსნილი ადამიანური ემოციების მიმართ.

მარგერიტ იურსენარს დაწერილი აქვს მოთხრობები, რომანები, ლექსები, ესეები, ნოველები, პიესები და თარგმნილი აქვს რამდენიმე პროზაული და პოეზური ნაწარმოები. მწერლის პირველი გამოცემები (1921-22) შეუმჩნევლი დარჩა. იმ დროს მას, როგორც მწერალს, მხოლოდ ლიტერატურული წრეები თუ იცნობდნენ.

იურსენარი უკვე ხანმიშესული იყო, როცა საყოველთაო აღიარება მოვიდა. პირველი აღიარება მოჟეტანა 1951 წელს გამოცემულმა რომანმა „აღრი-

ანეს მოგონებები“. პირველი ლიტერატურული პრე-  
 მია „უემინა“ მიიღო რომანში „L' oeuvre au  
 Noir“ 1968 წელს, როცა 65 წლისა იყო. 78 წლისა  
 აკადემიკოსად აირჩიეს. 84 წლისა რომ შესრულდა  
 ევროპის მწერლების უმაღლესი ჯილდო მიეკუთ-  
 ვნა. ხოლო ბოლო გამოცემებმა „სამყაროს ლაბი-  
 რინთის“ სამმა ტომმა („ჩრდილოეთის არქივები“,  
 „ძვირფასი მოგონებები“ და „რა? მარადისობა“)  
 დიდი პოპულარობა მოუტანა. სიცოცხლეშივე გამო-  
 ქვეყნდა მისი ნაწარმოებები საფრანგეთის ყველაზე  
 საპატიო და ძვირფას გამოცემაში – „და პლეიად“.

„...ბედია ბერძენად დაიბადო ან გინდოდეს ბერ-  
 ძენი იყო“, – უთქვამს ერთხელ მწერალს. ბავშვო-  
 ბიდანვე შესისხლხორცებული ძველბერძნული ენა  
 და კულტურა მთელი არსებით უყვარდა. ეთაყვანე-  
 ბოლა ანტიკურ ქანდაკებებს: „დიდსა და მმვენიერს,  
 ერთდროულად ძლიერსა და ნაშს“. თითქოს სურდა  
 მეტეუმში უძრავად მდგომი ქანდაკებები და ნივ-  
 თები უხსოვარი დროის სიღრმეებიდან გარეთ  
 გამოეტანა. სწორედ ბერძნული მემკვიდრეობა იყო  
 მისი შემოქმედების დაუშრეტელი წყარო: „ახალი  
 ეპოდიკე“, „გვირგვინი და ლირა“, „ელექტრა ანუ  
 ნიღბების ცვენა“, პინდარე, ძველბერძნული პოეზია,  
 კავაუი, და ბოლოს, საბერძნეთის თაყვანისმცემლის,  
 რომის იმპერატორის გაცოცხლება რომანში „ად-  
 რიანეს მოგონებანი“.

ადრიანე და XVI საუკუნის ალქიმიკოსი ზენონი

მწერლის წარმოდგენაში გაჩნდნენ, როცა იყო 18 წლისა იყო. 30 წლის განმავლობაში აღრიანე არ მოსცილებია, სანამ 1951 წელს მწერალმა მას მეორე სიცოცხლე არ აჩუქა; ხოლო 47 წლის შემდეგ კი ბენონი შექმნა. „ჩემი ცხოვრება ისე წარმართა, რომ ჯერ მოვისურვე წარმომედგინა, მერე გამეგო, ხოლო შემდეგ დამეხატა ადამიანი, რომელიც მოქმედებს, ეძიებს, ყველაფერი ესმის, ყველაფერთან კავშირშია, მაგრამ მაინც მარტოსულია.“

იურსენარის პერსონაჟები მასავით მოგზაურნი არიან და უძველეს ციფილიზაციებს ეთაყვანებიან. აღრიანე ეტრუსი ეგვიპტურ, ებრაულ და ძველბერძნულ სამყაროს. მისი სულიერი სამშობლო საბერძნეთია: „დაპყრობილმა საბერძნეთმა დაიპყრო მისი მძვინვარე დამპყრობელი“. ბენონი კი ეთაყვანება წარმართულ სამყაროს – აღრიანეს სამყაროს. „აღრიანეს მოგონებებზე“ მუშაობის დაწყებისას იურსენარი თავისი ახალგაზრდობის ჩანაწერებში ფლობერის სიტყვებს წააწყდა: „ღმერთები რომ აღარ იყვნენ, ხოლო ქრისტე ჯერ არ იყო მოსული, ციცერონიდან მარკუს ავრელიუსამდე იყო მხოლოდ ერთი მომენტი, როცა მხოლოდ ადამიანი იყო“. სწორედ ასეთი ადამიანი, – ძლიერი, სამართლიანი, მაგრამ მკაცრი მბრძანებელი, ვნებიანი, ტანჯვით აღსავსე და ადამიანურ ნაკლთა მქონე – დაგვიხატა მწერალმა აღრიანეს სახით. ხანმიშესული იმპერატორი სწერს მარკუს

ავრელიუსს და წერილის წერას იწყებს იმ დღეს,  
 როცა გაიგებს, რომ მძიმე ავადმყოფობის გამო  
 დიდი ხნის სიცოცხლე არ დარჩენია. ეს პირველი  
 წერილი ნელ-ნელა გადაიბრუდება მთელი მისი  
 ცხოვრების მოგონებად, აღსარებად, დღიურად. იგი  
 ჭაბუქს თავისი ცხოვრების შესახებ ყველაფერს  
 უყვება. წიგნებისა და კულტურის ტრფიალს, სი-  
 ლამაზის შეგრძნებას, ძალაუფლებისაკენ სწრაფ-  
 ვას, ომებსა და სისასტიკეს მტრების მიმართ, ადა-  
 მიანებთან დამოკიდებულებას და ქვეყნის მართვის  
 წესებს, თავის დიდ სიყვარულსა და განცდებს; და  
 როგორც მემკვიდრეს, უბიარებს თავის დიდ გა-  
 მოცდილებას.

მკითხველის წინ საოცარი სისავსით და და-  
 მაჯერებლად იხატება 20 საუკუნის წინ არსებული  
 სამყარო, ადამიანები, ისტორიული მოვლენები,  
 მაგრამ იგრძნობა, რომ მიუხედავად ძეელი ცივი-  
 ლიზაციების დიდი სიყვარულისა, იურსენარს მხო-  
 ლოდ წარსულის გასაცოცხლებლად არ აურჩევია  
 ეს ეპოქა და ეს პერსონაჟი. პირველივე წერილში  
 თავმოყრილია ნაწარმოების მთავარი თემები, რომ-  
 ლებიც ნელნელა თხტატურად ვითარდებიან და  
 ხორცს ისხამენ: ადამიანი და მისი თავისუფლება,  
 ადამიანი და სიკედილი, ადამიანი და მისი ბედი,  
 ყალბი და ნამდვილი ცხოვრება, სიკეთე და ბორო-  
 ტება, სიყეარული და მეგობრობა, სწრაფვა ძალა-  
 უფლებისაკენ და ცხოვრების ამაოება. ამ „მოგო-  
 ნებებში“ არ არის არც ერთი განცდა, არც ერთი

გაფიქრება, არც ერთი მოქმედება, აბრობრივად თანამედროვეობასთან რომ არ იყოს დაკავშირებული. ამიტომ არის, რომ ის მორეული ეპოქა და მისი პერსონაჟები ასე ახლოს დგანან თანამედროვე მკითხველის სულთან. შავკანიანების „Spirituals“-ის თარგმანსაც იმიტომ მოჰკიდა მწერალმა ხელი, რომ მათშიც ის მარადიული თემა დაინახა, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა: ადამიანი და მისი ბედი, ჰუმანიზმი შექმნილი ადამიანთა მონიბისა და იმედისაგან. „ყველანი მონები ვართ... და ყველანი მოვკვდებით. ყველა მივისწრაფვით თითოეული თავისებურად იმ სამეფოსაკენ, სადაც მშვიდობა სუფეს. Spirituals-ის მომღერალს, როგორც ყველას, სურს მიაღწიოს იმ ქვეყანას, სადაც კვირას ბოლო არ ექნება...“

მარგერიტ იურსენარს არ უყვარდა ინტერვიუების მიერთა და მხოლოდ აკადემიაში შესვლის შემდეგ დაიბეჭდა მისი რამდენიმე ვრცელი ინტერვიუ. იქამდე კი მხოლოდ ერთხელ აიძულეს ეპასუხა კითხვებზე, რომელსაც მარსელ პრუსტის კითხვარი ეწოდება. ამ კითხვარზე მწერლის პასუხები სრულ ჰარმონიაშია მის შემოქმედებით კრედოსთან და ნათლად წარმოაჩენს მწერლის პიროვნებას.

„...მისი საყვარელი ისტორიული პიროვნებები არიან ისინი, ვინც იღვწოდნენ ადამიანის სრულყოფისა და ადამიანური ბედის გაუმჯობესებისათვის... მისი საყვარელი პერსონაჟები – მამაკაცები და ქალები – რეალურ ცხოვრებაში არიან ისინი,

ვისაც რაიმე სარგებლობა მოუტანია ადამიანისათვის ან თავი გაუწირავს მისთვის... მისი სულიერი მდგომარეობა – ეს არის სევდა და ლელვა სამყაროს მდგომარეობის გამო... მისთვის უბედურების მწვერვალი არის შეუძლებლობა ან უმცირესი შესაძლებლობა, უმველოს რაიმეთი სამყაროს განჯვას და სასოწარევეთას... და ბოლოს, იგი ისერვებდა ეცხოვრა ქვეყანაში, სადაც იმეუებს ჭერა, უბრალოება, სიკეთე და სამართალი.“ – ეს სიტყვები და მათი განცდა რეფრენივით გასდევს მთელ მის შემოქმედებას. შეიძლება დაგვემატებინა შემთხვევით გამორჩენილი სიტყვა – სილამაზე, რომელიც ამშენებს ყველა მის ნაწარმოებს.

„...1985 წელს, აზიის ერთ ქვეყანაში მოგზაურობისას, იურისენარმა წაიკითხა მოხსენება თემაზე: „ჩენი უკანასკნელი მოგზაურობა“ ლექციის შემდეგ ქუჩაში გამოსულს მანქანა დაეჯახა. იგი სასწაულებრივად გადარჩა. საავადმყოფოში ყოფნისას მისმა მეგობარმა და მდივანმა მას მიართვა მაღაქიტის ეძველები ნივთი, რომელიც ოდესაც თვით მწერალს ეყიდა ინდოეთში და ამ მეგობრისათვის ეჩუქებინა. ხელები უკანქალებდა თუ თვლემდა, ავადმყოფ მწერალს ხელიდან გაუსხლდა ეს ძვირფასი ნივთი, რომელმაც დამსხვრევისას გამოსცა „მსუბუქი, ფაგალური და უჩვეულო ბერები“. ამ ნივთის გაქრობამ მწერალი დააღონა, მაგრამ მაშინვე აღუნიშნავს – ამ ნივთის აღსასრულის ბერია ლამაზი იყოო.

აღსასრული, სიკვდილი, უსასრულობაში გაუჩინარება იურსენარის მემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი თემაა,<sup>1</sup> მაგრამ ეს აღსასრული მას ცხოვრების ბუნებრივ და ჩვეულებრივ ნაწილად მიაჩნია. ერთ-ერთ ბოლო ნაწარმოებში იურსენარი ამბობს: „მიღიონი წელი მეძინა, მიღიონი წელი კვლავაც დაეიძინებ...“ და ამ საბოლოო დაძინების „ფატალური, მსუბუქი და უჩვეულო ედერადობის ლამაზი ბერა“ მწერალს 1987 წლის 18 დეკემბერს ჩაესმა.

იგი დასაფლავებულია აღმოსავლეთ ამერიკის ერთ-ერთ მყუდრო, ღილაკებისაგან განაპირებულ ადგილას, მონდეზერის პატარა კუნძულზე, მისი პატარა ხის სახლის შორიახლო მდებარე სასაფლაოზე.

მშია ბაქრაძე

---

<sup>1</sup> „აღმოსავლერი ნოველების“ მთავარი თემაც სიკვდილის თემაა.



... თქვენი საყვარელი პერსონაჟი რეალურ ცხოვრებაში?

- ჩვევდი ას, გიაჩ რაიმ სარგებლობა შეუტანია  
ძღამიანისათვის ან თავი გაეჭირდეს მიხოვის.

რა თვისებას აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?

- ჭრუს, უბრალოებას, სიკეთებ, სამართადს.

რა თვისებას აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

- ჭრუს, უბრალოებას, სიკეთებ, სამართადს.

რა არის თქვენთვის უბრალების მწვერვალი?

- შეუძლებლობა, ან უმცირესი შეხედე ებლობა  
გეშველო რაიმეთი სამყაროს ტანჯვას და ხისტებრკევები.  
ბელიფრების თქვენი ოცნება?

- ვიცხოვნო ასეთ სამყარო რა, სადაც იმუშავდეს ჭრუს,  
უბრალოება, სიკეთე და სამართადი ...